

ქალაქის
სამართალი



რომის სამართალი

საფუძვლები



MMIX

მალერიან მებრევილი

**რომის
სამართალი**

(საფუძვლები)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2009

წიგნში განხილულია რომის სამართლის ძირითადი საკითხები: სამართლის წყაროები, სახელმწიფო, სამოქალაქო, საოჯახო, სამემკვიდრეო, სისხლისა და პროცესუალური სამართლის დარგები.

ნაშრომი ძირითადად გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მას ინტერესით გაეცნობა აგრეთვე ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველიც.

რედაქტორი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოც. ნ. კორძაია-სამადაშვილი

რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ლ. ჭანტურია
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ბ. ზოიძე

© ვ. მეტრეველი, 2009

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009

შინაარსი

| | |
|--|-----------|
| წინასიტყვაობა | 7 |
| თავი პირველი | |
| რომის სამართლის წყაროები | 9 |
| კორპუს იურის ცივილის (CORPUS IURIS CIVILIS), ანუ სამოქალაქო კანონმდებლობის კრებული | 16 |
| თავი მეორე | |
| რომის სახელმწიფო სამართალი | 22 |
| რომის სახელმწიფოს წარმოშობა, განვითარება, წყობილება, მმართველობა | 22 |
| რამსების, ანუ მმართვეთა ხანა | 23 |
| სერვიუს ტულიუსის რეფორმები | 26 |
| საზოგადოებრივი წყობილება | 28 |
| რომის სახელმწიფო წყობილება რესპუბლიკის პერიოდში (ჩვ. წ. აღ-მდე 509-27 წწ.) | 29 |
| რომის ადგილობრივი მმართველობა, ანუ პრეინციპის მმართველობა | 38 |
| იტალიის მართვა-გამგეობა | 39 |
| რომი სახელმწიფო იმპერიის პერიოდში | 40 |
| რომის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება პრინციპატის პერიოდში | 41 |
| რომის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება დომინატის პერიოდში | 44 |
| თავი მესამე | |
| რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი | 47 |
| ა) პირები რომის სამართალში | 49 |
| პირთა სტატუსი, ანუ უფლებამოსილება | 50 |
| რომაელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა | 51 |
| რომის თავისუფალ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა | 51 |
| ატარტომეალთა (თავისუფალ მოქალაქეთა) უფლებრივი მდგომარეობა (ლათინები და კერებრინები) | 53 |
| მომხმობის უფლებრივი მდგომარეობა რომში | 54 |
| პიკუსი | 55 |
| მომხმობის დაწყებებისა და შიშვებების გზები | 56 |

| | |
|---|-----------|
| კოლონატი | 57 |
| იურიდიული პირები | 58 |
| ბ) სანივთო სამართალი (ნივთები) | 58 |
| გ) საკუთრების უფლება | 60 |
| საკუთრების უფლების შინაარსი | 62 |
| საკუთრების უფლების შექმნა | 64 |
| საკუთრების უფლების შეწყვეტა | 66 |
| სამართო საკუთრება (თანასაკუთრება) | 66 |
| საკუთრების უფლების დაცვა | 67 |
| დ) სხვისი ნივთით სარგებლობის უფლება (სერვიტუტი) | 68 |
| ე) ვალდებულებითი სამართალი | 70 |
| ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები | 71 |
| ხელშეკრულებები | 72 |
| ხელშეკრულების სახეები | 73 |
| კონსენსუალური ხელშეკრულებები | 77 |
| ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება – EMPTIO-VEDNDITIO (ემაციო-ვენდიციო) | 77 |
| ძირავენობის ხელშეკრულება | 79 |
| მომსახურების ხელშეკრულება – LOKATIO CONDUCTIO OPERARIM (ლოკაციო კონდუქციო ოპერარუმ) | 81 |
| ნარდობის ხელშეკრულება – LOKATIO CONDUCTIO OPERIS (ლოკაციო კონდუქციო ოპერის) | 82 |
| დავალების (მინდობილობის) ხელშეკრულება – MANDATUM (მანდატუმ) | 83 |
| ამხანაგობის ხელშეკრულება – SOSAITAS (სოციეტას) | 85 |
| სხვა სახის ხელშეკრულებები, ანუ უსახელო კონტრაქტები – CONTRACTUS INNOMINATI (კონტრაქტუს ინომინატი) | 87 |
| პაქტები – PACTA (პაქტა), ანუ შემთანხმებები | 89 |
| ფსევდოხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებანი – შ X ჩ თუ ჩთ შ (კვაჩი მტს კონტრაქტუს) | 91 |
| უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულებანი 93 | |
| დელიქტური ვალდებულებანი | 94 |
| კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართული დელიქტები – DELIC- TUM PRIVATUM (დელიქტუმ პრივატუმ) | 95 |
| დელიქტების ცალკეული სახეები | 96 |
| სხვისი ნივთებისა და ქონების დაზიანება-განადგურება, ანუ – DAMNUM INIURIA DATUM (დამნუმ ინიურია დატუმ) | 98 |
| კვაჩი-დელიქტები – QUASI DELOCTA (კვაჩი-დელიქტა) | 99 |

თავი მეოთხე

ქონიერება და ოჯახი რომის სამართალში 101

ქონიერების პირიუბი 101
ქონიერება პირადი და ქონებრივი უფლებები 102
ქონის ხელისუფლება 104
ქონის ხელისუფლების წარმოება 104
ქონიერება და გერმანეობა 105

თავი მესამე

სამხმარებლო სამართალი 106

სამხმარებლო მემკვიდრეობა 107
ქონიერების მემკვიდრეობა 109

თავი მეთხუთსე

სისხლის სამართალი 111

I. მანუაულისა და სასჯელის პრობლემები რომის
სახელმწიფოსა და სამართლის წყაროებისა და
ჩამოყალიბების პერიოდში 111

II. მანუაულისა და სასჯელის საკითხები რომის სამართლის
განვითარებისა და აყვავების პერიოდში 113

რომისათვის პერიოდის სისხლის სამართალი 116

თავი მეხუთე

სასამართლო და პროცესი რომში 118

სასამართლო საქმეთა პროცესი და პირადი პირების საქმეთა
პროცესი - IUDICIA PUBLICA, IUDICIA PRIVATA (იუდიცია
პუბლიკა, იუდიცია პრივატა) 119

სამხმარებლო, ფორმულარული და მსტრატორდინალური
პროცესები 121

ფორმულარული პროცესი 124

მსტრატორდინალური უსრულების უსრულეყოფის საშუალებები
არატორის მიერ 128

გამაწყვეტილების უსრულება (აღსრულება) 128

მსტრატორდინალური პროცესი 129

სამხმარებლო განხილვის წესი 130

სისხლის სამართლის პროცესი 132

ავტორის აზარი

წიგნი არ წარმოადგენს რომის სამართლის ფუნდამენტალურ გამოკვლევას. მისი მიზანი და დანიშნულება მოკრძალებულია: იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და რომის სამართლით დაინტერესებულ მკითხველებს გააცნოს რომის სამართლის წყაროები და რომის სამართლის ყველა დარგი: სახელმწიფო სამართალი, სამოქალაქო, საოჯახო, სამემკვიდრეო, სისხლის, ასევე რომის სასამართლო და პროცესი.

საბჭოური პერიოდის იურისპრუდენციაში ძირითადი ყურადღება ექცეოდა რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალს. სამართლის სხვა დარგები ფრაგმენტულად განიხილებოდა. ნაშრომში შევეცადეთ ამ ხარვეზის შევსებას, შეძლებისდაგვარად წარმოვადგინეთ რომის სისხლის სამართალი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესუალური სამართალი.

ნაშრომის სრულყოფის მიზნით გამოვიყენეთ როგორც პირველწყაროები, ისე გამოკვლევები და სახელმძღვანელოები: ი.ა. პოკროვსკის, ვ.მ. ხვოსტოვის, ს.ა. მურომცევის, პ.ნ. გალანზას, ი.ს. პერეტერსკის, ვ.ა. რიასენცევის, პ.კასკის, ზ.ნ. ჩერნილოვსკის, ი.ბ. ნოვიცკისა და დ.ვ. დოუდევის შრომები.

ძალზე დიდი დახმარება გაგვიწია ჩეხი მეცნიერის მილან ბარტოშეკის რუსულ ენაზე თარგმნილმა ნაშრომმა „რომის სამართალი“ (ცნებები, ტერმინები და განმარტებები, მოსკოვი, 1989 წ.).

სამწუხაროდ, ქართულ ენაზე რომის სამართალში არა გვაქვს არც ერთი გამოკვლევა ან მონოგრაფია. საქმეს ვერ შევლის რამდენიმე თარგმანი, მათ შორის ზ.მ. ჩერნილოვსკის „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ (თბ., 1992 წ.), ი.ს. პერეტერსკის „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ (II ნაკვეთი), ძველი რომი (თბ., 1946 წ.), „დერბურგის“ „პანდექტები“, ე.მ. შტაერმანის „რომის სამართალი“ (ყურნ. „სამართალი“, 1992 წ. №2,3,4.). შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე ნაშრომი პირველია რომის სამართალში ქართველ ავტორთაგან.

ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს კეთილი სურვილებით გამოთქმულ ყველა საქმიან შენიშვნას.

წინასიტყვაობა

თანამედროვე უმაღლეს იურიდიულ სასწავლო დაწესებულებებში როგორც ინსტიტუტებში, ისე უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე ისწავლება სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში გვერდს ვერ ავუვლით რომის სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლას.

რომის სახელმწიფო და სამართალი, ძველი საბერძნეთი სახელმწიფოსა და სამართალთან ერთად წარმოადგენს ანტიკურ მონათმფლობელურ სახელმწიფოებსა და სამართალს. ისინი დიამეტრალურად განსხვავდებიან ძველი აღმოსავლეთის (ძვ. ეგვიპტე, ბაბილონი, ინდოეთი, ჩინეთი) მონათმფლობელური სახელმწიფოებისა და სამართლისაგან.

აღსანიშნავია, რომ რომი უკანასკნელი მონათმფლობელური სახელმწიფოა, რომლის დაცემით მთავრდება მონათმფლობელობის ისტორია და იწყება ფეოდალიზმი — შუა საუკუნეები.

მსოფლიოს ცნობილი მოაზროვნეები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, იურისტები... უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ დღესაც ძველი რომის სახელმწიფოს, სამართალს და, საერთოდ, მისი ცივილიზაციის შესწავლას, რადგან საზოგადოებრივი პროგრესისა და კულტურის ისტორიის თვალსაზრისით იგი მნიშვნელოვანი ეტაპია კაცობრიობის ისტორიაში.

რომში შეიქმნა ლიტერატურის, ხელოვნებისა და, საერთოდ, კაცობრიობის კულტურის განუმეორებელი ნიმუშები. რომის სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული ასევე ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება და აღიარება, რომელიც მძლავრი იდეოლოგიაა თანამედროვე მსოფლიოს მრავალმილიონიან ხალხებში. სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საბერძნეთისა და რომის მიერ ჩაყრილი საფუძვლის გარეშე არ იქნებოდა თანამედროვე ცივილიზაცია.

რომში წარმოშობილი და განვითარებული სახელმწიფო და სამართალი მიჩნეულია ყველაზე სრულყოფილ ექსპლოატატორულ სამართლად, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სამართლის მსოფლიო ისტორიაში. რომის სამართლის გავლენა იმდენად ძლიერი იყო ფეოდალურ, ბურჟუაზიულ და შემდგომი ხანის სამართლებრივ სისტე-

მებზე, რომ მისი რეცეფციის გზით იქმნებოდა თითქმის მთელი ევროპის ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, რომლის სამართლის რეცეფცია, ანუ მისი აღდგენა, ათვისება, გამოყენება საკუთარი ქვეყნის საჭიროების შესაბამისად, მისი გადამუშავება და ჩამოყალიბება იწყება XI საუკუნიდან და გრძელდება თითქმის XIX საუკუნემდე. რომის სამართლისადმი ასეთ დიდ ინტერესს ხსნიან იმ გარემოებით, რომ რომის სამართალი იყო კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ყველაზე სრულყოფილი სამართალი და, ამდენად, იგი ყველა ურთიერთობის მოწესრიგების გასაღებად, საფუძველად მიიჩნეოდა.

რომის სამართალი უაღრესად პროგრესული მოვლენაა მანამდე არსებულ სამართლებრივ სისტემებთან შედარებით, იგი გამოირჩევა ცნობების სიზუსტითა და იურიდიული ტექნიკის მაღალი დონით.

თავი პირველი

რომის სამართლის წყაროები

ძველ რომში „სამართლის წყარო“ გულისხმობდა იმ საშუალებას, ძალას, საიდანაც სათავეს იღებდა, მომდინარეობდა სამართალი. ტერმინს „სამართლის წყარო“ უძველესი ისტორია აქვს. იგი პირველად ცნობილმა რომაელმა ისტორიკოსმა ტიტუს ლივიუსმა გამოიყენა, როცა აღნიშნავდა, რომ თორმეტი ტაბულის კანონები მთელი რომაული საჯარო და კერძო სამართლის წყაროაო. ამ შემთხვევაში ლივიუსი სამართლის წყაროდ გულისხმობდა XII ტაბულის კანონს, რომელიც შემდგომი პერიოდის რომის სამართლის საზრდოს, ფუძეს, წყაროს წარმოადგენდა.

დღეისათვის სამართლის წყაროს შესახებ მსჯელობისას მხედველობაში გვაქვს: ა) სამართლის წყარო მატერიალური გაგებით; ბ) სამართლის წყარო ფორმალური გაგებით.

სამართლის წყარო მატერიალური გაგებით გულისხმობს ცხოვრების მატერიალურ პირობებს, საზოგადოების წარმოებით ურთიერთობას, ხოლო სამართლის წყარო ფორმალური გაგებით გულისხმობს იმის გარკვევას, თუ რა გზით, რა საშუალებებით ან რა ფორმებით დგინდება სამართალი, სამართლის ნორმები.

რომის სამართლის წყარო შემეცნების თვალსაზრისით გულისხმობს არქეოლოგიური გათხრების მონაპოვარს, კლდეზე, კედლებზე თუ ხეზე ამოკვეთილ წარწერებს, პაპირუსებსა და სხვა წერილობით ძეგლებს.

ფორმალური გაგებით დღეისათვის ცნობილია შემდეგი სახის რომის სამართლის წყაროები:

- ა) ადათი და ადათობრივი სამართალი;
- ბ) კანონები;
- გ) მაგისტრატების ედიქტები;
- დ) იურისტების მოღვაწეობა, კერძოდ, იურისტების ლიტერატურული, პრაქტიკული და მეცნიერული მემკვიდრეობა.

ადათი რომის სამართლის უძველეს წყაროს წარმოადგენდა. ადათები შერწყმული იყო რელიგიურ და მორალურ ნორმებთან. საზოგადოების კლასებად დაყოფისა და სახელმწიფოს წარმოშობის პარალელურად

გაბატონებული კლასი მისთვის სასურველ და გამოსადეგ ადათებს სანქციას აძლევდა. მისი შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობას აწესებდა და ამით ქმნიდა ადათობრივ სამართალს. რომის სამართალში (ძველ ეპოქაში) ადათობრივი სამართლის ნორმებს უწოდებდნენ წინაპართა ადათებს, ანუ **mores maiorum** (მორეს მაიორუმ), ასევე უწოდებდნენ ადათობრივ პრაქტიკას და სხვ.

რომის სახელმწიფოს გაფართოებისა და განვითარების კვალობაზე ადათები და ადათობრივი სამართალი ვეღარ აკმაყოფილებდა სახელმწიფოს მესვეურებს, რადგან ეს არ იყო ზუსტად ჩამოყალიბებული, დაწერილი სამართალი, ამიტომაც ადათობრივი სამართალი ადგილს უთმობდა კანონს.

კანონი რომის სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ პირველი კანონები სათავეს იღებს ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნიდან. კანონადაა მიჩნეული სერვიუს ტულიუსის მიერ ჩვ. წ. აღ-მდე 509 წელს გატარებული რეფორმები, რისთვისაც მან 50-მდე კანონი გამოსცა.¹ მოგვიანებით, რესპუბლიკის პერიოდში კანონებს ღებულობდა სახალხო კრებები; მაგალითად, კურიის, ცენტურიისა თუ ტრიბას სახალხო კრებები, კანონს ეწოდებოდა ლეგეს – **leges** (ლეგეს).

იმპერიის პერიოდში (I-V სს.) სახალხო კრებების როლი დაეცა და კანონების გამოცემის უფლება მიისაკუთრა იმპერატორმა. იმპერატორის განკარგულებებს ეწოდებოდა „კონსტიტუციები“. ისინი ოთხი სახისა იყო: ა) ელიქტები, ანუ მთელი მოსახლეობისათვის საერთო სავალდებულო განკარგულებები; ბ) რესკრიპტები – ცალკეულ საქმეებზე გამოცემული განკარგულებები; გ) მანდატები, ანუ იმპერატორის მიერ მოხელეებისათვის მიცემული დავალებები, ინსტრუქციები; დ) დეკრეტები, ანუ იმპერატორის გადაწყვეტილებები მასთან შესულ სადავო საქმეებზე.

რესპუბლიკისა და იმპერიის პერიოდში კანონის ძალა ჰქონდა ასევე სენატის მიერ გამოცემულ აქტებს.

მაგისტრატების ედიქტებს კანონის ძალა ჰქონდა. მაგისტრატები რომის რესპუბლიკის პერიოდში მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ

¹ ზოგიერთი მეცნიერი სერვიუს ტულიუსის რეფორმების შედეგად მიღებულ კანონებს ადათობრივ სამართლად მიიჩნევს და არა კანონად. იხ. И.Б. Новицкий, Римское частное право. М., 1948 გვ. 13-14.

(პრეტორი, ცენზორი, კონსული, ედილი, კვესტორი, პლემბსის ტრიბუნი, დიქტატორი). ედიქტები ეწოდებოდა ზემოთ აღნიშნულ პირთა მიერ გამოცემულ საჯარო განცხადებებს, ბრძანებებსა თუ ინსტრუქციებს. თანამდებობის პირები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემდნენ ედიქტებს, რომლებსაც კანონის ძალა ჰქონდა. რომში თანამდებობის პირთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პრეტორის ედიქტები. პრეტორის მიერ გამოცემულმა ედიქტებმა სამართლის ცალკე სახე — პრეტორული სამართალიც კი შეადგინა. თავდაპირველად პრეტორი ცივილური სამართლის ფარგლებში მოქმედებდა, არ ეწინააღმდეგებოდა ცივილურ სამართალს, ავსებდა ან აზუსტებდა მას. მაგალითად, თუ პირს ცივილური სამართლით მემკვიდრეობის უფლება ეკუთვნოდა, პრეტორი თავისი ედიქტით იცავდა ამ კანონიერ მემკვიდრეს, ეს კი უფრო რეალური და ზუსტი იყო, ვიდრე ცივილური სამართლით მიკუთვნებული ზოგადი უფლება. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ იყვნენ მემკვიდრეები, პრეტორი თავისი ედიქტით მიუთითებდა ახალ მემკვიდრეებზე, დაბოლოს, პრეტორის ედიქტმა ცივილური სამართლის მოთხოვნათა შეცვლაც იწყო.

აღსანიშნავია, რომ მაგისტრატების მიერ გამოცემული ედიქტები ერთი წლით მოქმედებდა, მაგრამ ამ წესს არ დამორჩილა პრეტორის ედიქტები, რომლებმაც კანონის ძალა მიიღო და გამოიყენებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, თითქმის იუსტინიანეს კოდიფიკაციამდე (ახ. წ. აღ.-ით VI ს.). აღნიშნულს დიდად შეუწყო ხელი პრეტორის ედიქტების სისტემატიზაციამ (კოდიფიკაციამ), რომელიც განხორციელდა იმპერატორ ადრიანეს ინიციატივით ახ. წ. აღ.-ით II საუკუნეში, კერძოდ, 131 წელს იმპერატორის დავალებით კვესტორმა, იურისტმა იულიანემ პრეტორის ედიქტებში მოცემული მნიშვნელოვანი დადგენილებების საერთო რედაქტირება მოახდინა. მის მიერ შემუშავებული კრებულის კოდიფიცირებული ტექსტი მოიწონა იმპერატორმა, ხოლო სენატმა თავისი დადგენილებით იგი უცვლელად გამოაცხადა (Edictum perpetuum). „მუდმივ ედიქტში“ (ასე უწოდეს კრებულს) შესწორების გაკეთება იმპერატორის პრეროგატივა იყო, ხოლო დამატების შეტანა აუცილებელ შემთხვევაში მაგისტრატებსაც შეეძლოთ. „მუდმივი ედიქტის“ იულიანესეულ რედაქციას ჩვენამდე არ მოუღწევია. მის შესახებ უმნიშვნელოვანეს ცნობებს შეიცავს რომაელ იურისტთა კომენტარების შემონახული ფრაგმენტები.

იურისტების მოღვაწეობა. რომაელმა იურისტებმა როგორც რესპუბლიკის, ისე იმპერიის პერიოდში უდიდესი როლი შეასრულეს სამართლის განვითარებაში. იურიდიულ სამსახურს, ანუ იურიდიულ მოღვაწეობას რომში საფუძველი ჩაეყარა ჩვ. წ. აღ.-მდე III საუკუნეში. აქედან დაწყებული, მრავალმა რომაელმა იურისტმა და საზოგადო მოღვაწემ წარმოაჩინა თავი როგორც პრაქტიკოსმა იურისტმა თუ თეორეტიკოსმა სამართლისმცოდნემ.

რომაელ იურისტთა მეთაურად, ანუ დამწყებად შეიძლება დავასახელოთ კორუნკანუსი (გარდაიცვალა დაახლოებით ჩვ. წ. აღ.-მდე 236 წ.). მან პირველმა იწყო კონსულტაციების გაწევა რომის სამართალში და ასწავლიდა რომის კერძო სამართალს (თუმცა, როგორც მილან ბარტოშეკი ვარაუდობს, ალბათ, კორუნკანუსზე ადრეც კეთდებოდა ასეთი რამ)¹. რომაელი იურისტების მოღვაწეობა შემდეგი მიმართულებით ხორციელდებოდა: 1) იურიდიულ მოქმედებათა შესატყვისი ფორმულების ჩამოყალიბება. ლათინურად ასეთ ფუნქციას უწოდებდნენ cavere (კავერე) ფუნქციას, ანუ ფორმულების შედგენის ფუნქციას; 2) იურიდიულ საკითხებზე მოქალაქეთათვის, ასევე სახელმწიფო მოღვაწეთათვის რჩევის, კონსულტაციების, ახსნა-განმარტებების მიცემა, იურიდიული ნორმების შინაარსის გარკვევის ფუნქცია respondere (რესპონდერე). იურისტთა ასეთ დასკვნებს ზოგჯერ სავალდებულო ძალა ენიჭებოდა; 3) სასამართლოში მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე გამოსვლით ამა თუ იმ მხარის ინტერესების დაცვის ფუნქცია agere (აგერე), სხვათადასა სასამართლოში მხარეთა პროცესუალურ მოქმედებათა ხელმძღვანელობის ფუნქცია. ცნობილი ორატორი, პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი და მწერალი, ადვოკატი და სამართლის მეცნიერი მარკუს ტულიუს ციცერონი (ჩვ. წ. აღ.-მდე 106-43 წწ.) წერდა, რომ ნამდვილი კანონმცოდნე და იურისტი ის არის, ვინც იცნობს კანონებსა და ადათობრივ სამართალს, ვისაც შეუძლია რჩევების მიცემა, საქმისწარმოება და კლიენტის ინტერესების დაცვა.² აქედან ჩანს რომაელ იურისტთა ზემოაღნიშნული სამივე ფუნქცია.

რომაელ იურისტებს დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდათ.

¹ М.Бартошек, Римское право, понятия, термины, определения, М., 1989, 33-333.

² Цицерон., Три трактата об ораторском искусстве, ж. 116.

ამას განაპირობებდა, ერთი მხრივ, ის, რომ იურისტთა უმრავლესობა საზოგადოების ზედაფენას მიეკუთვნებოდა, ამასთან, მათ ძალადი თანამდებობები ეკავათ, ხოლო, მეორე მხრივ, მათი კონსულტაციების უნაკლო ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ იურისტებს საკანონმდებლო ხელისუფლება არ გააჩნდათ, ისინი თავიანთი კონსულტაციებით უშუალო ზეგავლენას ახდენდნენ სამართლის განვითარებაზე.

იურისტთა საქმიანობამ, რომლის მიზანიც მოქმედი სამართლის ნორმების გამოყენებისათვის დახმარება იყო, ფაქტობრივად სამართალშემოქმედების დამოუკიდებელი ფორმის მნიშვნელობა შეიძინა. პრინციპატის ეპოქაში იურისტთა საქმიანობის სამართალშემოქმედებითა ხასიათმა ფორმალური აღიარებაც მიიღო (საგულისხმოა, რომ პრინციპატის პერიოდი სამართლის განვითარების ბრწყინვალე, კლასიკური სამართლის პერიოდს ემთხვევა. პრინციპატის ეპოქაზე თვალსაჩინო იურისტებს ოფიციალური კონსულტაციების გაცემის განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებდნენ (ius publice respondendi), ამ იურისტთა კონსულტაციებს მოსამართლეებისათვის სავალდებულო ძალა ჰქონდა.

IV საუკუნიდან იურისტთა საქმიანობამ, მოღვაწეობამ სამართალშემოქმედებითი ხასიათი დაკარგა. მოგვიანებით, 426 წელს იმპერატორ ვალენტინიანე III-ს დროს მიიღეს კანონი ციტირების შესახებ (Lex citationis). ამ კანონის თანახმად, ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელათ ხუთი შესანიშნავი იურისტის — გაიუსის, პაპინიანუსის, პავლუსის, ულპიანუსისა და მოლესტინუსის შრომებით. თუ ამ იურისტთა შრომებში მოცემული შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, საკითხი წყდებოდა ხმის უმრავლესობით, ხოლო, თუ ხმები გაიყოფოდა, ანუ განსხვავებული შეხედულებების მომხრეთა თანაბრობისას, ეყრდნობოდნენ იმ შეხედულებას, რომელსაც პაპინიანუსი იზიარებდა. საერთოდ, პაპინიანუსის აზრს უპირატესობა ენიჭებოდა ყველა სხვა იურისტის აზრთან შედარებით. ამ კანონით, ასე ვთქვათ, შეწყდა იურისტთა სამართალშემოქმედება (და არა მოღვაწეობა), შემოქმედებითი მიდგომის ნაცვლად, მოსამართლე საკითხის გადაწყვეტისას უნდა დაყრდნობოდა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ იურისტთა შრომებში მოცემულ შეხედულებებს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სამართლის ძირითად წყაროს რომში წარმოადგენდა კანონი. ამჯერად საშუალება არა გვაქვს ანალიზი გაუუკეთოთ რომაული კანონების ფართო სპექტრს, ამიტომაც მხო-

ლოდ ორი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტის ანალიზით შემოვიფარგლებით; ესენია: 1) XII ტაბულის (დაფის) კანონები; 2) სამოქალაქო კანონმდებლობის კრებული, ანუ „კორპუს იურის ცივილის“ (*Corpus iuris civilis*).

XII ტაბულის კანონები შედგენილია V საუკუნის შუა ხანებში (ჩვ. წ. აღ.-მდე 450 წ.). იგი შეუდგენია დეცემვორთა, ანუ 10-კაციან კომისიას.

რომაელი იურისტი პომპონიუსი, რომელიც ცხოვრობდა ჩვ. წ. აღ.-მდე II საუკუნეში და, რომელიც ცნობილია როგორც ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული იურისტი რომის კერძო სამართალში, მოგვითხრობს, რომ რომიდან 10 კაცისაგან შემდგარი კომისია გაიგზავნა საბერძნეთში, ათენში, რათა სოლონის კანონმდებლობა შეესწავლათ. კომისიამ თავისი მისია შეასრულა, დაბრუნდა რომში და კანონთა 10 ტაბულა წარმოადგინა. ეს ტაბულები, ანუ დაფები ძველი ჩვეულების შესაბამისად გამოაკრეს საზოგადოების თავშეყრის ადგილზე, რათა მას ხალხი გასცნობოდა. კანონთა ტექსტის გაცნობისას აღმოჩნდა, რომ კანონები სრულყოფილი არ იყო. ხარვეზის შესავსებად ამავე კომისიას დაევალა კიდევ ორი დაფის შედგენა. ამგვარად, მიღებულ იქნა თორმეტი დაფა, ანუ XII ტაბულა.

XII ტაბულის კანონების ძირითად წყაროს წარმოადგენდა ადათები და ადათობრივი სამართალი. სამწუხაროდ, ეს ძველი პირველწყაროს სახით შემორჩენილი არ არის. ძველის ორიგინალი დაკარგულია. მისი აღდგენა მოხერხდა ცნობილი რომაელი იურისტების — ციცერონის, გაიუსის, ულპიანეს, პაულიუსისა და სხვათა თხზულებებში (ნაშრომებში) დაცული ცნობების საშუალებით. ამრიგად, დღეისათვის ჩვენ ხელთ გვაქვს XII ტაბულის კანონის არა დედანი, არამედ კომპილაცია.

რომაელი იურისტების შრომებში მითითებულია, რომ XII ტაბულის კანონები დაწერილი იყო ხის დაფებზე, მაგრამ ზოგიერთი იურისტის ცნობით, კანონი დაწერილი იყო სპილენძის დაფებზე, რომელიც იურისტი პომპონიუსის მითითებით კი, სპილოს ძეგლის დაფებზე.

XII ტაბულის კანონებს არ შეიძლება ვუწოდოთ კოდექსი, რადგან იგი არ არის მკაცრად სისტემატიზებული ნორმების ერთობლიობა, რომელიც მოაწესრიგებდა საზოგადოებრივი ურთიერთობის რომელიმე დარგს. იგი წარმოადგენს კრებულს სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. XII ტაბულის კანონები, ძირითადად, სამო-

ქლაქო სამართლის საკითხებს ეხება. მისი სისტემა დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ა) I, II და III ტაბულებში მოცემულია სამოქალაქო პროცესის საკითხები.

ბ) IV და V ტაბულები ეძღვნება საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის საკითხებს, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობას, მეუღლეთა პირად და ქონებრივ ურთიერთობებს, მემკვიდრეობის გადაცემის წესებსა და სხვ.

გ) VI და VII ტაბულებში მოცემულია სანივთო და ვალდებულებითი სამართლის საკითხები. აქ განხილულია საკუთრების, გირაოს, სერვიტუტების, ანუ სხვისი ნივთით სარგებლობის უფლებების, სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებისა თუ გარიგების საკითხები.

დ) VIII და IX ტაბულებში მოცემულია სისხლის სამართლის საკითხები, აქ ჩამოთვლილია სასჯელთა ცალკეული სახეები.

ე) X ტაბულა ეხება საკრალური (საეკლესიო) სამართლის საკითხებს.

ვ) XI და XII ტაბულები შეიცავს დამატებით მუხლებს წინა ათი ტაბულის ხარვეზების შესავსებად.

XII ტაბულის კანონებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ რომაელი იურისტები (განსაკუთრებით აღსანიშნავია რესპუბლიკის პერიოდის რომაელი იურისტების ინტენსიური მუშაობა ამ ძეგლზე).

როგორც აღინიშნა, რომაელი ისტორიკოსი ტიტუს ლივიუსი მიუთითებდა, რომ XII ტაბულის კანონები არის როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის წყარო. XII ტაბულის კანონებისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მინიჭება უნდა აიხსნას იმით, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში მონათმფლობელთა კლასი კანონების მეშვეობით ცდილობდა თავის ხელშეუხებლობისა და საკუთარი ინტერესების დაცვას. XII ტაბულის კანონების კომენტირებას მიემდგნა მრავალი რომაელი იურისტის მოღვაწეობა. ციცერონი აღნიშნავს, რომ მან ახალგაზრდობაში, ისევე, როგორც სნევებმა, XII ტაბულის კანონები შეისწავლა როგორც „აუცილებელი საგალობელი“.

XII ტაბულის კანონებმა უდიდესი როლი შეასრულა რომის სამართლის შემდგომ განვითარებაში. ამ კანონებიდან მრავალი მუხლი შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაში შევიდა.

კორპუს იურის ცივილის (CORPUS IURIS CIVILIS), ანუ სამოქალაქო კანონმდებლობის კრებული

„კორპუს იურის ცივილის“ (korpus iuris civilis), ანუ სამოქალაქო კანონმდებლობის კრებული შედგენილია იმპერატორ იუსტინიანეს დროს (526-565 წწ.), მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და ინიციატივით. აღნიშნული სახელწოდება ამ კრებულმა XII საუკუნეში მიიღო.

აღსანიშნავია, რომ იუსტინიანეს კოდიფიკაციას წინ უძღოდა იმპერატორ თეოდოს II-ს 438 წლის კოდიფიკაცია, კერძოდ, მისი კოდექსი *Codezr Teodosianus* (კოდექს თეოდოსიანუს), რომელიც შეიცავდა იმპერატორის განკარგულებებს.

კოდექსი იყოფოდა 16 წიგნად, ხოლო წიგნები – ტიტულებად. თითოეულ ტიტულში განკარგულებები ქრონოლოგიური წესით იყო დალაგებული.

იუსტინიანეს დროს აღმოსავლეთ რომის იმპერიაში, ბიზანტიამ კვლავ მოიკრიბა ძალა, ომების შედეგად გაფართოვდა სახელმწიფოს საზღვრები და იუსტინიანემ მიზნად დაისახა ერთიანი რომის იმპერიის აღდგენა.

იუსტინიანეს კოდიფიკაცია მიზნად ისახავდა შეეკრიბათ, შეენარჩუნებინათ ძველი რომაული სამართალი, ასევე სისტემაში მოეყვანათ და შეედგინათ ახალი, მოქმედი სამართლის კოდექსი. კოდიფიკაციის გზით იუსტინიანე ვარაუდობდა დასავლეთ რომის იმპერიაში მონათმფლობელური წყობილების შენარჩუნებას, ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მონათმფლობელობის განმტკიცებას.

რომის სამართლის კოდიფიკაციის უზარმაზარი ამოცანა შესასრულებლად დაეკისრა იმპერატორის ერთ-ერთ უახლოეს მოხელეს ტრიბონიანს. ტრიბონიანი გამოჩენილი იურისტი და სახელმწიფო მოხელე იყო. იგი ჯერ რიგით წევრად შედიოდა საკოდიფიკაციო კომისიაში, ხოლო 530 წლიდან საკოდიფიკაციო საქმიანობის ხელმძღვანელად დაინიშნა. მას უფლება მიეცა თავისი შეხედულებით შეერჩია თანამშრომლები. უკვე 529-534 წლებში შეადგინეს სამი დიდი კრებული: 1) ინსტიტუციები; 2) დიგესტები, ანუ პანდექტები; 3) იუსტინიანეს კოდექსი. თითოეულმა ამ კრებულმა (ნაშრომმა) კანონის ძალა მიიღო; იმპერატორმა იუსტინიანემ კი აკრძალა მათი კომენტირება („თანამედროვე და მომავალი იურისტებიდან, ნურავინ

გაბედავს ამ კანონებისათვის კომენტარების დართვას“, — აცხადებდა იმპერატორი).

ცალ-ცალკე განვიხილოთ კრებულის შემადგენელი ნაწილები.

ინსტიტუციები. **Institutiones (ინსტიტუციონეს)**¹ — ეს არის კრებულის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, სამართლის ელემენტარული სახელმძღვანელო, რომელიც გამოიყენებოდა იურიდიულ სასწავლებლებში სწავლების პირველ წელს. კრებულის ეს ნაწილი კომპილაციური ხასიათისაა, იგი ამოკრეფილია გაიუსის თხზულებებიდან და ზოგიერთი სხვა იურისტის შრომებიდან. ინსტიტუციებს კანონის ძალა აქვს. შესავალში აღნიშნულია, რომ მისი დანიშნულებაა სამართლის საფუძვლების შესწავლა არა მონათხრობის მიხედვით, არამედ ინსტიტუციებში ჩამოყალიბებული დებულებების საფუძველზე. ინსტიტუტებში მოცემულია ცნებები პირების, ნივთების, მემკვიდრეობის, გარიგებისა და სასამართლო პროცესის შესახებ.

ინსტიტუციები შედგება ოთხი წიგნისაგან: 1) სამართლის სუბიექტები, მათი უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მომწესრიგებელი ნორმები. 2) სანივთო სამართალი. 3) ვალდებულებითი სამართალი. 4) საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი.

დიგესტები Digesta (დიგესტა), ანუ **პანდექტები Pandectae (პანდექტე)** შეადგენს იუსტინიანეს კრებულის მეორე დიდ ნაწილს. ლათინურად „დიგესტა“ digesta (დიგესტა) ნიშნავს კრებულს, ხოლო პანდექტა pandecta (პანდეხეს — ბერძნული სიტყვა) — ყველაფრის მომცველს.

დიგესტები, ანუ პანდექტები რომელ იურისტთა შრომებიდან ამოკრებილი ფრაგმენტების კრებულია. მასში შეტანილია 40 რომელი იურისტის შრომებიდან ამოკრებილი ცალკეული გამონათქვამები, მოსაზრებები თუ ცნებები ამა თუ იმ საკითხებზე, რამაც 50 წიგნი შეადგინა.

თითოეული წიგნი იყოფა ტიტულებად, ანუ თავებად, ხოლო თავები — ფრაგმენტებად.

დიგესტებში მოცემული ცნებები, ნორმები თუ დეფინიციები რომელ იურისტებს აუღიათ პირველწყაროებიდან, ასევე ადათობრივი სამართლიდან. სხვადასხვა ცნებისა თუ დეფინიციის დიგესტებში შეტა-

¹ ცნობილი ჩეხი იურისტი, რომის სამართლის სპეციალისტი მილოშ ბარტოშეკი კრებულის ამ ნაწილს უწოდებს „იუსტინიანას“, როგორც „კორპუს იურის ცივილის“ ყველაზე მოკლე ნაწილს. იხ. М. Бартошек, Римское право, М., 1989, გვ. 154.

ნისას კრებულის შემდგენლებს მიზნად დაუსახავთ მათ შორის წინააღმდეგობა არ ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა ოურისტს სხვადასხვა აზრი ჰქონდა გამოთქმული და ძნელი იყო ამ აზრთა სხვადასხვაობის შეჯერება. ამის გამო დიეკსტები ინკორპორაციის სახეს ატარებს.

იუსტინიანეს კოდექსი **Codex Iustinianus** (კოდექს იუსტინიანუს) კრებულის მესამე დიდი შემადგენელი ნაწილია. იგი იუსტინიანეს განკარგულებების, ანუ იმპერატორის მიერ გამოცემული აქტების ერთობლიობაა.

როგორც აღინიშნა, ზოგიერთი ავტორი კრებულის ამ ნაწილს იმპერატორის განკარგულებებს უწოდებს, ზოგი კი (პროფ. პ. გალან-ზა) თვლის, რომ ეს იმპერატორის კონსტიტუციებია.

იუსტინიანეს კოდექსი, ანუ იუსტინიანეს კონსტიტუციები პირველად 529 წელს გამოიცა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს კოდექსი არ აკმაყოფილებდა იმპერატორს, ამიტომაც ხდებოდა მისი სრულყოფა; მაგალითად, 530 წელს გამოიცა 50 განკარგულება, რომელთა დანიშნულება იყო გადაეჭრა წინააღმდეგობები ადრე გამოცემულ განკარგულებებში. 534 წელს გამოიცა იუსტინიანეს კოდექსის ახალი რედაქცია, რომელიც 12 წიგნისაგან შედგებოდა. თითოეული წიგნი იყოფა ტიტულებად, ანუ თავებად, ხოლო თავები — პარაგრაფებად.

პირველ წიგნში მოცემულია საეკლესიო სამართლის საკითხები, ასევე გაანალიზებულია სამართლის წყაროები და მოხელეთა უფლება-მოვალეობები.

მე-2-8 წიგნები ეძღვნება სამოქალაქო სამართალს.

მე-9 წიგნი — სისხლის სამართლის საკითხებს.

მე-10 წიგნი — სახელმწიფო მმართველობის საკითხებს.

იუსტინიანეს კოდიფიკაციის მე-4 ნაწილს შეადგენს ნოველები.

ნოველები ის ახალი, გადაუშავებული მასალაა, რომელიც შემუშავდა 535-542 წლებში და რომელთა შემუშავებითაც იუსტინიანემ მოახდინა სამართლის სხვადასხვა დარგის მოდერნიზაცია, განსაკუთრებით, საჯარო სამართლისა, ხოლო სხვა დარგებიდან — საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლისა.

კოდიფიკაციის ამ ნაწილს ნოველები ეწოდება, რადგან მასში ახალი მასალა შევიდა.

ასეთია იუსტინიანეს საკოდიფიკაციო საქმიანობის შედეგი.

შემდგომ პერიოდში იუსტიციის მიერ შედგენილი კრებული ბიზანტიაში არაერთგზის გადაამუშავეს. მთავარი მიზანი იყო აღნიშნული კრებულის გამარტივება, შემოკლება და დროის მოთხოვნის შესაბამისობაში მოყვანა. კრებულიდან იღებდნენ ცალკეულ მუხლებსა თუ დადგენილებებს, რაც ზოგჯერ რომის სამართალს ამახინჯებდა.

იუსტიციის კრებულის გადაამუშავების შედეგად მიღებულ იქნა:

1) ეკლოგა (740 წ.);

2) ბაზილიკა (886-912 წწ. ბასილ მაკედონელისა და ლეონ ფილოსოფოსის დროს);

3) პროხეირონი, ანუ სამართლის შემოკლებული გადმოცემა ინსტიტუციების მსგავსად (პროხეირონი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დახმარებას), იგი გამოცემულია დაახლოებით 1300 წელს;

4) კონსტანტინე არმენოპულოს 1345 წლის ექვსწიგნეული.

კონსტანტინე არმენოპულოსი სალონიკელი მოსამართლე იყო, რომელმაც ხელი მოჰკიდა რომის სამართლის რეცეფციას და შექმნა ექვსწიგნეული. ამ ექვსწიგნეულს სავალდებულო ძალა ჰქონდა საბერძნეთშიც, მაგრამ, ძირითადად, ბესარაბიაში — ვლახეთში გამოიყენებოდა. ვლახეთი კი ამ პერიოდის ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი წამყვანი და ცივილიზებული ცენტრი იყო.

იუსტიციის მიერ შედგენილმა სამოქალაქო კანონმდებლობის კრებულმა უდიდესი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების ევროპის კანონმდებლობაზე, კერძოდ, ფეოდალური საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების კანონშემოქმედებაზე. განსაკუთრებით გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა რომის სამართლის რეცეფციისათვის ფეოდალურ გერმანიაში. შედარებით ნაკლები გავლენა იქონია მან ინგლისზე. სამხრეთ საფრანგეთში მთელი შუა საუკუნეების მანძილზე რომის სამართალი სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. რაც შეეხება შუა საუკუნეების იტალიას, რომელიც ზოგჯერ გერმანიის შემადგენლობაშიც იყო მოქცეული — მისთვის რომის სამართალი ასევე სამართლის ძირითადი წყარო იყო.

რომის სამართალმა ფართო გამოყენება პოვა ასევე ბურჟუაზიულ საფრანგეთში, მაგალითად, ნაპოლეონმა თავისი სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესადგენად ფართოდ ისარგებლა რომის სამართლის წყაროებით.

თუ როგორი გავლენა იქონია რომის სამართალმა ქართულ სამარ-

თალზე, ეს საკითხი ჯერჯერობით შეუსწავლელია, მაგრამ, რადგან საქართველოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქრისტიანულ სამყაროსთან, განსაკუთრებით კი ბიზანტიასთან, არ შეიძლებოდა რომის სამართალს გარკვეული გავლენა არ მოეხდინა ქართულ სამართალზე. რომის სამართლის ცალკეული დებულებები თუ პრინციპები ასახვას პოულობს როგორც საეკლესიო, ისე საერო სამართლის ძეგლებში. ცნობილია, რომ საქართველოში მოქმედებდა დიდი და მცირე სჯულის კანონები. აღნიშნულმა კანონებმა კი ბევრი რამ შეითვისა რომის სამართლიდან.

საერო სამართლის ძეგლებიდან რომის სამართლის გავლენა უნდა ვეძიოთ ბაგრატ კურაპალატისა და ბექა-აღბუღას სამართლის წიგნებში.

რომის სამართლის გავლენის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესული „სამართალი ბერძნული“. ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა საკოდიფიკაციო კომისიას ბერძნული სამართლის ქართული ვერსია აღებული (ამოკრებილი) უნდა ჰქონდეს კონსტანტინე არმენოპულოს ექვსწიგნეულიდან, რომელიც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, რომის სამართლის რეცეფციის შედეგად მიიღეს და, რომელსაც სავალდებულო ძალა ჰქონდა როგორც საბერძნეთში, ისე ვლახეთში. ვახტანგ VI-ის საკოდიფიკაციო კომისიამ კარგად იცოდა, რომ კონსტანტინე არმენოპულოს ექვსწიგნეული რომაული სამართლიდან იყო რეცეფცირებული, მაგრამ, რადგან საბერძნეთში მოქმედებდა — ბერძნული სამართლის სახელწოდებით გადმოიტანა საქართველოში, ფაქტობრივად კი, იგი რომის სამართალი იყო. საქართველოს კანონმდებლობაზე რომის სამართლის გავლენის სხვა პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთს ჩვენ არ ვიცნობთ.¹

ვახტანგ VI-ის კოდექსში შეტანილი ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის შესახებ მრავალმა მეცნიერმა გამოთქვა თავისი მოსაზრება, მათ შორის მ. ბროსემ, ბ. როზენკამპმა, დ. ჩუბინაშვილმა, ვლ. სოკოლსკიმ, ი. დოლიძემ და სხვ.²

¹ ქართული სამემკვიდრეო სამართლისა და რომაული სამართლის თანაფარდობის შესახებ იხ. Б. Звидзе. Соотношение грузинского и греко-римского наследственного права. იხ. „მცხე“, ეკონომიკისა და საბრუნველ საქმის სერია, 1990, №4.

² უფრო ვრცლად იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1963, გვ. 578-592.

გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვახტანგ VI-ის კოდექსში ბერძნული სამართლის ქართული ვერსია უნდა წარმოადგენდეს XIV საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწის მათე ვლასტარის 1335 წ. სინტაგმის შემოკლებას. მეორე მხრივ, ბერძნული სამართლის ქართული ვერსია უნდა ეყრდნობოდეს სალონიკელი მოსამართლის კონსტანტინე არმენოპულოს 1345 წლის „ექქესწიგნეულს“, რომელიც, თავის მხრივ, IX საუკუნის ბიზანტიური სამართლის — პროხეირონის შემოკლებული და გადამუშავებული რედაქცია იყო.

ვახტანგ VI-ის კოდექსში შეტანილი ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის შესახებ საინტერესო მიგნება აქვს თ. ბრეგვაძეს. მან 1964 წელს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბერძნულ ხელნაწერთა ფონდში აღმოაჩინა ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის დედანი, ბერძნულ ენაზე, რომლის ანალიზით მიაკვლია, რომ იგი მართლაც მათე ვლასტარის სინტაგმისა და კონსტანტინე არმენოპულოს „ექქესწიგნეულის“ ბაზაზეა შექმნილი. ხელნაწერი გადაუწერიათ 1670 წელს გალაცში, მოლდავეთ-ვლახეთის გამგებლის (მთავრის) იოანე დუკას დროს.¹

თ. ბრეგვაძე წერს: „ვინც კი შეხებია ბერძნული სამართლის ქართულ თარგმანს, ყველა ვლ. სოკოლსკის გარდა, ერთხმად აღიარებს, რომ ეს კანონები ბიზანტიური კანონებია. ბიზანტიურ კანონებს კი უწოდებენ ბერძნულ-რომაულ სამართალს“².

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბერძნული სამართალი ზოგჯერ „იუსტინიანე მეფის“ სამართლად მოიხსენიება.³

¹ უფრო ვრცლად იხ. ბერძნული სამართალი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებიდან, თბ., 1964, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ბრეგვაძემ.

² იქნ ვ. 020.

³ იქნ ვ. 017.

თავი მეორე

რომის სახელმწიფო სამართალი

რომის სახელმწიფოს წარმოშობა, განვითარება, წყობილება, მმართველობა

რომის სახელმწიფოსა და სამართალს დიდი ხნის ისტორია აქვს. ბუნებრივია, ამ ხნის მანძილზე სახელმწიფო წყობილება და მმართველობა არ ყოფილა ერთნაირი, უცვლელი, იგი ვითარდებოდა, თანდათან იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა. რომის სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების პერიოდიზაცია ერთმანეთს არ ემთხვევა. რომის სახელმწიფოს ისტორია იყოფა შემდეგ პერიოდებად:

- 1) რექსების, ანუ მეფეთა ხანა (ჩვ. წ. აღ.-მდე VIII-VI სს.).
- 2) რესპუბლიკის პერიოდი (ჩვ. წ. აღ.-მდე V-I სს.).
- 3) იმპერიის პერიოდი (ახ. წ. აღ.-ით I-V სს.).

პროფ. ზ. ჩერნილოვსკის აზრით, რექსების ხანა მოიცავდა პერიოდს 754 წლიდან 510 წლამდე. რესპუბლიკის პერიოდი იწყება რომის უკანასკნელი მეფის ტარკვინიუს ამაყის ჩამოგდებითა და რესპუბლიკური წყობის დამყარებით, მისი განმტკიცებით 510-509 წლიდან ჩვ. წ. აღ.-მდე 27 წლამდე, ხოლო მესამე – იმპერიის პერიოდი იწყება 27 წლიდან და გრძელდება ახალი წელთაღრიცხვის 476 წლამდე. „მიღებულია, რომ დასავლეთ რომის იმპერიის დასასრულად ბარბაროს ოდოაკრის მიერ რომის ტახტის უზურპაცია ჩაითვალოს“¹

თანამედროვე რომანისტიკა, ანუ მეცნიერება რომის სამართლის შესახებ გამოყოფს რომის სამართლის განვითარების ხუთ პერიოდს:

1. არქაული პერიოდი (ჩვ. წ. აღ.-მდე 753-367 წწ.);
2. წინაკლასიკური პერიოდი (ჩვ. წ. აღ.-მდე 367-27 წწ.);
3. კლასიკური პერიოდი (ჩვ. წ. აღ.-მდე 27 წ. ჩვ.წ-მდე – 284 წ. ჩვ. წ. აღ.-ით);
4. პოსტკლასიკური პერიოდი (IV-V სს. ჩვ.წ. აღ.-ით);
5. იუსტინიანეს პერიოდი (527-565 წწ.).

¹ ზ. ჩერნილოვსკი, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია. თბ., 1992, გვ. 64.

ლეგენდის მიხედვით რომი დააარსა რომეულუსმა ჩვ.წ.აღ-მდე 754 წელს. რომაელები ამ დღიდან ითვლიან თავიანთ წელთაღრიცხვას.

რომი წარმოადგენდა პატარა ქალაქ-თემს, რომელმაც დაიმორჩილა მთელი აპენინის ნახევარკუნძული და შემდგომში მსოფლიო მონათმფლობელური სახელმწიფო გახდა. რექსების ხანაში წარმოშობილი რომის სახელმწიფო ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი, მასში ერთმანეთს ებრძვის გვაროვნული და მონათმფლობელური წყობილების საწყისები. როგორც მიუთითებენ, ეს ის პერიოდი, როდესაც გვაროვნული წყობილება თავის აღსასრულს მიახლოებია, სახელმწიფო კი სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებული არ არის.

განვიხილოთ საზოგადოების სოციალური სტრუქტურა და პოლიტიკური ორგანიზაცია რექსების ხანაში.

რექსების ხანაში რომში საზოგადოებას მართავდა შემდეგი ორგანოები თუ დაწესებულებები:

1. მთელი რომელი ხალხი დაყოფილი იყო 300 გვარად, ანუ 30 კურიად, ანუ 3 ტრიბად. ერთ კურიაში 10 გვარი შედიოდა, ხოლო ერთ ტრიბაში 100 გვარი, ანუ 10 კურია, ყოველივე ეს, ე.ი. 300 გვარი, ანუ 30 კურია და 3 ტრიბა შეადგენდა მთელ რომელ ხალხს, ანუ პოპულუსს — *populus romanus quirites* (პოპულუს რომანუს კვირიტეს). ძველი რომაელები თავის თავს „კვირიტებსაც“ უწოდებდნენ. მოსახლეობის ასეთი დაყოფა ხელოვნური უნდა იყოს, შესაძლებელია იგი განხორციელდა ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნეში, ეტრუსკების მიერ რომის დაპყრობის დროს.¹

2. კურიის კრება — *comitia curiata* (კომიცია კურიატა). იგი წარმოადგენდა სახალხო კრების უძველესს, თავდაპირველ სახეს რომში. რადგან არსებობდა 30 კურია. შესაბამისად მოიწვეოდა 30 სახალხო კრება. თითოეულ კურიას თითო ხმა ჰქონდა. საკითხი მიღებულად (გადაწყვეტილად) ითვლებოდა, თუ მას 16 წევრი მისცემდა დადებით ხმას. კურიის კრება წარმოადგენდა საზოგადოებრივი ხე-

¹ მ. პერეტერსკი, სახელმწიფოსა და საბატონოს ზოგადი ისტორია, თბ., 1947, გვ. 18.

ლისუფლების უმაღლეს ორგანოს რექსების ხანაში. იგი იხილავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა: ომისა და ზავის, ტომის წინამძღოლის, ანუ რექსის არჩევის, სიკვდილმისჯილის განაჩენის გადასინჯვის, შვილად აყვანის, ანდერძით მემკვიდრეობისა და სხვ. აქედან ჩანს, რომ კურიის კრებას ფართო უფლებები ჰქონდა.

3. სენატი – **Senatus** (სენატუს) წარმოადგენდა უხუცესთა საბჭოს და აღმოცენდა გვარების უხუცესთა, ანუ გვარების ბელადთა საბჭოდან.

სენატი წარმოადგენდა მმართველობის უმაღლეს ორგანოს. თავდაპირველად სენატი 100 წევრისაგან შედგებოდა. შემდგომში მისი შემადგენლობა გაიზარდა და გვარების რაოდენობას დაემთხვა.

სენატი იხილავდა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორცაა: დასკვნების მიცემა სახალხო კრებებზე განსახილველ საკითხებზე, დადგენილებების დამტკიცება ან გაუქმება, დადგენილებების შესრულებაზე ზედამხედველობა, სახალხო კრების მიერ არჩეული რექსის დამტკიცება, საგარეო ურთიერთობის საკითხები. სენატი ახორციელებდა ზედამხედველობას კურიათა კრებების მუშაობაზე, მას უფლება ჰქონდა განეხორციელებინა რექსის ხელისუფლება უმეფობის პერიოდში, ანუ ახალი რექსის არჩევამდე.

4. რექსი – **Rex** (რექს) იგივე ტომის ბელადი, წინამძღოლია, რომელიც თავისი უფლებამოსილებით ბერძნულ „ბასილევსს“ მოგვაგონებს. ბურჟუაზიული ისტორიკოსები რექსს უწოდებენ მეფეს. მაგრამ ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაცაა, რექსი მთლიანად არ ემთხვევა მეფის ცნებას,¹ თუმცა უკანასკნელი პერიოდის ლიტერატურაში რექსი და მეფე იდენტურ ცნებებადაა მიჩნეული.

როგორც აღინიშნა, რექსი ბელადია, იგი ჯარის წინამძღოლი, უმაღლესი მსაჯული და ქურუმი. რექსის ხელისუფლება ადათით იყო რეგლამენტირებული. მისი ძალაუფლება იზღუდებოდა სახალხო კრებისა და სენატის მიერ. მას ხალხი ირჩევდა. რადგან რექსი არჩევითი თანამდებობა იყო და მისი გადაყენება შეეძლო სახალხო კრებას თუ სენატს ან, რადგან იგი მემკვიდრეობით ტიტულის მიმღები იყო – ეს განასხვავებდა მას მეფისაგან.

¹ იხ. ი. პერეტრსკი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, თბ., 1947, გვ. 19.

განვიხილოთ რომის საზოგადოებრივი წყობილება რექსების ხანაში.

რექსების ხანაში რომში მოსახლეობის სამი ძირითადი ფენა, სამი კატეგორია არსებობდა: 1) პატრიციები, ანუ სრულუფლებიანი რომაელი მოქალაქეები; 2) კლიენტები, ანუ საშუალო ფენა, რომლებიც პატრიციების ქვეშევრდომნი იყვნენ; 3) პლებეები, ანუ პირადად თავისუფალი ხალხი, წვრილი მიწათმფლობელები, პლებეებს უერთდებოდა ასევე დაპყრობილ ტერიტორიებზე დასახლებული ხალხი. „პლებეების წარმოშობა გაურკვეველი და სადავოა. ერთი კი ცხადია, რომ ისინი გვაროვნული ორგანიზაციის გარეთ იდგნენ და ამიტომ თემის მართვაში არ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება. პლებეები პირადად თავისუფალი იყვნენ, სამხედრო სამსახურსაც პატრიციების თანაბრად ეწეოდნენ, იხდიდნენ გადასახადებს...“¹ ჰქონდათ სიმდიდრეც, მაგრამ მოკლებული იყვნენ პოლიტიკურ უფლებებს, პლებეები ეკონომიკურად დამოკიდებული იყვნენ პატრიციებზე.

პატრიციებსა და პლებეებს შორის მუდმივი წინააღმდეგობა იყო. ამ წინააღმდეგობის შესარბილებლად უამრავი ღონისძიება გატარდა, მაგრამ ამ ღონისძიებებმა (რეფორმებმა) არათუ შეარბილა პატრიციებსა და პლებეებს შორის წინააღმდეგობა, არამედ უფრო სრულყოფილი გახდა გვაროვნული საზოგადოების ორგანიზაცია, ჩამოყალიბდა პოლიტიკური ორგანიზაცია, ანუ სახელმწიფო. სწორედ კლასობრივი წინააღმდეგობის შერბილებას ისახავდა მიზნად სერვიუს ტულიუსის რეფორმები, რომლებიც საბერძნეთში გატარებული სოლონისა და კლისთენის რეფორმების ანალოგიური იყო და, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ასეთმა რეფორმებმა არათუ შეარბილა კლასობრივი წინააღმდეგობები, არამედ ხელი შეუწყო სახელმწიფოს განმტკიცებას.

¹ ზ. ჩერნილოვსკი, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო იატორია, თბ., 1992, გვ. 66.

სმარკვიუს ტულიუსის რეფორმები

სერვიუს ტულიუსი რომის მეექვსე რექსია, რომელიც რომს VI საუკუნის შუა ხანებში მართავდა (ჩვ.წ. აღ.-მდე 578-533 წწ.). სერვიუს ტულიუსის რეფორმა მიზნად ისახავდა პატრიციებსა და პლებებს შორის წინააღმდეგობის შერბილებას, მათ შერიგებას, რადგან ამ პერიოდის რომი გარედან საფრთხეს უკვე აღარ ელოდა, მას შინაგანი საფრთხე, ანუ პატრიციებსა და პლებებს შორის წინააღმდეგობა უფრო აწუხებდა. სერვიუს ტულიუსმა გაატარა შემდეგი ღონისძიებები:

1) მთელი რომის მოსახლეობა, რათა წაემალა ზღვარი პატრიციებსა და პლებებს შორის, ქონებრივი ცენზის მიხედვით 6 ჯგუფად დაყო:

პირველ ჯგუფში შედიოდნენ ის მოქალაქეები, რომელთა ქონებაც შეადგენდა 100000 ასსი¹ და მას უნდა გამოეყვანა 80 ცენტურია, ანუ ასეული.

მეორე ჯგუფში — 75 ათასი ასსი, მას უნდა გამოეყვანა 22 ცენტურია.

მესამე ჯგუფში — 50 ათასი ასსი, მას უნდა გამოეყვანა 20 ცენტურია.

მეოთხე ჯგუფში — 25 ათასი ასსი, რომელსაც უნდა გამოეყვანა 22 ცენტურია.

მეხუთე ჯგუფში — 11 ათასი ასსი, მას უნდა გამოეყვანა 30 ცენტურია.

მექვსე ჯგუფში ირიცხებოდნენ ცხენოსნები, რომლებსაც 18 ცენტურია უნდა გამოეყვანა. გარდა ამისა, დაარსდა კიდევ 5 ცენტურია: ორი მუსიკოსებისა და ორი ხელოსნებისა, ერთი ცენტურია უნდა გამოეყვანა ყველა იმ ხალხს, ვისაც არ ჰქონდა იმდენი ქონება (11000 ასსი), რომ მეხუთე ჯგუფში ჩარიცხულიყო. ამ ცენტურიას ეწოდებოდა პროლეტარების ცენტურია, ანუ ადამიანთა თავებითა და არა ქონებით დასათვლელი ხალხი. ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ სულ რომში ჩამოყალიბდა 193 ცენტურია.²

რომის მოსახლეობის ქონებრივი ცენზის მიხედვით დაყოფა მიზნად

¹ პროფ. ზ. ჩერნილოვსკი აღნიშნავს, რომ ასსები ბრინჯაოს ფუნტები იყო, რომ აჯარმის გადახდისას 100 რომაული ბრინჯაოს ფუნტი უტოლდებოდა ხარის ფასს, ათ ფუნტს აძლევდნენ ცხვრისათვის“... იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 67.

² მ. ბარტოშეკი ცენტურიების განსხვავებულ კლასიფიკაციას იძლევა. იხ. М. Бартошек. Римское право. М., 1989, გვ. 66.

ისახავდა პატრიციებისა და პლებეების გათქვეფას, ერთმანეთში შერევას. ეს იყო აგრეთვე მოსახლეობის დაყოფა ქონებრივი ცენზის მიხედვითაც. ცენტურია იყო სამხედრო, პოლიტიკური, ასევე საგადასახადო ერთეული.

2) ცენტურია იმდენად იყო პოლიტიკური ერთეული, რამდენადაც შემოღებულ იქნა ცენტურიის სახალხო კრება, ანუ კომიცია ცენტურია. ასეთი კრება წარმოადგენდა სახალხო კრების ძირითად სახეს რესპუბლიკის პერიოდში, რომში, ჩვ. წ.აღ.-მდე V-I საუკუნეებში. თუ დავაკვირდებით, 193 ცენტურიიდან ყველაზე მეტი — 98 ცენტურია ეკუთვნის პირველი და მეექვსე კატეგორიის ხალხს. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ რაიმე საკითხის გადასაწყვეტად პირველი და მეექვსე ჯგუფების ხალხს იმაზე მეტი ხმა ჰქონდა, რამდენიც დანარჩენ ოთხ კატეგორიას, ანუ ოთხი ჯგუფის ხალხს და, თუ თითოეულ ცენტურიას ერთი ხმა ჰქონდა, პირველ და მეექვსე კატეგორიების ხალხს, ანუ მდიდრებსა და ცხენოსნებს ყოველთვის შეეძლოთ საკითხი სახალხო კრებაზე თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტათ, რადგან ისინი ხმების უმრავლესობას ფლობდნენ.

3) ცენტურიებსა და მათი შესაბამისი კრებების შემოღებასთან ერთად ძველ რომში დამკვიდრდა ასევე ტერიტორიული დაყოფაც. რომის მთელი ტერიტორია დაიყო ტრიბებად, კერძოდ, დაარსდა 4 საქალაქო და 17 სასოფლო ტრიბა. ეს უკვე ნიშნავდა მოსახლეობის დაყოფას ტერიტორიული ნიშნის მიხედვით (სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ნიშანი). ტრიბების შემოღებასთან ერთად დაწესდა ტრიბის სახალხო კრება, ანუ „კომიცია ტრიბიტა“, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონია გვაროვნულ ან სისხლით ნათესაურ ტრიბასთან.

სერვიუს ტულიუსის რეფორმებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც კლასობრივი წინააღმდეგობის შესარბილებლად გატარებულ ღონისძიებებს, რომელმაც ფაქტობრივად ხელი შეუწყო გვაროვნული წყობილებიდან სახელმწიფოებრივ წყობილებაზე გადასვლას. ისტორიულ და იურიდიულ მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი სერვიუს ტულიუსის რეფორმების უტყუარობის შესახებ, მაგრამ შეცდომა იქნება ამდენი ღონისძიების გატარება ერთ ადამიანს მიეწეროს. სინამდვილეში ეს არის ხანგრძლივი პროცესი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა, რომელიც რამდენიმე საუკუნეს გავრძელდა. სწორია ზ. ჩერნილოვსკი, როცა მიუთითებს, რომ სერვიუს ტულიუსმა თავისი

რეფორმით ვერ გაათანაბრა პატრიციები და პლებეები, ასეთი გაათანაბრებისათვის საჭირო გახდა კიდევ ორი ასეული წელი.¹

რომის საზოგადოებრივი წყობილება

ზემოთ ჩვენ გაკვრით შევეხეთ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას და დავასახელეთ ამ საზოგადოების წარმომადგენლები — პატრიციები, კლიენტები და პლებეები.

პატრიციები, ანუ რომის სრულუფლებიანი მოქალაქეები იყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც ეკუთვნოდა ერთ-ერთ რომაულ კეთილშობილურ გვარს და ამა თუ იმ კურიაში ირიცხებოდა. თვით სახელწოდება „პატრიცია“ ძალზე ძველია და გვაროვნული წყობილებიდან მომდინარეობს. პატრიციები წარმოშობილი უნდა იყვნენ ლათინთა და ეტრუსკთა წარჩინებულებისაგან. თვით სახელი წარმოდგა მათი საერთო წინაპრის **Pater** — სახელწოდებიდან.² ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით ტერმინი „პატრიცია“ თავდაპირველად აღნიშნავდა რომის გვარის სრულუფლებიან და ძირძველ წევრს. სრულუფლებიანი პატრიციების გარდა, რომში არსებობდა არასრულუფლებიანი წარჩინებული ხალხიც, მათ ეწოდებოდათ კლიენტები. კლიენტები დამოკიდებული იყვნენ სრულუფლებიან პატრიციებზე, ანუ ლათინურად — პატრონებზე. პატრონებსა და კლიენტებს შორის მყარდებოდა შემდეგი ურთიერთობა: კლიენტი შედიოდა რა პატრონის მფარველობაში, მასთან ერთად უნდა ყოფილიყო ომში თუ მშვიდობიანობის დროს, უნდა დახმარებოდა თავის პატრონს შრომაში თუ სხვა სახის საქმიანობაში, პატივი უნდა ეცა მისთვის. თავის მხრივ, პატრონს მფარველობა უნდა გაეწია კლიენტისათვის, დაეცვა იგი სასამართლოში, რადგან კლიენტს სასამართლოში გამოსვლის უფლება არ ჰქონდა. მათ შორის ურთიერთობა წესრიგდებოდა ადათებითა და რელიგიური ნორმებით.

პატრიციები წარმოიშვნენ ძველი საგვარეულო დიდკაცობიდან და წარმოადგენდნენ საგვარეულო არისტოკრატიას, რომელიც რექსების ხანაში ჩამოყალიბდა. პატრიციები მონათმფლობელთა ზედაფენა იყო და გაბატონებული მდგომარეობა ეკავა საზოგადოებაში, მაღალი თანამდებობის დაკავება მხოლოდ მათ შეეძლოთ.

¹ ზ. ჩერნილოვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

² М. Бартошек, Римское право. М., 1989, გვ. 240.

პლებეების შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და აქ დავუ-
მატებთ შემდეგს: სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხ-
ვაობაა პლებეების როგორც წარმოშობის, ისე სოციალური მდგომარ-
ეობის შესახებ. პლებეები იყვნენ როგორც წვრილი, ისე მსხვილი
მიწათმფლობელები, მაგრამ ისინი ვერ უთანაბრდებოდნენ ვერც
პატრიციებსა და ვერც კლიენტებს. ისინი არ სარგებლობდნენ პოლი-
ტიკური უფლებებით, გარკვეულ დრომდე არ ეძლეოდათ თანამდე-
ბობების დაკავების უფლება. ისინი სოციალური შემაღლენლობითაც
არ იყვნენ ერთგვაროვანნი, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პლებეები
რომში მოსული მოსახლეობაა, ზოგი მათ ეტრუსკების შთამომავლე-
ბად მიიჩნევს, რომლებიც რომის მოქალაქეები გახდნენ. რომში პატრიციე-
ბსა და პლებეებს შორის ბრძოლა თითქმის ორ საუკუნეს გაგრძელდა
და დამთავრდა იმით, რომ პლებეები პატრიციებში გაითქვიფნენ და
ერთიანი მონათმფლობელთა კლასი შექმნეს. ყველაზე მდიდარი პატრიციე-
ბის შერევა ყველაზე მდიდარ პლებეებთან, ქმნის რომის მმართველი
კლასის ზედაფენას — ნობილიტეტს.

რომის სახელმწიფო წყობილება რესპუბლიკის პერიოდში (ჩვ.წ.აღ-მდე 509-27 წწ.)

როგორც ცნობილია, ჩვ.წ. აღ.-მდე 509 წელს ჩამოაგდეს რომის
უკანასკნელი რეჟი, ტარკვინიუს ამაყი, რითაც დამთავრდა რეჟსების,
ანუ მეფეთა ხანა და დაიწყო რომის მეორე დიდი პერიოდი, მეორე
ხანა ანუ რესპუბლიკის პერიოდი, რომელიც მოიცავს V-I საუკუნეებს
(ჩვ.წ.აღ.-მდე 509-27 წწ). ეს არის პერიოდი მონათმფლობელური
რომის დემოკრატიის აყვავებისა, რომელიც, თავის მხრივ, ორ პერი-
ოდად იყოფა:

- 1) ადრინდელი რესპუბლიკის პერიოდი (V-II სს.).
- 2) გვიანდელი რესპუბლიკის პერიოდი (II-I სს.).

რესპუბლიკის პერიოდში რომის სახელმწიფო გადაიქცა მსოფლიო
სახელმწიფოდ, ომებისა და დაპყრობების შედეგად ფართოვდება რო-
მის სახელმწიფო. რომი თავის ბატონობას ავრცელებს არა მარტო
აპენინის ნახევარკუნძულზე, არამედ მის შემაღლენლობაში ექცევა
ესპანეთი, საფრანგეთი, ბალკანეთის ნახევარკუნძული, მცირე აზიის
ნახევარკუნძულის ნაწილები, სირია, პალესტინა, აფრიკის ჩრდილო

ნაწილი. ასე გახდა ტიბრის ნაპირზე მდებარე პატარა სახელმწიფო — რომი ხმელთაშუა ზღვის აუზის მბრძანებელი.

სახელმწიფოს ზრდის კვალობაზე მატულობს მონების ექსპლოატაცია, დაპყრობილი ხალხების ძარცვა, რის შედეგადაც სიმდიდრე თავს იყრის მონათმფლობელთა კლასის ზედაფენის ხელში, ჩვ. წ. აღ.-მდე II საუკუნიდან ვითარდება მსხვილი მიწათმფლობელობა. ლათი-ფუნდები მუშავდება მონების შრომით. ფართოვდება ვაჭრობა და მევახშეობა. მონათმფლობელთა კლასის შიგნით თავს იჩენს წინააღმდეგობა.

რაც შეეხება რომს, აქ თავს იყრის ლატაკთა მასები, რომლებიც მოკლებული არიან არსებობის საშუალებებს და თავიანთი შრომის გამოყენების შესაძლებლობას. ანტიკური რომის ლუმპენპროლეტარიატი საშიშროებას უქმნის გაბატონებულ კლასს. კლასობრივი წინააღმდეგობების შესარბილებლად ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა შორის აღსანიშნავია ძმები გრაკხების რეფორმები. ტიბერიუს გრაკხის (ჩვ.წ. აღ.-მდე 133 წ.) კანონის თანახმად ბოჯანო გლესს იჯარით უნდა მისცემოდა მიწა. ამ ღონისძიებამ მსხვილი მიწათმფლობელების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან მათ არ სურდათ მიწის იჯარით გაცემა. ამიტომაც მოკლეს ტიბერიუს გრაკხი. მისმა ძმამ გაიუს გრაკხმა ჩვ. წ. აღ.-მდე 123 წელს კვლავ შემოიღო აგრარული კანონი და ასევე პურის კანონი, ანუ უმიწოებისა და ხელმოკლეებისათვის პურის იაფად მიცემა. გაიუს გრაკხის მოწინააღმდეგეებმა, არისტოკრატებმა აიძულა იგი თავი მოეკლა. ამდენად, გრაკხების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ უშველა დაბალ ფენებს, ვერ გააუმჯობესა მათი მდგომარეობა.

როგორც აღინიშნა, გლეხობასთან ერთად უკიდურეს ვაჭირვებას განიცდიდნენ მონებიც. ამიტომაც ადგილი ჰქონდა მონათა გამოსვლებს. მონათა აჯანყებებს შორის გრანდიოზული იყო აჯანყება სპარტაკის ხელმძღვანელობით. მონების აჯანყებები სასტიკად დამარცხდა, მას არ მოჰყოლია წარმოების წესის შეცვლა, თუმცა უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია.

ჩვ. წ. აღ.-მდე I საუკუნეში, მონათა აჯანყებისა და ბარბაროსული ტომების შემოსევის შედეგად რომში ემხოზა რესპუბლიკა, ანუ უქმდება დემოკრატიული დაწესებულებები და ხდება იმპერიაზე გადასვლა.

განვიხილოთ რომის სახელმწიფო წყობილება რესპუბლიკის პერიოდში.

რესპუბლიკის პერიოდში რომში მოქმედებდა შემდეგი სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები:

1. სახალხო კრებები;
2. სენატი;
3. მაგისტრატურა.

რესპუბლიკის პერიოდის რომში იყო სამი სახის კრება: 1) კურიის სახალხო კრება; 2) ცენტურიის სახალხო კრება; 3) ტრიბას სახალხო კრება.

რესპუბლიკის პერიოდში კურიათა სახალხო კრება კარგავს ადრინდელ გავლენას და რაიმე მნიშვნელოვან ფუნქციას აღარ ასრულებს. მათი ძირითადი ფუნქცია იყო არჩეული თანამდებობის პირებისათვის ხელისუფლების ფორმალურად მინიჭება, ანუ მათი დამტკიცება. შემდგომში კურიის სახალხო კრება შეცვალა 30 ლიქტორთა¹ კრებამ.

ცენტურიის კრება, ანუ კომიცია ცენტურია პირველად ჩამოყალიბდა სერვიუს ტულიუსის რეფორმებით და რესპუბლიკის პერიოდში სახალხო კრების ძირითად სახეს წარმოადგენდა. მის კომპეტენციაში შედიოდა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების განხილვა. ასეთი კრება ირჩევდა უმაღლეს თანამდებობის პირებს, ღებულობდა კანონპროექტებს, რომლებიც კრებაზე განსახილველად შეჰქონდათ მაგისტრატებს. მათ გააჩნდათ სასამართლო ფუნქციებიც, იხილავდნენ მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებზედაც შეიძლებოდა სასჯელად გამოეყენებინათ სიკვდილით დასჯაც კი.

ტრიბას კრება, ანუ კომიცია ტრიბიტა წარმოადგენდა არა ჯარის, ანუ სამხედრო ქვეგანაყოფის კრებას, არამედ სამოქალაქო დაწესებულებების, ანუ ტერიტორიული ოლქების კრებას. ჩვ.წ. აღ.-მდე III საუკუნიდან ტრიბების რაოდენობა გაიზარდა 35-მდე, იმის გამო, რომ რომში იმატა მოსახლეობამ, კერძოდ, პლებეებმა. არსებობდა ორი სახის ტრიბის კრება: 1) კრება, რომელსაც ესწრებოდნენ პატრიციები და პლებეები ერთად. 2) კრება მხოლოდ პლებეებისათვის. ტრიბას კრებაზე ირჩევდნენ თანამდებობის პირებს, მაგალითად, ედილებს, კვეს-

¹ ლიქტორები იყვნენ საპატიო მკველები, რომლებიც თან ახლდნენ მაგისტრატებს. მაგალითად, დიქტატორს წინ მიუძღოდა 24 ლიქტორი, კონსულს - 12, პრექტორს - 6, ლიქტორები იცავდნენ წესრიგს, ასრულებდნენ განაჩენსა და სხვ.

ტორებს, ცენზორებსა და სხვ. ღებულობდნენ და ამტკიცებდნენ პრეტორის მიერ შეტანილ კანონპროექტებს, მასვე ექვემდებარებოდა ზოგიერთი ქურუმის არჩევა.

რესპუბლიკის პერიოდის რომში სახალხო კრებებს იწვევდნენ მაგისტრატების ინიციატივით. მაგისტრატები თვითონვე ხელმძღვანელობდნენ სახალხო კრებების ჩატარებას. კრება იწყებოდა დილით. მას წინ უძღოდა რელიგიური რიტუალის შესრულება და მთავრდებოდა მზის ჩასვლისას. ხმის მიცემა თავდაპირველად ღია კენჭისყრით ხდებოდა, ხოლო შემდგომში — სპეციალური ფირფიტებით, ფარული კენჭისყრა შემოიღეს.

სახალხო კრებებმა თავისი მისია ამოწერა რესპუბლიკის დასასრულთან ერთად. მართალია, იმპერიის პერიოდში გადმონაშთის სახით კიდევ შემორჩა სახალხო კრებები, მაგრამ მათ არავითარი ფუნქცია აღარ ჰქონდათ.

სენატი. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, სენატი რექსების ხანაში ჩამოყალიბდა და უხუცესთა საბჭოს წარმოადგენდა. მასში გვარების უხუცესები შედიოდნენ. რესპუბლიკის პერიოდში სენატი ერთადერთი მუდმივმოქმედი კონსტიტუციური ორგანო გახდა, რომელმაც უჩვეულოდ დიდი ხელისუფლება მოიხვეჭა და პატრიციების, ხოლო მოგვიანებით ნობილიტეტის დასაყრდენად იქცა.

სენატორთა დანიშვნა ხდებოდა კონსულების მიერ, IV საუკუნეიდან კი — ცენზორი ნიშნავდა. ყოველ ხუთ წელიწადში სენატორთა სია გადაისინჯებოდა. ამასთან, ცენზორს შეეძლო წინანდელი სენატორი არც კი შეეყვანა სიაში. სენატის შემადგენლობაში უმთავრესად ყოფილი მაგისტრატები შეჰყავდათ, ხოლო ჩვ.წ. აღ.-მდე IV საუკუნეიდან სენატის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი მდიდარი პლებეებისაგან კომპლექტდებოდა. სენატის წევრთა რიცხვი თავდაპირველად, როცა მასში მხოლოდ პატრიციები შედიოდნენ, არ აღემატებოდა 300, მოგვიანებით — 600, ცენზარის დროს კი 1000 მიაღწია. სენატორებს თავიანთი განმასხვავებელი ნიშნები ჰქონდათ.

სენატის სხდომებს მაგისტრატები ხელმძღვანელობდნენ. სენატის უფლებამოსილებაში შედიოდა ცენტურიებისა და ტრიბების კრებების მიერ მიღებული კანონების დამტკიცება. ეს უფლებამოსილება IV საუკუნიდან შეიცვალა და სენატს დაეკავა კანონპროექტების წინასწარი განხილვა. სენატს ჰქონდა ასევე ვეტოს უფლება.

სენატი გამოსცემდა განკარგულებებს საზოგადოებრივი უშიშროების, კეთილმოწყობისა თუ სხვა საკითხებზე. სენატი ადგენდა ქვეყნის ბიუჯეტს 5 წლით, სამხედრო ბიუჯეტს 1 წლით. სენატი აწესებდა გადასახადებს და შემოსავლის საგანგებო წყაროებს ეძებდა. სენატი მთავალყურეობდა სახელმწიფო ქონების განაწილების სამართლიანობას. საგარეო პოლიტიკაში სენატი აქტიურად მონაწილეობდა. იგი აწარმოებდა მოლაპარაკებებს დებდა ხელშეკრულებებს, აგზავნიდა ელჩებს. სენატი ანაწილებდა პროვინციებს არმიების მხედართუფროსთა შორის. საგანგებო შემთხვევაში ან სახელმწიფოში მღელვარების წარმოშობისას თუ რევოლუციური აღმავლობისას, სენატს შეეძლო დაენიშნა დიქტატორი, ან მიენიჭებინა მაგისტრატებისათვის შეუზღუდავი ძალაუფლება.

სენატი განაგებდა რელიგიური კულტის საკითხებსაც, კერძოდ, ხელმძღვანელობდა რელიგიურ ცერემონიალებს, ზრუნავდა ტაძრების აგებაზე და სხვ.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის მეორე პერიოდში სენატი დიდ ძალაუფლებას იხვეჭდა და ამით ამცირებდა სახალხო კრებების როლს.

მაგისტრატები Magistratus (მაგისტრატუს) – რომის რესპუბლიკის პერიოდის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების თანამდებობის პირები იყვნენ, მაგისტრატურა სენატსა და სახალხო კრებებთან ერთად სახელმწიფოს ძირითად საყრდენს წარმოადგენდა.

რომის მაგისტრატურა არჩევითი თანამდებობებისაგან შედგებოდა, თუმცა ზოგჯერ მასში დანიშვნიტი თანამდებობის პირებიც შედიოდნენ. მაგისტრატად შეიძლებოდა გამხდარიყო რომის სრულუფლებიანი მოქალაქე, მაგრამ პოსტს ვერ დაიკავებდა ხელმოკლე, ღარიბი ადამიანი, რადგან მაგისტრის თანამდებობა უსასყიდლო იყო და ამ თანამდებობის დამკავებელი დიდძალი სახსრების მქონე უნდა ყოფილიყო. ამდენად, მაგისტრატებად ხდებოდნენ შეძლებული ოჯახის წევრები. ამ თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტს პირადად უნდა წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა. მაგისტრებს ირჩევდა ხალხი სახალხო კრებებზე.

რომის მაგისტრატებისათვის დამახასიათებელი იყო შემდეგი ოთხი ნიშანი: ა) ვადიანობა. საერთო წესით ყველა მაგისტრატს ერთი წლით ირჩევდნენ.

ბ) კოლეგიურობა. თითოეულ თანამდებობაზე (გარდა დიქტატორისა) რამდენიმე პირს ირჩევენ. მართალია, მაგისტრატებს შორის უფროს-უმცროსობა დაცული იყო, მაგრამ ცალკეული მაგისტრატის თვითნებობა იზღუდებოდა სხვების მიერ, საკითხის გადაწყვეტა ურთიერთ შეთანხმებით ხდებოდა.

გ) უსასყიდლობა. მაგისტრატებს გასამრჯელო არ ეძლეოდათ. აქედან გამომდინარე, ამ თანამდებობას ღარიბი, უქონელი კაცი ვერ დაიკავებდა. რესპუბლიკის მეორე პერიოდში მაგისტრატები ფორმალურად არ იღებდნენ ხელფასს, მაგრამ თავიანთი თანამდებობით, ფაქტობრივად მდიდრდებოდნენ.

დ) ანგარიშვალდებულება. როგორც ზემოთაც აღინიშნა, მაგისტრატებს ირჩევდა ხალხი სახალხო კრებებზე, მაგრამ მაგისტრატები თავიანთი მოვალეობის განხორციელებისას ხალხზე აღარ იყვნენ დამოკიდებული. მათი საქმიანობა განისაზღვრებოდა სპეციალური კანონით. ჩვეულებრივად მაგისტრატების ანგარიშვალდებულების საკითხი დგებოდა არა ყოველთვიურად ან ყოველწლიურად, არამედ მათი თანამდებობის ვადის დამთავრების შემდეგ. ზოგიერთი მაგისტრატი ანგარიშვალდებულებას არ ექვემდებარებოდა (მაგალითად, დიქტატორი, ცენზორი, პლებისის ტრიბუნი).

მაგისტრატები თავიანთი რანგის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფოდა:

1. იმპერიუმებად, ანუ უმაღლესი თანამდებობის პირებად;
2. პოტესტასებად, ანუ ისეთ მაგისტრატებად, რომლებსაც საკმაოდ დალაუფლება არ ჰქონდათ.

პირველი რანგის მაგისტრატები (კონსული, დიქტატორი, პრეტორი) აღჭურვილი იყვნენ ფართო უფლებებით: უმაღლესი სამხედრო ხელისუფლებით (ჯარის ხელმძღვანელი), სენატისა თუ სახალხო კრებების მოწვევის, მათი ხელმძღვანელობის უფლებით, სასამართლო საქმეების განხილვისა და სასჯელის (მათ შორის სიკვდილით დასჯის) გამოტანის უფლებით, იურიდიული საკითხების გადაწყვეტისა და ზოგჯერ კანონებში ცვლილებების შეტანის უფლებით. იმპერიუმებს ჰქონდათ ზოგიერთი უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობა, ანუ უფლება infamia (ინფამია), ბრძანების გამოცემისა და მათი შესრულების, დავალების მიცემის უფლება და სხვ.

პოტესტასები შეზღუდული უფლებების მქონე მაგისტრატები იყვნენ. ისინი იმპერიუმთა დავალებების ფარგლებში მოქმედებდნენ, მაგრამ

თქონდაც ჰქონდათ განკარგულებების, ანუ ედიქტების გამოცემის უფლება. მათვე ჰქონდათ ჯარიმების დადების უფლება. პოტესტასებს არ ჰქონდათ ის უფლებები, რაც გააჩნდათ იმპერიუმებს.

ახლა განვიხილოთ ცალკეულ მაგისტრატთა უფლება-მოვალეობანი.

1. კონსულები. კონსულების თანამდებობა დაწესდა მას შემდეგ, რაც გაუქმდა რექსის თანამდებობა ჩვ.წ. აღ.-მდე 509 წელს და იბრჩიეს ორი კონსული. თავდაპირველად კონსულის თანამდებობის დაკავების უფლება ჰქონდათ მხოლოდ პატრიციებს, ჩვ.წ. აღ.-მდე 367 წლიდან კი ერთ-ერთი კონსული პლებები უნდა ყოფილიყო. კონსულები უმაღლესი რანგის მაგისტრატები იყვნენ. მათი კომპეტენცია მეტად ფართო იყო. ისინი განაგებდნენ სხვადასხვა სფეროს. პირველ რიგში, კონსულები, სენატთან ერთად ამზადებდნენ და აწარმოებდნენ ომს, წვევებდნენ ზავის საკითხებს, ნიშნავდნენ ოფიცრებს, იწვევდნენ ცენტურიებისა და ტრიბების კრებებს, ასევე სენატის კრებებს და თავმჯდომარეობდნენ მათ. კონსულები ხელმძღვანელობდნენ შიდასახელმწიფოებრივ პოლიტიკასაც, წარუდგენდნენ კანონპროექტებსა თუ ადმინისტრაციული ღონისძიებების პროექტებს სენატს, მათ შეეძლოთ ყველა სხვა მაგისტრის განკარგულების გაუქმება საომარი პერიოდის დროს, ინაწილებდნენ ქვეყანას თავისი მოქმედების სფეროებად. კონსულებს მართლმსაჯულების განხორციელების უფლებაც ჰქონდათ.

კონსულების თანამდებობის ასეთი მნიშვნელობა ბადებდა წინააღმდეგობას მის დასაკავებლად. ფაქტობრივად, რომში ამ თანამდებობებს დაკავებდა მხოლოდ რამდენიმე გავლენიანი ოჯახის წარმომადგენელი.

2. პრეტორი. ეს თანამდებობა, როგორც მაგისტრატობა, დაარსდა ჩვ.წ. აღ.-მდე 367 წელს. 337 წლიდან მისი დაკავება პლებებსაც შეეძლოთ. პრეტორის თანამდებობა შემოღებულ იქნა კონსულის თანამდებობისათვის, იგი ცვლიდა კონსულს, ხელმძღვანელობდა ჯარს კონსულის დავალებით, წვევებდა ღირსეულებს მოქალაქეთა შორის, იწვევდა სახალხო კრებებს, თავმჯდომარეობდა ამ კრებებზე. რომში სხვადასხვა დროს არსებობდა როგორც რომაელების პრეტორი, ანუ praetor urbanus (პრეტორ ურბანუს), ისე პერეგრინების პრეტორი, ანუ praetor peregrinus (პრეტორ პერეგრინუს). ეს უკანასკნელი, ანუ პერეგრინების პრეტორი, იხილავდა ქონებრივ დავებს რომის მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის ან მხოლოდ უცხოელებს შორის.

თავისი საქმიანობის განხორციელებისას პრეტორი გამოსცემდა ედიქტებს. მაგალითად, თუ კანონი ზოგადი იყო, პრეტორი კონკრეტულ ახსნა-განმარტებას იძლეოდა და თავისი ედიქტით განამტკიცებდა კანონის ახსნა-განმარტებას. სწორედ ასეთმა ედიქტებმა რომში სამართლის ცალკე სახე შეადგინა, რომელსაც პრეტორული სამართალი ეწოდა.

3. ცენზორები. ეს თანამდებობა წარმოიშვა პატრიციებსა და პლებებს შორის გამწვავებული ბრძოლის შედეგად ჩვ.წ. აღ-მდე 443 წელს. 351 წლიდან მისი დაკავება პლებებსაც შეეძლოთ. რომში ორი ცენზორი იყო, რომლებსაც ირჩევდნენ ყოველი ხუთი წლის შემდეგ 1,5 წლის ვადით.

ცენზორის ძირითად მოვალეობას შეადგენდა მოქალაქეთა განაწილება ცენტურიებსა და ტრიბებში — ქონებრივი ცენზის, ასაკისა და კლასობრივი კუთვნილების გათვალისწინებით. ცენზორები ადგენდნენ ასევე სენატორთა სიებს, გარდა ამისა, ისინი ახორციელებდნენ მეთვალყურეობას საზოგადოებრივ წესრიგზე, საოჯახო და მორალურ წესებზე, საოჯახო, საზოგადოებრივი თუ მორალური წესების დარღვევისათვის ცენზორებს გამოჰქონდათ საზოგადოებრივი ვაკიცხვა. სამარცხინო ქცევის ჩამდენთ ცენზორები ამოშლიდნენ სენატორთა სიიდან ან გამოიყვანდნენ მხედართა სიებიდან, გადაჰყავდათ ისინი უფრო დაბალ ცენტურიასა თუ ტრიბაში. ცენზორები ხელმძღვანელობდნენ საფინანსო საქმიანობის ცალკეულ საკითხებსაც, ასევე საშუაობს მდაროებში და სხვ. თავიანთი მუშაობის შესახებ ადგენდნენ ან გარიშებს ე.წ. tabulae censoriae (ტაბულე ცენზორიე).

4. ედილები. ედილები სხვადასხვა სახისა და სახელწოდების იყვნენ, მათ შორის — პლებსის ედილი, კურულის ედილი, სერეალი ედილი.

პლებსის ედილები იცავდნენ პლებების ტაძრებს, მათ განძეულობას.

კურულის ედილების თანამდებობა დაწესდა ჩვ.წ. აღ.-მდე 367 წელს. მათი საქმიანობა სამი მიმართულებით წარიმართებოდა: ა) პურის, მოსავლის თუ სხვა სახის საკვები პროდუქტების მოყვანასა თუ განაწილებაზე ზედამხედველობა; ბ) სანახაობებზე წესრიგი დამყარება, გ) ქალაქებში წესრიგის დაცვა.

სერეალის ედილები თვალყურს ადევნებდნენ არჩევნების ჩატარების კანონიერებას.

ერთი სიტყვით, ედილები საპოლიციო ფუნქციებს ახორციელებდნენ.

5. კვესტორები. კვესტორები თავდაპირველად კონსულების თანამშემწეები იყვნენ. შემდგომში მათ მრავალნაირი ფუნქცია შეიძინეს: იხილავდნენ სადავო საქმეებს, განაგებდნენ ხაზინას, ახორციელებდნენ არქივების გამგებლობას, ასევე საგამომცემლო ფუნქციებს. პროცინციებში კვესტორები ფინანსურ საქმეებს განაგებდნენ.

6. პლებსის ტრიბუნი. მიუხედავად იმისა, რომ პლებები ცნეს რომაელი ხალხის ნაწილად, ისინი იურიდიულად და ფაქტობრივად კერ გაუთანაბრდნენ პატრიციებს. რომში კვლავინდებურად გრძელდებოდა პლებების ბრძოლა პატრიციებთან გასათანაბრებლად.

ჩვ.წ. აღ.-მდე V საუკუნის დასაწყისში პლებებმა განიმტკიცეს მდგომარეობა და შეძლეს აერჩიათ თავიანთი წარმომადგენლები ე.წ. პლებსის ტრიბუნები **tribunus plebis** (ტრიბუნუს პლების), რომლის მთავარი ამოცანა პლებების ინტერესების დაცვა იყო.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პლებების ტრიბუნებს თავდაპირველად მხოლოდ თავიანთი კლასის ინტერესების დაცვის ფუნქცია ჰქონდათ. შემდგომში კი მიღწიეს იმას, რომ ვეტო დაედოთ მაგისტრატების განკარგულებებზე, მაგრამ რაიმე განკარგულებების გაცემის უფლება მათ არ ჰქონდათ. თანაც ვეტოს დადება ხდებოდა მმართველობის ეიწრო სფეროზე. მაგალითად, გადასახადების გადახდევინების, ჯარიმის დაკისრების საკითხზე და სხვ. თანდათანობით პლებები თავიანთი ტრიბუნის მეშვეობით ფართო უფლებებს იხვეჭდნენ. პლებსის ტრიბუნს მიენიჭა უფლება ვეტო დაედო მაგისტრატების ყოველგვარ განკარგულებებზე — თვით სენატის განკარგულებაზედაც კი. პლებსის ტრიბუნები მონაწილეობდნენ სენატის სხდომებში, იწვევდნენ პლებების კრებებს, თავმჯდომარეობდნენ და წარმართავდნენ მათ. პლებებმაც იწყეს სხვადასხვა თანამდებობების დაკავება. მაგალითად, 409 წელს მათ მიეცათ უფლება კვესტორის თანამდებობის დასაკავებლად, 367 წლიდან კი სპეციალური კანონით ერთ-ერთი კონსული პლებები უნდა ყოფილიყო. 364 წლიდან მათ შეეძლოთ კურულის ედილის თანამდებობა დაეკავებინათ, 356 წლიდან კი დიქტატორისა, 351 წლიდან — ცენზორისა, 337 წლიდან — პრეტორისა, ხოლო 445 წლიდან დაკანონდა პატრიციებთან ქორწინების იურიდიული უფლება.

პლებსის ტრიბუნის პიროვნება ხელშეუხებელი იყო, მისი ხელყოფისათვის სიკვდილით ისჯებოდნენ.

პლების ტრიბუნს სპეციალურ კრებებზე რამდენიმე კაცის შემადგენლობით ირჩევდნენ (2-დან 10 კაცამდე). ამ კრებებზე პატრიციები არ მონაწილეობდნენ.

ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული თანამდებობის გარდა, რომში იყვნენ ასევე დაბალი რანგის მაგისტრატები (სულ 26), რომლებიც იხილავდნენ ზოგიერთ სასამართლო საქმეს, ზედამხედველობდნენ გზებს და სხვ. მაგისტრატებს თავიანთი მოსამსახურეები ჰყავდათ, მათ შორის, მწერლები, აღმრიცხველები, მცველები, შიკრიკები, აღმასრულებლები და სხვ.

ზემოთ აღნიშნული მაგისტრატები (კონსული, პრეტორი, ცენზორი, ედილი, კვესტორი, ტრიბუნი) წარმოადგენდნენ ორდინალურ, ანუ ჩვეულებრივ მაგისტრატებს, მაგრამ რომის რესპუბლიკის პერიოდში ცნობილია აგრეთვე ექსტრაორდინალური, ანუ საგანგებო მაგისტრატები. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ დიქტატორი.

დიქტატორის დანიშვნა ხდებოდა ომის შემთხვევაში ან კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში წესრიგის დასამყარებლად. დიქტატორის დასანიშნად სენატი წინადადებას აძლევდა კონსულს. კონსული ან სამხედრო ტრიბუნი, რომელსაც კონსულის ხელისუფლება ჰქონდა ომის მსვლელობისას, სახელმწიფოსათვის უკიდურესი საფრთხის დროს, ნიშნავდა დიქტატორს 6 თვით. ამ ხნის მანძილზე დიქტატორს ემორჩილებოდა ყველა მაგისტრი. მისი უფლებამოსილება იმდენად ფართო იყო, რომ მის მიერ გამოტანილი სიკვდილით დასჯის განაჩენი — აპელაციას არ ექვემდებარებოდა. დიქტატორი თვითონ ნიშნავდა მოადგილეებს. ჩვ. წ. აღ.-მდე I საუკუნიდან რომში დიქტატორი ინიშნებოდა უფრო დიდი ხნით. ეს მოასწავებდა რესპუბლიკის აღსასრულს და დიქტატურაზე, ანუ იმპერიაზე გადასვლას.

რომის აღზილობრივი მმართველობა, ანუ პროვინციების მმართველობა

პროვინციებად ითვლებოდა იტალიის გარე ოლქები, რომლებიც რომს ჰქონდა დაპყრობილი. პროვინციას განაგებდა რომელიც მაგისტრატები (ერთ-ერთი კონსული ან პრეტორი). იგი აღჭურვილი იყო ფართო უფლებებით როგორც სამხედრო, ისე ადმინისტრაციულ, სამოქალაქო თუ საფინანსო დარგებში. I საუკუნიდან შემოღებულ იქნა

კანონი, რომლის ძალითაც პროვინციების იმ მმართველებს, რომლებსაც დაუმთავრდათ საქმიანობის ვადა, უფლება მიეცათ დარჩენილ იყვნენ პროკონსულებად, ანუ პროპრეტორებად და გაეგრძელებინათ საქმიანობა.

პროვინციების მართვის წესსა თუ გადასახადების ოდენობას განსაზღვრავდა რომის სენატი. გარკვეული წესების გამოცემის უფლება ჰქონდა პროვინციის მმართველსაც. იგი თავის პროვინციაში უმაღლესი ხელისუფალი იყო. პროვინციის მმართველი სასამართლოს ფუნქციებსაც ფლობდა, მისი განაჩენის გასაჩივრება რომის სასამართლოში არ დაიშვებოდა (გარდა რომაელი მოქალაქეებისა).

პროვინციების მმართველობა ყველგან ერთნაირი არ იყო. ზოგიერთ პროვინციას თვითმმართველობის უფლება ენიჭებოდა. ასეთი პროვინციების მცხოვრებნი რომის მოქალაქეობასაც ღებულობდნენ.

ზოგიერთმა დაპყრობილმა ქვეყანამ შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა რომთან ფედერაციაში შესვლით.

იტალიის მართვა-გამგეობა

როგორც ზემოთაც აღინიშნა, თვით რომი ერთი პატარა ქალაქი იყო. ომების შედეგად კი მან მთელი იტალია დაიპყრო. დაპყრობილ ტერიტორიებს (ქალაქებს) ზოგჯერ ავტონომიას უტოვებდა ან რომაელ მოხელეებს ჩაუყენებდა სათავეში. ასეთი ტერიტორიების (ქალაქების) მცხოვრებნი, მართალია, იწოდებოდნენ რომაელებად, მაგრამ რომის სახალხო კრებებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ. დაპყრობილი ტერიტორიის მცხოვრებნი ვადებულები იყვნენ რომის სასარგებლოდ ეხდათ გადასახადები, შეესრულებინათ სხვადასხვა სამუშაო. იტალიის ტერიტორიის სამართავად რომი მთელი სახელმწიფოს ტერიტორიას კოლონიებად ყოფდა. კოლონია სპეციალური კანონით იმართებოდა.

იტალიის ზოგიერთმა თემმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და რომთან ფედერაციული მოწყობის პრინციპით გაერთიანდა, თუმცა რომი როდი მიიჩნეოდა მათ თანასწორუფლებიან კონფედერატორად.

რომი სახელმწიფო იმპერიის პერიოდში

რომის სახელმწიფოს ისტორიის პერიოდიზაციის განხილვისას აღინიშნა, რომ რომის რესპუბლიკის დაცემის შემდეგ 27 წელს (ჩვ.წ. აღ.-მდე) მყარდება იმპერია. მაგრამ იმპერია უცხად, ერთი ხელის დაკვირვებით არ შექმნილა. მან ასეთი გზა განვიდა: III საუკუნიდან (ჩვ.წ. აღ.-მდე) იწყება დემოკრატიული დაწესებულებების თანდათან შეზღუდვა და მათ ნაცვლად არადემოკრატიული დაწესებულებების შემოღება. ეს გამოწვეული იყო კლასობრივი ბრძოლის ჩასახშობად და უზარმაზარი იმპერიის მართვის გასაუმჯობესებლად.

მსხვილი მონათმფლობელები ხსნას ხელდავდნენ დიქტატურისა და ტერორის გაძლიერებაში, რაც გადაარჩენდა ერთიან, ცენტრალიზებულ სახელმწიფოს, გაადვილებდა მის მართვას. მსხვილი მონათმფლობელები მოითხოვდნენ სისხლში ჩაეხშოთ მათ წინააღმდეგ ყოველგვარი გამოსვლა.

რომის გადასვლას იმპერიაზე იმანაც შეუწყო ხელი, რომ უზარმაზარი იმპერიის სამართავად აღარ ვარგოდა აღარც სახალხო კრებები, არც სენატი და არც მაგისტრატურა. პროვინციებში უკვე გაჩნდა მდიდარი, გავლენიანი ჯგუფები, რომლებიც აღარ ემორჩილებოდნენ რომის ხელისუფლებას.

როგორც აღინიშნა, რომის გადასვლა დიქტატურაზე ერთბაშად არ მომხდარა. 82 წელს (ჩვ.წ. აღ.-მდე) რომში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. განსხვავებით ადრინდელი დიქტატორებისაგან, რომლებიც ვერ ინარჩუნებდნენ ძალაუფლებას — კორნელიუს სულამ (ჩვ.წ. აღ.-მდე 138-78 წწ.), როგორც რეაქციული სენატორული ოლიგარქიის წარმომადგენელმა, ჯარზე დაყრდნობით სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა, მან არათუ შეინარჩუნა ძალაუფლება, არამედ ხელში ჩაიგდო საკანონმდებლო ხელისუფლება, იწყო კანონების გამოცემა სახელმწიფოს სამართავად და ნობილიტეტის სასარგებლოდ. სულამ მიიღო განუსაზღვრელი უფლებები. მას პირველს რომის ისტორიაში, როგორც დიქტატორს, სახალხო კრების გარეშე კანონების მიღების უფლება მიენიჭა. სულას მიერ გამოტანილი განაჩენი აპელაციას აღარ ექვემდებარებოდა. სულა თავის მოწინააღმდეგეთაგან ადგენდა სიებს, რომლებსაც სიკვდილით სჯიდნენ, მათ ქონებას კონფისკაციას უქვემდებარებდნენ, ხოლო მათ შთამომავლობას თანამდებობის დაკავების უფლებას ართმევდნენ. ჩვ.წ. აღ.-მდე 79 წელს სულა გადადგა.

67 წელს (ჩვ.წ. აღ.-მდე) დიქტატორად აირჩიეს დიდი პომპეუსი (ჩვ.წ. აღ.-მდე 106-48 წწ.). იგი ცნობილია რომის ისტორიაში როგორც გამოჩენილი მხედართმთავარი, აღმირალი, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც მრავალი რეფორმა გაატარა და მიიღო კანონები საჯარო სამართალში.

ჩვ.წ. აღ.-მდე 60 წელს დამყარდა „ტრიუმვირატი“, ანუ სამთა მმართველობა პომპეუსის, კრასისა და კეისრის შემაღვენლობით. აღნიშნულ „ტრიუმვირატის“ დაშლის შემდეგ რომში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო გამოჩენილმა მხედართმთავარმა და სახელმწიფო მოღვაწემ იულიუს კეისარმა, ანუ ცეზარმა (ჩვ.წ. აღ.-მდე 100-44 წწ.). 44 წელს ცეზარი მუდმივი დიქტატორი გახდა. ცეზარის მოკვლის შემდეგ ჩვ.წ. აღ.-მდე 43 წელს ჩამოყალიბდა მეორე „ტრიუმვირატი“ (ოქტავიანე, ანტონიუსი და ლეპიდი), რომელიც ასევე დაიშალა და ძალაუფლება დარჩა ოქტავიანეს, რაც არსებითად კეისრის სამხედრო დიქტატურის გაგრძელება იყო. „ტრიუმვირატს“ გააფთრებით ებრძოდნენ რესპუბლიკელები. „ტრიუმვირატისა“ და რესპუბლიკელების ბრძოლაში მარცხდებიან რესპუბლიკელები და მთელი ძალაუფლება ოქტავიანეს ხელში გადადის. მეორე „ტრიუმვირატი“ დაიშალა ჩვ.წ. აღ.-მდე 32 წელს. ჩვ.წ. აღ.-მდე 27 წლიდან რომში იმპერია დამყარდა.

რომში იმპერიის, ანუ მონარქიის პერიოდი მოიცავს ახალი წელთაღრიცხვით I-V საუკუნეებს. თვით იმპერიის ხანა ორ ძირითად პერიოდად იყოფა: პრინციპატი - I-III საუკუნეები და დომინატი - IV-V საუკუნეები.

რომის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება პრინციპატის პერიოდში

პრინციპატი რესპუბლიკის ფორმით შენიღბული მონარქია, ანუ იმპერიაა, სადაც ფორმალურად შენარჩუნებულია რესპუბლიკის პერიოდის დემოკრატიული დაწესებულებები: სახალხო კრება, სენატი, მაგისტრატურა, მაგრამ ფაქტობრივად ამ დაწესებულებებს, გარდა სენატისა, რეალური ძალაუფლება არ გააჩნიათ. თვით სახელწოდება „პრინციპატი“ წარმოდგება „პრინციპსისაგან“. პრინციპსი კი იყო პირი, რომელიც პირველ ნომრად, ანუ სენატორთა სიის თავში იყო მოქცეული, პრინციპსს ზოგჯერ უწოდებდნენ „პირველს თანასწორთა შორის“.

პრინციპსი სათავეში ედგა სენატორთა სიას, ეს ფორმალური ნიშანია, მაგრამ იგი ფაქტობრივად სათავეში ედგა მთელ რომის იმპერიას.

— I საუკუნიდან მოყოლებული მიმდინარეობს ბრძოლა პრინციპსსა და სენატს შორის. ეს ბრძოლა მთავრდება პრინციპსის გამარჯვებით და ბოლო ედება დიარქიას, რაც ნიშნავს სენატისა და პრინციპსის ერთობლივ მმართველობას.

ჩვ.წ. აღ-მდე 28 წელს პირველი პრინციპსი გახდა გაიუს ოქტავიანე იულიუს კეისარი (ჩვ.წ.აღ-მდე 63 წ. — ახ. წ. აღ-ით 14 წ.). მას არ გაუუქმებია რესპუბლიკისდროინდელი დაწესებულებები. მის დროს ახალი წყობილება რესპუბლიკის ფორმით ინიღბება, აშკარად გადასვლა რესპუბლიკიდან იმპერიასზე ერთბაშად არ შეიძლებოდა, რადგან რესპუბლიკას ჯერ კიდევ უამრავი მომხრე ჰყავდა. ჩვ.წ. აღ-მდე 27 წელს ოქტავიანემ იმპერატორის ტიტული მიიღო და ავგუსტუსი ეწოდა (ავგუსტუსი ნიშნავდა სიკეთის გამადიდებელს). ჩვ.წ. აღ-მდე 23 წელს ავგუსტუსი ტრიბუნიც გახდა და კონსულის წოდება მიენიჭა. 12 წელს მან უზენაესი ქურუმის წოდებაც მიიღო.

პრინციპსის ხელისუფლება თავიდანვე შემკვიდრებითი არ ყოფილა. მას შეეძლო თავის სიცოცხლეში დაესახელებინა კანდიდატი ამ თანამდებობის დასაკავებლად. პრინციპსს სენატი ირჩევდა, მაგრამ ეს არჩევნები ფორმალური იყო. ფაქტობრივად არჩევნებს წყვეტდა ჯარი — სამხედრო ძალა.

პრინციპსს ფართო უფლებები ჰქონდა: იგი იყო ქვეყნის მხედართმთავარი, მის ფუნქციებში შედიოდა ომისა და ზავის საკითხები, ხელშეკრულებების დადება უცხო სახელმწიფოებთან, პროვინციების მართვა-გამგეობა, სენატის თავმჯდომარეობა, ქურუმთუხუცესობა. მანვე მისაკუთრა ცენზორის ფუნქციებიც. მას ჰქონდა ვეტოს უფლება, ანუ შეეძლო შეეჩერებინა ან გაუუქმებინა მაგისტრატების მიერ გამოცემული განკარგულებები თუ აქტები. პრინციპსის ძალაუფლება ფაქტობრივად შეუზღუდველი იყო, ყოველ მის განკარგულებას კანონის ძალა ჰქონდა.

შემდეგ მნიშვნელოვან დაწესებულებას წარმოადგენდა პრინციპსის სათათბირო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიაც პრინციპსს შეჰყავდა თავისი ახლობელი ადამიანები, მათ შორის იურისტებიც.

პრინციპსთან არსებობდა გვარდია, რომელიც მას იცავდა. გვარდიას ხელმძღვანელობდა პრინციპსის მოადგილე. იგი იტალიის ჯარე-

ის სარდლადაც ითვლებოდა, ხელი მიუწვდებოდა სისხლისა თუ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, ახორციელებდა პრინციპის ყველა სხვა ორგანოს ზედამხედველობას, გამოსცემდა სავალდებულო დოკუმენტებს.

პრინციპსთან იქმნებოდა ასევე იმპერატორის კანცელარია, რომელსაც რამდენიმე განყოფილება ჰქონდა, მათ შორის წერილების, საფინანსო, კლერკალური-ბიუროსა და სხვ.

სპეციალურად შეიქმნა იმპერატორის ხაზინა და დაეცა საერთო სახელმწიფო ხაზინის მნიშვნელობა. იმპერატორის ხაზინაში თავს იყრიდა პროვინციებიდან შემოსული ქონება, ხარკი თუ გადასახადი. ასევე ხაზინაში ირიცხებოდა პრინციპის პირადი შემოსავალი და ქონება.

სახალხო კრებები. რომში ფორმალურად შემორჩენილი იყო სახალხო კრებებიც. მათ საკანონმდებლო ხელისუფლება აღარ გააჩნდათ. იგი პრინციპსა და სენატს მითვისა.

პრინციპატის დამყარების პირველ წლებში სახალხო კრებებზე იშვიათად იხილებოდა სენატის მიერ გადმოგზავნილი კანონპროექტები. სახალხო კრებებს სასამართლო ფუნქციებიც ჩამოერთვა. მართალია, სახალხო კრებებზე ირჩევდნენ თანამდებობის პირებს, მაგრამ ფაქტობრივად მათ ირჩევდა პრინციპსი. სახალხო კრებებზე მხოლოდ არჩევის ცერემონიული ტარდებოდა.

სენატი. პრინციპატის დამყარების პირველ ხანებში სენატი კიდევ მარჩუნებდა გავლენას სახელმწიფო საქმეებზე, მაგრამ სენატსა და პრინციპს შორის წინააღმდეგობა, რაც ურთიერთბრძოლაში გადაიზარდა და ღრმავდებოდა, სენატის დამარცხებით დამთავრდა. სენატის დაკომპლექტების საკითხი პრინციპის ხელში გადავიდა. სენატს თუ რაიმე ფუნქცია მიეცა, ეს გამომდინარეობდა პრინციპის ინტერესებიდან. მაგალითად, სენატს მიეცა საკანონმდებლო ფუნქცია, რაც სახალხო კრებებს ჩამოერთვა; მაგრამ სენატი აქაც პრინციპის ნებასურვილის აღმსრულებელი იყო, რადგან მისი როლი კანონების მექანიზმურად დამტკიცებით განისაზღვრებოდა. გარდა ამისა, სენატის ხელში გადავიდა მაგისტრატების არჩევის უფლება, მაგრამ მაგისტრატების ნაწილს ირჩევდნენ იმ პირობებში, რომლებსაც პრინციპსი ასახელებდა. სენატს ჩამოერთვა საგარეო პოლიტიკის გაძღოლის უფუნქცია.

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში სენატს, ასე თუ ისე, ჯერ კიდევ გააჩნდა ძალაუფლება, მაგრამ ეს ძალაუფლება საბოლოო დაკარგა II საუკუნიდან.

მაგისტრატები. ძალზე დაეცა წინანდელი მაგისტრატების როლი შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის პერიოდის მაგისტრატების მთლიანად სახელებილა შემორჩა, მათ უკვე აღარა აქვთ რეალური ხელისუფლება. მათ ჩამოერთვათ ჯარის სარდლობა, ადმინისტრაციულ ხელისუფლება და იმპერატორისა და სენატის განკარგულებას ასრულებდნენ. მაგისტრატების ფუნქციები თანდათან თავს იყრიდა პრინციპსის ხელში. მაგისტრატებს ირჩევდა სენატი და არა სახალხო კრებები. მაგრამ, რადგან სენატი ფაქტობრივად პრინციპსის ორგანიზაციის იყო, მაგისტრატებიც მექანიკურად პრინციპსის ემორჩილებოდნენ. სხვა მაგისტრატთა შორის პრინციპატის პერიოდში გამოირჩეოდა პრეტორი, რომელმაც არათუ შეინარჩუნა, არამედ გაიფართოვა კიდევ თავისი ძალაუფლება.

რომის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება დომინანტის ამერიოდში

რომში იმპერიის პერიოდის მეორე ხანას უწოდებენ დომინანტის პერიოდს, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის IV-V საუკუნეებს მოიცავს. ტერმინი „დომინუსი“ (dominus) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ბატონს, მბრძანებელს. დომინანტი იმით განსხვავდება პრინციპატისაგან, რომ, თუ პრინციპატის პერიოდში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო რესპუბლიკისდროინდელი სახელმწიფო ორგანოები (სახალხო კრებები, სენატი და ა.შ.), დომინანტის დროს დამყარებულია იმპერატორის განუსაზღვრელი და შეუზღუდავი ძალაუფლება არა მარტო ფაქტობრივად, არამედ იურიდიულადაც. შეიძლება ითქვას, რომ რომში დომინანტი მყარდება იმპერატორ დიოკლეტიანეს რეფორმების შედეგად 284-305 წლებში. მან გაატარა ადმინისტრაციული, სამხედრო საგადასახადო და საფინანსო რეფორმები.

პირველი ორი რეფორმის დანიშნულება იყო ცენტრალიზებული ბიუროკრატიული აპარატის ჩამოყალიბება, ძლიერი არმიის შექმნა რომელსაც შეეძლებოდა დაეცვა იმპერია, ასევე მორჩილებაში ჰყოლოდა მონები.

საკადასახადო და საფინანსო რეფორმები მიზნად ისახავდა გადასახადების გადიდებას, რათა შეენახათ არმია და მრავალრიცხოვანი მთავრობის კრებული აპარატი.

ადმინისტრაციული რეფორმა ითვალისწინებდა ქვეყნის დაყოფას დიოკლეტის იმპერატორ დიოკლეტის დროს მთელი რომის იმპერია ორ ნაწილად დაყოფა: აღმოსავლეთი რომის იმპერია და დასავლეთი რომის იმპერია. დიოკლეტის მიერ იტალიის ორ ნაწილად დაყოფა ხდებოდა 395 წელს იმპერატორ თეოდოსიუს I-ის დროს.

დასავლეთ რომის იმპერია დაეცა 476 წელს. აღმოსავლეთ რომის იმპერიამ, ანუ ბიზანტიამ კიდევ იარსება თითქმის 1000 წელი და საბოლოოდ დაეცა 1453 წელს თურქების შემოსევის შედეგად. დასავლეთ რომის იმპერიაში შედიოდა: აფრიკა, იტალია, თანამედროვე გერმანიისა და საფრანგეთის ტერიტორიები, რომლებსაც გალია ეწოდებოდა, ასევე ესპანეთი, ბრიტანეთი და სხვ.

მოკლედ შევხვთ რომის იმპერიის სახელმწიფო წყობილებას დომინატის პერიოდში.

იმპერია დაყოფილი იყო ორ ნაწილად. თითოეულის სათავეში ავგუსტუსის იდეა იგი იყო იგივე იმპერატორი. თავდაპირველად იმპერიის ეს ტერიტორიები განიხილებოდა როგორც ერთიანი სახელმწიფოს ნაწილები, მაგრამ შემდგომში ისინი ცალკე სახელმწიფოებად ჩამოყალიბდა.

სახელმწიფოს სათავეში მდგომი იმპერატორი, ანუ ავგუსტუსის უფლებრივად შეუზღუდავი იყო, იგი ღვთაებრივი წარმოშობის პიროვნებად მიიჩნეოდა. ქრისტიანული რელიგიის იდეოლოგები იმპერატორისადმი დაუმორჩილებლობას მიიჩნევენ არა მარტო როგორც დანაშაულს, არამედ როგორც რელიგიურ ცოდვასაც, რისთვისაც ღვთის მსჯავრი იქნებოდა გამოყენებული.

იმპერიის მთელი მოსახლეობა იმპერატორის ქვეშევრდომებად, ანუ მონებად მიიჩნეოდნენ.

იმპერატორს ეკუთვნოდა საკანონმდებლო ხელისუფლება. კანონებს გამოსცემდა ორივე სახელმწიფოს იმპერატორი. იმპერატორის თანაშემწედ ითვლებოდა მისი უახლოესი ადამიანი, რომელსაც კეისარი ეწოდებოდა. კეისარი იმპერატორის მემკვიდრე იყო, მას თვით იმპერატორი არჩევდა მის სიცოცხლეში.

ცენტრალური მმართველობის ორგანოებიდან აღსანიშნავია იმპერატორის საბჭო — Consistorium principis (კონსისტორიუმ პრინციპის),

უმნიშვნელოვანესი თანამდებობის პირია იმპერატორის სასახლის კარის მმართველი – Quaeator sacri palatii (კვესტორ საკრი პალაციი).

იმპერატორის კარზე შექმნილი იყო ასევე სხვადასხვა სახის სამმართველოები, რომლებიც სხვადასხვა უწყებას განაგებდნენ. ზუსტად იყო დადგენილი სხვადასხვა რანგის მოხელეები და განსაზღვრული მათი უფლებამოსილება.

ადგილობრივი მმართველობის განსახორციელებლად თითოეული იმპერია იყოფოდა პრეფექტურებად. პრეფექტურას ხელმძღვანელობდა პრეტორი – Praetorio praefectus (პრეტორიო პრეფექტუს). იმპერიებში ორ-ორი პრეფექტურა იყო, სულ ოთხი.

პრეფექტურები იყოფოდა დიოცეზებად. ორივე სახელმწიფოში იყო 13 დიოცეზი. დიოცეზს განაგებდა ვიკარიუსი – vicarius (ვიკარიუს), რომელიც პრეფექტის მოადგილე იყო, მაგრამ დამოუკიდებლად წყვეტდა ადმინისტრაციულ, გადასახადებისა თუ იურისდიქციის საკითხებს.

თითოეული დიოცეზი იყოფოდა პროვინციებად. პროვინციას განაგებდა რექტორი – rector (რექტორ).

პროვინციები იყოფოდა ოლქებად. ოლქს განაგებდა ავგუსტუსის მიერ დანიშნული ოლქის უფროსი. ოლქებში თვითმმართველობის ორგანოებიც არსებობდა. ასეთი იყო ხალხის მიერ შექმნილი სენატი, ანუ უსუცესთა საბჭო და მაგისტრატები, ანუ თანამდებობის პირები, მაგრამ, ვინაიდან ეს ორგანოები ზემდგომ სახელმწიფო მოხელეებს ექვემდებარებოდნენ, ჭეშმარიტ თვითმმართველობის ორგანობად ვერ ჩაითვლებოდა.

როგორც უკვე აღინიშნა, რომის იმპერია დაცემას იწყებს V საუკუნიდან. მისი დაცემა გამოიწვია, ერთი მხრივ, შინაკლასობრივმა ბრძოლამ, ხოლო, მეორე მხრივ, ბარბაროსების შემოსევამ. იმპერატორ იუსტინიანე I-ის დროს (482-565 წწ.) გატარდა მრავალი ღონისძიება რომის ერთიანი იმპერიის აღსადგენად; მან აღადგინა ძველი რომაული ტრადიციები, ოფიციალურ ენად შემოიღო ლათინური, მოახდინა რომის სამართლის კოდიფიკაცია, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდგომ რომის ერთიანი იმპერია კვლავ დაიშალა და მის ადგილზე ცალკე სახელმწიფოები ჩამოყალიბდა.

რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი

რომაელი იურისტი ულპიანე (ახ. წ. აღ.-ით III საუკუნე) ერთმანეთისაგან განასხვავებდა კერძო სამართალსა — *ius privatum* (იუს პრივატუმ) და საჯარო სამართალს — *ius publicum* (იუს პუბლიკუმ).

ულპიანეს მიხედვით კერძო სამართალი ეხება და არეგულირებს ცალკეულ პირთა ინტერესებს, ხოლო საჯარო სამართალი — რომის სახელმწიფოს. ამრიგად, ჩვენი საგანი — რომის კერძო სამართალი იმ ნორმების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც კერძო პირთა, ანუ ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებს იცავს და არეგულირებს მათ უფლება-მოვალეობებს. რომის კერძო სამართალი უპირისპირდება საჯარო სამართალს. საჯარო სამართალი იმ ნორმების ერთობლიობაა, რომელიც იცავდა და არეგულირებდა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. საჯარო სამართლის რეგულირების სფერო ძველ რომში ძალზე ვიწრო იყო. მაგალითად, ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე ქურდობა არ ითვლებოდა დანაშაულად, ე.ი. არ შედიოდა საჯარო სამართლის რეგულირების სფეროში, არამედ კერძო პირის წინააღმდეგ მიმართულ სამართალდარღვევად მიიჩნეოდა. საჯარო სამართლის რეგულირების სფეროში შედიოდა რელიგიური წესების დაცვის, ქურუმთა უფლება-მოვალეობის, მაგისტრატების საქმიანობის მოწესრიგებისა და სხვა საკითხები.

რომის კერძო სამართალი არეგულირებდა ცალკეულ რომაელ მოქალაქეთა ურთიერთობებს, მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ კერძო სამართლის ნორმები მხოლოდ კერძო პირთა შეთანხმების შედეგად ყალიბდებოდა. რომის კერძო სამართალი უხვად შეიცავდა იმპერატიულ ნორმებს, რომელთა შესატყვისად კერძო პირები დებდნენ გარიგებებს, იცავდნენ მათ უფლებებს, კისრულობდნენ მოვალეობებს.

ულპიანეს მითითებით რომის კერძო სამართალი სამი ნაწილისაგან შედგება, რადგან იგი ეყრდნობა ბუნებით სამართალს, ხალხთა სამართალსა და ცივილურ სამართალს.

მაგრამ რომში კერძო პირთა, ანუ მოქალაქეთა შორის ურთიერთობებს არეგულირებდა სამოქალაქო, ანუ ცივილური სამართალი — *ius*



civilis (იუს ცივილის). როგორია თანაფარდობა რომის კერძო სამართალსა და რომის ცივილურ, ანუ სამოქალაქო სამართალს შორის? უნდა ითქვას, რომ რომელი იურისტები მათ ერთმანეთთან არ აიგივებდნენ. რომის სამოქალაქო სამართალს ისინი უწოდებდნენ ნამდვილ რომელ მოქალაქეთა, ანუ კვირიტების უფლებების აღმნიშვნელ სამართალს და ამ უკანასკნელს ხალხთა, ანუ რომის იმპერიაში შემავალ სხვა ხალხების ურთიერთობათა მომწესრიგებელ სამართალს — *ius gentium* (იუს გენციუმ) უპირისპირებდნენ. რომელი იურისტები კერძო სამართალს უპირისპირებდნენ ასევე პრეტორულ სამართალსაც.

დღეისათვის რომის კერძო სამართალი და რომის სამოქალაქო სამართალი იდენტურ ცნებებადაა მიჩნეული, მათ შორის დიდი განსხვავება არ არის.

რატომ ვსწავლობთ რომის კერძო სამართალს? საქმე იმაშია, რომ რომელმა იურისტებმა დაამუშავეს სამოქალაქო სამართლის ყველა ინსტიტუტი, ცნებები, რომლებმაც უზარმაზარი გავლენა იქონიეს მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის სამართალგანითარებაზე. რომის სამართლის რეცეფციის გზით ხდებოდა თანამედროვე ევროპის ქვეყნების როგორც ფეოდალური, ისე ბურჟუაზიული სამართლებრივი სისტემების ჩამოყალიბება იმიტომ, რომ რომის სამართალი იყო კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული სრულყოფილი სამართალი, რომელიც ზუსტად ასახავდა კერძო მესაკუთრეთა ინტერესებს, თავის სამსახურში ჩაყენებინათ ასეთი ნორმები.

რომის სამართალმა დიდი სამსახური გაუწია სამოქალაქო სამართლის მეცნიერებას. რომელი იურისტების მიერ ჩამოყალიბებული დებულებები დამკვიდრდა, იურიდიულ ენად ჩამოყალიბდა და დღესაც ფართოდ გამოიყენება, მაგალითად, ისეთი ცნებები, როგორცაა: ვინდიკაცია, რესტიტუცია, კონტრაქტი, კომპენსაცია და მრავალი სხვ. ეს ტერმინები რომელმა იურისტებმა შემოიღეს და მათი შინაარსი დღესაც უცვლელი რჩება.

ცნობილი მეცნიერი ი. პერეტერსკი მიუთითებდა: „რომმა ბევრი რამ ახალი შექმნა სამართლის დარგში და ძლიერი გავლენა იქონია სამართლის შემდგომ განვითარებაზე. სწორედ ამით საბუთდება რომის სამართლის, განსაკუთრებით რომის კერძო სამართლის შესწავლის აუცილებლობა. ამ სამართალს არა მარტო ისტორიული მნიშ-

ვენელობა აქვს, როგორც უდიდეს მონათმფლობელურ სახელმწიფოს სამართალს, არამედ იგი, ამასთან ერთად, წარმოადგენს ისტორიულად დიდ მიღწევას იურიდიული ტექნიკის დარგში: განსაზღვრათ სიზუსტე და სიცხადე, იურიდიული აზრის მკაცრი ლოგიკურობა და თანმიმდევრობა შეხამებული დასკვნების სიცოცხლისუნარიანობასთან, მოწმობს რომელი იურისტების დიდ ოსტატობას, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს იურიდიული აზრის განვითარებაში¹.

ა) პირები რომის სამართალში

დღევანდელი იურიდიული პრაქტიკა და იურისპრუდენცია იცნობს პირების დაყოფას ორ ჯგუფად: ა) ფიზიკური პირები. ბ) იურიდიული პირები (ანუ საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ თავიანთი დამახასიათებელი გარკვეული ნიშნები).

ძველი რომაული სამართალი არ იცნობდა პირების ასეთ დაყოფას, კერძოდ, რომაული სამართლისათვის უცხოა „იურიდიული პირის“ სახელწოდება, მაგრამ პრაქტიკა განასხვავებდა ცალკე პირის, პერსონას უფლებებს და კორპორაციის, ანუ გაერთიანების უფლებებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ რომში იურიდიული პირის ცნების საკითხი არ იყო დამუშავებული. სამაგიეროდ, რომაულმა სამართალმა ღრმად გააანალიზა კერძო პირის, ადამიანის, ანუ პერსონას უფლებრივი მდგომარეობა, მისი სტატუსი.

რომაული სამართალი ადამიანს მიიჩნევს ისეთ არსებად, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს უფლებები, ე.ი. გახდეს სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტი. რომაული სამართალით ასეთი უფლება ყველა ადამიანს როდი შეიძლება მიენიჭოს; მაგალითად, მონები იწოდებიან მოლაპარაკე იარაღად, ანუ **instrumentum vocale** (ინსტრუმენტუმ ვოკალე), რომლებსაც არ შეიძლება ჰქონდეთ სამოქალაქო უფლებები. ისინი (მონები) სამართლის სუბიექტებად კი არა, სამართლის ობიექტებად, ანუ ნივთებად ითვლებოდნენ.

რომაული სამართლის მიხედვით მოქალაქეთა სამოქალაქო უფლებები არ არის თანდაყოლილი, მათ ეს უფლებები დაბადებიდანვე კი არ დაჰყვათ, არამედ სახელმწიფოში შეიძინეს. ამრიგად, რომის სამართ-

¹ ი. პერეტერსკი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, თბ., 1947, გვ.

ლის მიხედვით პირების (მოქალაქეების) უფლებაუნარიანობა (იქონიონ უფლებები) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ მათთვის განსაზღვრული ნორმებით, კანონებით ჩამოყალიბება-დადგენასთან.

პირთა სტატუსი, ანუ უფლებამოსილება

დღევანდელ იურისპრუდენციასა თუ იურიდიულ პრაქტიკაში პირის უფლება, იქონიოს სამოქალაქო უფლებები, ნიშნავს, ანუ იწოდება უფლებაუნარიანობად. რომაულ სამართალში უფლებაუნარიანობის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი caput (კაპუტ). პირის სრული უფლებაუნარიანობა, ანუ სრული უფლებამოსილება, რომაულად იწოდებოდა როგორც სტატუსი — status (სტატუს) და შედგებოდა სამი ელემენტისაგან:

1) თავისუფლების სტატუსი — status libertatis (სტატუს ლიბერტატის).

2) მოქალაქეობის სტატუსი — status civitatis (სტატუს ცივიტატის).

3) საოჯახო სტატუსი — status familiae (სტატუს ფამილიე).

პირის უფლებაუნარიანობის ზემოაღნიშნული ყველა სამი ელემენტი განასხვავებდა, გამიჯნავდა რომში მცხოვრებ მოქალაქეებს ერთმანეთისაგან.

თავისუფლების სტატუსის მიხედვით განასხვავებდნენ თავისუფლებსა და არათავისუფალებს.

მოქალაქეობის სტატუსის მიხედვით — რომაელ მოქალაქეებსა და არარომაელებს (ლათინები, პერეგრინები).

საოჯახო სტატუსის მიხედვით განისაზღვრებოდა რომელი მოქალაქის მდგომარეობა ოჯახში, იყო იგი ოჯახის სრულუფლებიანი უფროსი, ოჯახის შეუზღუდავი გამგებელი თუ ხელქვეითი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სრული უფლებაუნარიანობა გულისხმობდა — თავისუფალ მდგომარეობას, რომის მოქალაქეობასა და ოჯახში დამოუკიდებელ მდგომარეობას. როგორც წესი, სრული უფლებაუნარიანობით იყო აღჭურვილი ოჯახის უფროსი (pater familias).

ამა თუ იმ სტატუსით გათვალისწინებული პირის მდგომარეობა შესაძლოა შეცვლილიყო. მაგალითად, თავისუფალს თავისუფლება დაეკარგა, მონა გააზატებულიყო, მოქალაქეს მოქალაქეობა დაეკარგა

და ა.შ. სტატუსში ცვლილებას კაპიტუსი ეწოდება (capitis deminutio). თავისუფლების სტატუსში ცვლილებას მაქსიმალური ცვლილება ეწოდება, მოქალაქეობის სტატუსში ცვლილებას — საშუალო, ხოლო საოჯახო სტატუსში ცვლილებას — მინიმალური ცვლილება.

რომაელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა

როგორც ცნობილია, რომის უზარმაზარ იმპერიაში ცხოვრობდნენ თავისუფალი მოქალაქეები და მონები. თავისუფალი მოქალაქენი თავის მხრივ იყოფოდნენ რომაელ მოქალაქეებად და თავისუფალ პირებად, მაგრამ არა რომაელებად. ასეთები იყვნენ რომის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების მცხოვრებნი, ასევე რომის მფარველობაში მყოფი უცხოელები. რომის სახელმწიფოს უკანასკნელ პერიოდში ჩნდება არათავისუფალი მოსახლეობის ახალი კატეგორია — კოლონები.

რომის მოქალაქეობა მიიღებოდა დაბადებით (ბუნებრივი გზით). ამისათვის საჭირო იყო, რომ დედაცა და მამაც თავისუფალი რომაელები ყოფილიყვნენ. გარდა ამისა, არსებობდა ასევე რომის მოქალაქეობის მიღების ხელოვნური გზა, რაც ნიშნავდა რომის მოქალაქეობის მიღებას მონობიდან გათავისუფლებით, ანდა უცხოელისათვის რომის მოქალაქეობის ჩუქებით (ნატურალიზაციით).

თავისუფალი რომაელი მოქალაქეობას კარგავდა შემდეგ შემთხვევებში: გარდაცვალებისას, ასევე, თუ რომაელი მოქალაქე ტყვედ ჩავარდებოდა, ჩაიდუნდა დანაშაულს და შეეფარდებოდა მძიმე სისხლის სამართლის სასჯელი, აგრეთვე, თუ იგი განდევნილი იქნებოდა რომიდან.

რომის თავისუფალ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა

რომის მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა სამოქალაქო სამართალში გულისხმობდა, ანუ მოიცავდა ორ ძირითად ელემენტს: 1) ქორწინების უფლება. 2) კომერციის უფლება, ანუ ქონების შექმნისა და გასხვისების უფლება.

მართალია, III საუკუნიდან რომაელი მოქალაქეები უფლებრივად გაუთანაბრდნენ ერთმანეთს — ეს იქნებოდა ნამდვილი, ანუ ძირძველი

რომაელი, თუ გათავისუფლებული მოქალაქეები, ანუ ლიბერიტინები, მაგრამ ფაქტობრივად მათი გათანასწოლება არ მოხდა. საქმე ის არის, რომ გაჩნდა ახალი წოდებები, რაც განპირობებული იყო პროფესიების წარმოშობით, მაგალითად, გაჩნდა სენატორების, მეომრების, ვაჭრების, ხელოსნების, გლეხების თუ სხვა წოდებები, ანუ ფენები. ამ ზედაფენას უპირისპირდება დაბალი წოდებები — პროვინციული დიდკაცობა, კერძოდ, მიწათმფლობელები ან პლებეები.

რომის სამოქალაქო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქმედუნარიანობას (თუმცა ქმედუნარიანობის ზოგადი ცნება დამუშავებული არ იყო).

ქმედუნარიანობის მოთხოვნიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ასაკსა და შერაცხადობის საკითხს.

რომის სამართლის მიხედვით ქმედუნარიანობას მოკლებულად, ანუ არაქმედუნარიანად ითვლებოდნენ 7 წლამდე ასაკის პირები — *infantes* (ინფანტეს). 7-დან 14 წლამდე ასაკის პირებს ყიდვა-გაყიდვისა და ქონების შექმნის უფლება ჰქონდათ. 14-დან 25 წლამდე ასაკის პირები მიჩნეული იყვნენ სრული ქმედუნარიანობის მქონე პირებად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქმედუნარიანობის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა იყო პირის შერაცხადობა, ანუ ისეთი მდგომარეობა, როცა ის ჯანმრთელი იყო და ანგარიშს უწევდა თავის მოქმედებას. რომის სამართლის მიხედვით სულით ავადმყოფები და ჭკუასუსტები არაქმედუნარიანებად ითვლებოდნენ. ისინი თავის უფლებებს ახორციელებდნენ მზრუნველთა მეშვეობით. ქმედუნარიანობაში შეზღუდულად ითვლებოდნენ გამფლანგველები, ანუ სუსტინებისყოფის ადამიანები, რომლებიც თავიანთი ქცევით, ზასიათით ქმნიდნენ გარიგებათა შესრულების ჩაშლის საშიშროებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლებოდნენ.

ძველ რომში, საზოგადოებრივი აზრით, ქმედუნარიანობის შეზღუდვის კიდევ ერთ-ერთი პირობა იყო — სუბიექტის აღიარება უსირცხვილოდ და უპატიოსნოდ.

აღსანიშნავია, რომ ისტორიის სხვადასხვა პერიოდში რომის მართლ-წესრიგი გულისხმობდა იმ პირთა უფლებაუნარიანობის შეზღუდვას, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით საზოგადოებრივ გაკიცხვას იმსახურებდნენ. ასეთი შეზღუდვის უძველესი სახე მოცემულია XII ტაბუ-

ლის კანონებში (intestabilitas). პირი, რომელიც მონაწილეობდა გარიგების დადებისას როგორც მოწმე და შემდეგ უარს იტყოდა მიეცა ჩვენება ამ ფაქტის შესახებ, უდიერს მოწმედ ცხადდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ეს პირი მოწმედ ვერ მიიღებდა მონაწილეობას გარიგების დადებისას, ასევე თვითონაც ვერ მოიწვევდა სხვას მოწმედ. აქედან გამომდინარე, პირი კარგავდა ius commercii-ს, ანუ იურიდიულ მოქმედებათა უფლებას (იმ დროს თითქმის ყველა გარიგება მოითხოვდა მოწმის დასწრებას).

კლასიკურ ეპოქაში ის პირები, რომლებიც თავიანთი ზნედაცემულობით საზოგადოების პატივისცემას კარგავდნენ, სახელგატეხილებად (infamia) ცხადდებოდნენ. ისინი შეზღუდულნი იყვნენ როგორც საჯარო სამართლის (მაგალითად, კარგავდნენ ხმის უფლებას), ისე კერძო სამართლის სფეროში (მაგალითად, სასამართლოში ვერ იქნებოდნენ სხვა პირთა წარმომადგენლები და ვერც სხვები იქნებოდნენ მათი წარმომადგენლები).

არარომაელთა (თავისუფალ მოქალაქეთა) უფლებრივი მდგომარეობა (ლათინები და პირებრინები)

ძველი რომის პოლიტიკა სრულუფლებიან მოქალაქეებად თვლიდა მხოლოდ ძირძველ რომაელებს. უცხოელი მტრად იყო გამოცხადებული. მას ეწოდებოდა **hostis** (ჰისტის), რომლის მოკვლა ან მონად გადაქცევა დაშვებული იყო. მართალია, ეს პრინციპი აბსოლუტური ფორმით არასოდეს განხორციელებულა, მაგრამ უცხოელები რომის სახელმწიფოს განვითარების ყველა პერიოდში ფაქტობრივად იზღუდებოდნენ. მიუხედავად ამისა, სამეურნეო ცხოვრების წინსვლასა და კავშირურთიერთობას უცხოელ მოქალაქეთა მთელი კატეგორიების უფლებაუნარიანობის აღიარება მოჰყვა. ამ მხრივ საინტერესოა ლათინებისა და პერეგრინების უფლებრივი მდგომარეობის ჩამოყალიბება.

ლათინებად თავდაპირველად იწოდებოდა ლაციუმში მცხოვრები ხალხი. ისინი უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ლაციუმში და როდესაც იგი რომაელებმა დაიპყრეს, რომაელ მოქალაქეებთან არ გაათანაბრეს, თუმცა უფლება მიეცათ კომერცია ეწარმოებინათ და სასამართლოში თავიანთი სახელით გამოსულიყვნენ. მათ რომაელ მოქალაქეებთან

ან ქორწინების უფლებაც ჰქონდათ, ასევე, ზოგჯერ სახალხო კრებებში ხმის მიცემის უფლებაც მიენიჭათ. ლათინების ეს კატეგორია, ანუ ძველი ლაციუმის მცხოვრებთა ფენა გაქრა I საუკუნეში, რადგან ლათინებს რომის მოქალაქეობის უფლება მიეცათ, მეორე კატეგორიის ლათინებად იწოდებოდნენ რომის კოლონიების, პროვინციებისა თუ ოლქების მცხოვრებნი, რომელთაც მექანიკურად მიენიჭათ რომაელ მოქალაქეთა თანასწორი უფლებები (თუმცა ამ კატეგორიის ლათინებს რომაელ მოქალაქეზე დაქორწინების უფლება არ ჰქონდათ).

კოლონიების ლათინები რომის მოქალაქეობას სხვადასხვა გზით ღებულობდნენ. მაგალითად, რომის მოქალაქეობა ეძლეოდათ მათ, ვინც თავის ქალაქში მაგისტრატის ან მუნიციპალური სენატის თანამდებობაზე მოხვდებოდა. მესამე კატეგორიის ლათინები იყვნენ გააზატებული პირები, თუმცა მათ პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდათ და სიკვდილის შემდეგ მათი ქონება მათი ყოფილი პატრონის ხელში გადადიოდა.

პერეგრინები — ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ რომის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შემავალი პროვინციების ის მცხოვრებნი, რომლებსაც არც მოქალაქეობისა და არც ლათინთა უფლებები არ ჰქონდათ მიღებული. ამავე კატეგორიაში შედიოდნენ უცხოელები, ანუ ის მოქალაქეები, რომლებსაც რომის ქვეშევრდომობა არ მიუღიათ; ასევე ის რომაელი მოქალაქეები, რომლებიც დაისაჯნენ და რომიდან განიდევნენ. ასეთი მოქალაქეები, ანუ პერეგრინები, რომში ითვლებოდნენ უცხოელებად და უფლებებობად. რომში პერეგრინებისათვის ცალკე სამართალი ჩამოყალიბდა, რომელსაც *ius gentium* (იუს გენციუმ) ეწოდებოდა. ამ სამართლით რეგულირდებოდა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობანი ძირძველ რომაელებსა და პერეგრინებს შორის, ასევე თვით პერეგრინებს შორისაც. მათზე რომის ძველი სამართალი არ ვრცელდებოდა.

მონების უფლებრივი მდგომარეობა რომში

რომის სახელმწიფოს წარმოშობისთანავე საზოგადოების ორი ძირითადი კლასი ჩამოყალიბდა: მონათმფლობელები და მონები.

რომის სახელმწიფოს ადრეულ პერიოდში მონობას ფართო ხასიათი არ მიუღია. მონები ძირითადად ჰყავდათ კერძო პირებს, მონათმფლობელებს და მათთან ერთად მუშაობდნენ კიდევაც. რომის სახ-

ელმწიფოს განვითარებისა და გაფართოების კვალობაზე (განსაკუთრებით III საუკუნიდან) მონათა რიცხვი იზრდებოდა. მონათა ექსპლოატაცია მატულობდა და უკიდურეს ხასიათს იღებდა, მონები საშინელ პირობებში ცხოვრობდნენ, რაც იწვევდა მონათა აჯანყებებს. სწორედ მონათა რევოლუციამ დაამხო რომის იმპერია.

რა შეიძლება ითქვას მონის უფლებრივ მდგომარეობაზე რომში? მონა არ წარმოადგენდა სამართლის სუბიექტს. იგი სამართლის ობიექტად მიიჩნეოდა, რადგან ნივთთან იყო გათანაბრებული, მას მოლაპარაკე იარაღს უწოდებდნენ. რომაელი იურისტების აზრით, რომში მონებს ისეთი ადგილი ეკავათ, როგორც საკუთრების უფლების ყველა სხვა ობიექტს. მონათმლობელი უფლებამოსილი იყო მონა ეყიდა ან გაეყიდა, გაეცვალა, გაეჩუქებინა, გაექირავებინა, მზითევში გაეტანებინა, დაბოლოს, ფიზიკურად გაენადგურებინა. მონათმფლობელს სახელმწიფო არ ზღუდავდა მონის მიმართ რა სახის თვითნებობაც არ უნდა გამოეყენებინა. რომის სამართალი ფართო უფლებებს ანიჭებდა მონათმფლობელებს მონათა დასათრგუნავად. მონას არავითარი იურიდიული უფლება არ ჰქონდა. მას არც ქონების შეძენისა და არც ქორწინების იურიდიული უფლება გააჩნდა.

პეკული

როგორც ზემოთ აღინიშნა, რომში მონას არავითარი უფლებები არ ჰქონდა. მაგრამ მონა ადამიანი იყო, შეეძლო გარკვეული სარგებლობის მოტანა, ამიტომაც რომაულმა სამართალმა ყურადღების გარეშე არ დატოვა მონის სასარგებლო თვისებები და მოგების მოტანის შესაძლებლობა, იგი უფლებრივად დააკანონა. რომაელი იურისტის კაიუსის ინსტიტუციებში (1-52) აღნიშნული იყო, რომ „რაც მონის საშუალებით შეიძინება, ბატონისთვის შეიძინება“¹. სწორედ მონის ექსპლოატაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა პეკული (პეკუს — pecus — ცხოველი, პირუტყვი).

პეკული არის მონათმფლობელის ის ქონება, რომელიც სამართლებრივად და სარგებლობის მოსატანად ჩაბარებული ჰქონდა მონას. პეკუ-

¹ თითქმის ანალოგიური გამოთქმაა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში „ყმისა მძილაფერი ბატონისა არის“ (მუხლი 258-ე).

ლი შეიძლება ყოფილიყო მიწის ნაკვეთი, ფული და სხვ. მონისთვის შეიძლებოდა ჩაებარებინათ სავაჭრო, საწარმო, სომალდი და ა.შ. ასეთ ვითარებაში მონა დებდა გარიგებებს, მაგრამ პასუხისმგებლობას კისრულობდა მისი პატრონი, რომლის სახელითაც მონა გამოდიოდა. ამასთან, მონის პატრონი პასუხისმგებელი არ იყო მონის მიერ უფლებების გადაშეცემაზე ან სხვა სახის მოქმედებაზე, რაც მის გამგებლობაში არ შედიოდა. ჰეკული მონის ექსპლოატაციის გზით მონათმფლობელის გამდიდრების საშუალება იყო, თუმცა ამ გზითაც მონასაც უუმჯობესდებოდა პირობები და ზოგჯერ მონობიდანაც ახერხებდა თავის დაღწევას.

მონობის დამყარებისა და შეწყვეტის გზები

ცნობილია მონობის დამყარების შემდეგი გზები:

1) დაბადებით მონობა (თუნდაც მამა თავისუფალი მოქალაქე ყოფილიყო, თუ მონის დედა მონა იყო, იგი მონად ითვლებოდა, ხოლო, თუ დედა თავისუფალი მოქალაქე იყო, მისი შვილი თავისუფალი მოქალაქე ხდებოდა, თუნდაც მამა მონა ყოფილიყო);

2) სამხედრო ტყვეობა, ან უბრალოდ, ტყვედ ჩაგარდნა;

3) მონად გაყიდვა (ძველ ეპოქაში);

4) მონად დასჯა (თუ პირს სიკვდილით დასჯა შეეცვალა მონად დასჯით, ასევე ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში).

მონობის შეწყვეტა ხდებოდა გააზატებით. გააზატების, ანუ განთავისუფლების გარკვეული საფუძვლები არსებობდა: 1) მონათმფლობელი საჯაროდ აცხადებდა მაგისტრატის წინაშე, რომ ათავისუფლებდა მონას. 2) მოქალაქეთა სიების შედგენისას, რაც ყოველ ხუთწელიწადში ერთხელ ხდებოდა — ბატონს შეეძლო თავისი მონა თავისუფალ მოქალაქეთა სიაში შეეტანა. მაგრამ ეს უნდა სცოდნოდა ცენზორს. 3) გააზატების საშუალება იყო მონათმფლობელის ანდერძი, რომ სიკვდილის შემდეგ მისი მონა თავისუფალი იქნებოდა.

მონების მასიური გააზატება დაიწყო ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, მაგრამ მას მრავალი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა, რისთვისაც ფორმალური, ანუ იურიდიული შეზღუდვები დაწესდა.

გააზატებული მონა იურიდიულად თავისუფალი მოქალაქე იყო, მაგრამ ფაქტობრივად მისი უფლებაუნარიანობა მაინც იზღუდებოდა.

მას არ შეეძლო არჩევითი თანამდებობის დაკავება, თავისუფალ მოქალაქესთან ქორწინება, გარკვეულ დაქვემდებარებაში რჩებოდა წინანდელ პატრონთან. მას ყოფილი პატრონისათვის უნდა მიერთშია ძღვენი ან სხვა საშუალება. თუ გათავისუფლებულ მონას არ ჰყავდა შემკვირებული, მისი ქონება წინანდელ პატრონს რჩებოდა. თუ გააზატებული არ შეასრულებდა თავის მოვალეობას, იგი შეიძლება კვლავ მონად დაეკავებინათ.

კოლონატი

რომის სახელმწიფომ შეწყვიტა რა დაპყრობითი ომები, იაფი მიწათმფლობელების სახით უფრო შემცირდა. სწორედ ამის გამო რომაელმა მიწათმფლობელებმა იწყეს მიწების გადაცემა იჯარით. მიწის იჯარით ამღებს, მიწის არენდატორს, ანუ წვრილ ფერმერს კოლონატი ეწოდებოდა. კოლონატი, ანუ მოიჯარადრე დამოკიდებული იყო მიწის მესაკუთრეზე, რადგან მიწა მას არ ეკუთვნოდა. მიწის მესაკუთრე შემამულე მონათმფლობელი მკაცრად ადევნებდა თვალყურს კოლონატს - გადაეხადა გადასახადი (შრომამიგებითი თუ ნატურალური), არ მიეტოვებინა მიწის ნაკვეთი, არ დაეტოვებინა იგი დაუმუშავებელი და სხვ. IV საუკუნეში გამოიცა სპეციალური კანონი, რომლის ძალითაც თავისუფალ მოიჯარადრეს, ანუ კოლონატს აკრძალა იჯარით აღებული მიწის მიტოვება. სახელმწიფომ ამის პარალელურად მიწისმფლობელსაც აუკრძალა კოლონატისათვის მიცემული მიწის გასხვისება, რომელიც ფაქტობრივად კოლონატებს ეკავათ. ამ კანონით, მართალია, კოლონატი თავისუფალ მოქალაქედ ითვლებოდა, მაგრამ ფაქტობრივად მონობის მდგომარეობაში ჩაეარდა, რომელიც მყარად მიეჯაჭვა როგორც მიწათმფლობელს, ისე სახელმწიფოს. კოლონატი მიეჯაჭვებული იყო მიწაზე, რომლის მიტოვება მას არ შეეძლო. ამასთან, ეს მიწა მას არ ეკუთვნოდა, კოლონატს შეეძლო ქორწინება, მას ჰქონდა საკუთრების უფლება, მაგრამ ფაქტობრივად თავისუფალი არ იყო არც თვითონ და არც მისი ოჯახი. მართალია, კოლონატს შეეძლო მიეღო თავისუფლება, მაგრამ ეს იყო თავისუფლება უმიწოდ. კოლონატები საშუალო საუკუნეების ყმების წინამორბედნი იყვნენ.

იურიდიული პირები

რომაული სამართლისათვის უცნობია იურიდიული პირის ზოგადი ცნება, მაგრამ რომაელი იურისტები ცალკეულ შემთხვევებში იძულებულნი იყვნენ ამ მოვლენისთვის მიექციათ ყურადღება. მაგალითად, რომაელი იურისტები ყურადღებით ეკიდებოდნენ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ქონება ეკუთვნოდა არა ერთ პირს, ანუ ფიზიკურ პირს, არამედ პირთა ჯგუფს, კორპორაციასა თუ ორგანიზაციას, რომელშიაც რამდენიმე პირი იყო გაერთიანებული და რომლებსაც გარკვეული უფლებები და მოვალეობები ჰქონდათ როგორც ერთ მანეთთან, ისე ქონების მიმართ. მაგალითად, რომაელი იურისტი მარციანე აღნიშნავდა, რომ თეატრი თუ სხვა სანახაობები ეკუთვნოდა მთელ საზოგადოებას და არა რომელიმე მის წევრს. თუ თემი ფლობდა მონას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თემის ცალკეულ წევრს მონაზე გარკვეული უფლება ჰქონდა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, „იურიდიული პირი“ რომაულმა სამართალმა არ იცოდა, მაგრამ მოვლენა, როგორც ასეთი, რომის სამართლისათვის ცნობილია და რომაელმა იურისტებმა მას სპეციალური სახელიც კი მოუძებნეს — *persinae vice* (პერსონე ვიცე), ანუ „პირის მაგიერი“, ანუ „პირის ნაცვალი“ და სხვ. რომაული სამართლის წყაროებში ვხვდებით იურიდიულ პირთა აღნიშვნულ სხვადასხვა ტერმინს, მაგალითად, ზაზინა, მუნიციპალიტეტი, სხვადასხვა გაერთიანება — ხელოსნების, ყასბების, მეპურეების, მეკუბოვეებისა და სხვ.

ძველ რომში, რესპუბლიკის დასასრულამდე იურიდიულ პირთა თავისუფალი გაერთიანება არ იყო აკრძალული, მაგრამ იმპერიის პერიოდში უკვე იწყება იურიდიულ პირთა ჩამოყალიბება სანებართვო წესით.

დაბოლოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერმინი „იურიდიული პირი“ რომაული სამართლისათვის უცნობია. ეს ტერმინი შედარებით გვიან დამკვიდრდა, კერძოდ, რომის სამართლის რეცეფციის პერიოდში.

ბ) სანიეტო სამართალი (ნიეთები)

რომაული სამართლის მიხედვით ნიეთებს ეწოდებოდა **Res** (რეს). რომაული სამართალი ნიეთების დაყოფის სხვადასხვა სახეს იცნობდა. ნიეთების სხვადასხვა სახედ დაყოფის ყველაზე ძველი სახელი იყო

res Mancipi (რეს მანციპი) და **res nec Mancipi** (რეს ნეკ მანსიპი). **res Mancipi** – ნიშნავდა ისეთ ნივთებს, რომლებშიც შედიოდა მიწები, ამ მიწებზე დასახლებული მონები, მიწის დასამუშავებლად განკუთვნილი პირუტყვი, ასევე შენობები. რაც შეეხება **res nec Mancipi**, ამ კატეგორიაში შედიოდა ყველა სხვა დანარჩენი ნივთი; მაგალითად, საოჯახო ნივთები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, წვრილფეხა პირუტყვი, ფული და სხვ. ნივთების ეს კატეგორია აღინიშნებოდა ტერმინით **pecunia** (პეკუნია), ანუ ქონება (კლასიკური პერიოდიდან, მანამდე კი პირუტყვს ნიშნავდა).

ნივთების ამ ორ სახეობად დაყოფა გასხვისების წესში მდგომარეობდა. თუ **res Mancipi** (რეს მანსიპი) მოითხოვდა ქონების გასხვისების გართულებულ წესს – **res nec Mancipi** (რეს ნეკ მანსიპი) – შეიძლებოდა უბრალო გადაცემის გზით შესრულებულიყო, ანუ გასხვისებულიყო. ტერმინი „მანსიპი“ („Mancipi“) წარმოდგებოდა რომაული ტერმინიდან „manus“ (მანუს – ხელი) და „capio“ (კაპიო – ვიღებ), მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს ნივთის ხელში აღებას, არამედ გულისხმობს გასხვისებას, მისაკუთრებას.

რომის სამართალი იცნობდა ნივთების ისეთ დაყოფას, როგორც: ნივთები, რომლებიც ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან; მაგალითად, საწამლაკი – **res extra commercium** რეს ექსტრა კომერციუმ) და ნივთები, რომლებიც არ არის ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან, ანუ კომერციიდან **res in commercium**, (რეს ინ კომერციუმ).

რომის სამართალი იცნობდა ასევე ნივთების ასეთ დაყოფას:

ა) საერთო, ანუ ყველას კუთვნილი ნივთები, მაგალითად, ჰაერი, მდინარე და სხვ.

ბ) სახელმწიფოს კუთვნილი ნივთები (ციხეები, საჰყრობილები, საერთო გზები, თეატრები).

გ) რელიგიური დანიშნულების ნივთები – ეკლესიები, სალოცავეები, შესაწირი ადგილები.

რომის სამართალი იცნობდა ასევე ნივთების დაყოფას რთულ და მარტივ ნივთებად, ასევე – შედგენილ, ანუ ერთობლივ ნივთებად.

მარტივი ნივთები იყო ისეთი ნივთები, რომლებიც არ შედგებოდა სხვადასხვა შემადგენელი ნაწილისაგან (მაგალითად, ქვა, მორი და სხვ.); რთული ნივთები ისეთი ნივთები იყო, რომლებიც შედგებოდა სხვადასხვა ნაწილისაგან (მაგალითად, შენობა); ერთობლივი ნივთები

ანუ შედგენილი ნივთები ისეთი ნივთები იყო, რომლებიც შედგებოდა სხვადასხვა ნივთისაგან, მაგრამ არა როგორც ერთი ნივთი, არამედ როგორც ნივთთა ერთობლიობა (მაგალითად, ჯოგი).

რომის სამართალი იცნობდა ასევე ძირითად ნივთებს და ნივთებს, როგორც მის შემადგენელ ნაწილს.

გ) საკუთრების უფლება

კერძო საკუთრების უფლება პირველად რომის სამართალმა დაამუშავა.

ინდივიდუალურ, ანუ კერძო საკუთრებას წინ უძღოდა საერთო, ანუ საზოგადო საკუთრება; მაგალითად, გვარის საკუთრება, ოჯახის საკუთრება და სხვ. კერძო საკუთრება საკუთრების უფრო გვიანდელი ფორმაა.

ძველ რომში თავდაპირველად საკუთრება გააჩნდათ მხოლოდ ძირძველ რომაელებს. საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინი იყო **dominium** (დომინიუმ). ძირძველ რომაელებს კვირიტები ეწოდებოდათ, ამიტომაც მათ საკუთრებას ეწოდებოდა **dominium quiritium** (დომინიუმ კვირიტიუმ). კვირიტული საკუთრება არ გააჩნდათ არარომაელებს, ანუ პერეგრინებს. კვირიტული საკუთრების ობიექტი იყო ყოველი მოძრავი ნივთი, ხოლო მიწებიდან – მხოლოდ იტალიის მიწები, იტალიაში არსებული ნაკვეთები.

რომაული სამართლით საკუთრება ნიშნავდა ნივთზე სრულ ძალაუფლებას. ეს ნივთი ისე უნდა გამოეყენებინათ, როგორც სურდათ; კერძოდ: მიეღოთ მისგან მოგება, გადაეცათ სხვისთვის ან ეანდერძებინათ ვინმესათვის...

კვირიტული საკუთრების გვერდით არსებობდა საკუთრების სხვა სახეებიც, თუმცა რომაელი იურისტები მათ არც კი მიიჩნევდნენ სრულყოფილ საკუთრებად და განსაკუთრებულ საკუთრებად თვლიდნენ. ამ განსაკუთრებული საკუთრების სახეების გაცნობით ვრწმუნდებით, თუ როგორ ფართოვებოდა საკუთრების სახეები რომში. განსაკუთრებული საკუთრების სახეებიდან აღსანიშნავია:

1) პრეტორული, ანუ „ბონიტარული“ საკუთრება. ეს იყო საკუთრების სახე, რომელიც პრეტორის ბრძანებით იცავდა საკუთრების შემძენს სხვისი ხელყოფისაგან სარჩელის წაყენებითა თუ გაფრთხილების გზით. პრეტორის მიერ გამოცემული ბრძანებებით ქონების შემძენის მდგომარ-

რობა უთანაბრდებოდა მესაკუთრეს, მაგრამ შემძენი მესაკუთრე არ ხდებოდა, მესაკუთრედ არ ითვლებოდა. პრეტორი ვერ ცვლიდა ძველ სამართალს, ამისათვის სახალხო კრების დადგენილება იყო საჭირო; მაგალითად, პრეტორი მიუთითებდა, რომ ნივთი უნდა შესულიყო ნივთების შემძენის ქონების შემადგენლობაში, რომაულად *in bonis* (ინ ბონის). აქედან წარმოიშვა ბონიტარული საკუთრება. როდესაც შემძენზე ესაუბრობთ, რასაკვირველია, ვგულისხმობთ მანციპირებული (*res mancipi*) ნივთების შემძენს, რომელმაც შეძენისას გვერდი აუარა ფორმლობებით დამძიმებულ რიტუალურ წესს და რომელიც ძველი ცივილური სამართლით ამ ნივთების შეძენისათვის აუცილებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს რთული წესი (*mancipatio*) რომის კანონმდებლობამ იუსტინიანემდე შეინარჩუნა, რესპუბლიკის დასასრულიდან მოყოლებული მას ხშირად არ მიმართავდნენ. ეს ბუნებრივია, განვითარებული სამეურნეო ცხოვრება ვერ ეგუებოდა მანციპაციის რთულ ფორმებს. ცივილური სამართლით ასეთი შემძენი მესაკუთრედ არ ითვლებოდა. ნივთი რჩებოდა გამყიდველის საკუთრებაში, თუმცა იგი გადაცემულიც იყო და მისი საფასურიც მიღებული. გამყიდველს ამ ნივთის უკან გამოთხოვაც შეეძლო. ასეთი შესაძლებლობა საქმიან ურთიერთობებს მყოფეს ხდიდა. ვითარება შეიცვალა პრეტორული დაცვის განხორციელებით, თუ ნივთის გამსხვიებელი არ იუხერხულებდა და ცივილური მოთხოვნების დაუკველობის საფუძველზე სარჩელით მოითხოვდა ნივთის უკან დაბრუნებას, პრეტორი იცავდა შემძენს (მოპასუხეს). პრეტორი სარჩელში ურთავდა დათქმას (*exceptio*); ნივთი დაუბრუნდებოდა მოსარჩელეს, თუ მას არ ჰქონდა იგი გაყიდული და გადაცემული მოპასუხისათვის. ამ ექსცეფციით მინიშნებული იყო მოსარჩელის არაკეთილსინდისიერება. ვინაიდან შემძენი ნივთის შენარჩუნების მიუხედავად ვერ ხდებოდა ცივილური (კვირიტული) მესაკუთრე, იგი დახმარებას საჭიროებდა მესამე პირებთან მიმართებაშიც. პრეტორი მას აძლევს განსაკუთრებულ სარჩელს — *actio in rem Publiciana*.

2) პროვინციული საკუთრება. ეს იყო რომაელთა მიერ დაპყრობილი მიწები, რომლებიც რომის სახელმწიფოს საკუთრებად იყო მიჩნეული. ამ მიწებიდან სარგებელს რომაელები სხვადასხვა გზით ღებულობდნენ და განიხილებოდნენ როგორც ისეთი პირნი, რომლებსაც მარტოოდენ მფლობელობა ჰქონდათ, მაგრამ არსებითად მათი უფლება საკუთრების უფლებას უდრიდა.

3) პერეგრინების საკუთრება. პერეგრინებს არ ჰქონდათ ძირძველი რომაელების თანაბარი საკუთრება. მაგრამ კომერციის განვითარების შემდეგ აუცილებელი გახდა მათი საკუთრების ცალკე სახედ აღიარება და დაცვა.

ამრიგად, რომში არსებობდა საკუთრების სხვადასხვა სახე. მაგრამ მოგვიანებით, დომინანტის პერიოდში ისპობა სხვადასხვა სახის საკუთრება და ყალიბდება ერთიანი, უნიფიცირებული საკუთრება, რომელიც აღიარებს, რომ საკუთრება ეკუთვნის არა მარტო ძირძველ რომაელებს, არამედ რომის ტერიტორიაზე მოსულ ყველა ხალხს, ყველას, ვისაც კი უფლებაუნარიანობა აქვს.

საკუთრების უფლების შინაარსი

რომაელმა იურისტებმა ბევრი რამ გააკეთეს საკუთრების უფლების დამუშავების საკითხში, მაგრამ მათ ვერ შეძლეს საკუთრების უფლების ზუსტი განსაზღვრა. ისინი ასახელებდნენ მესაკუთრის ცალკეულ უფლებამოსილებებს. მათი აზრით, მესაკუთრეს ეკუთვნოდა ნივთით სარგებლობის უფლება — *ius utendi* (იუს უტენდი), ნივთიდან სასარგებლო თვისებების შემოსავლის მიღების უფლება — *ius fructu* (იუს ფრუენდი), განკარგვის უფლება — *ius abutendi* (იუს აბუტენდი). გარდა ამისა, რომაელი იურისტები ასახელებდნენ ასევე მესაკუთრის სხვა უფლებამოსილებასაც: ნივთის ფლობის უფლება — *ius possidendi* (იუს პოსიდენდი), სხვისი ფაქტობრივი მფლობელობიდან გამოთხოვის უფლება — *ius vindicandi* (იუს ვინდიკანდი).

რომაელი იურისტები საკუთრების უფლებას რომ განიხილავდნენ, საკუთრების უფლების სხვადასხვა ელემენტის მიუხედავად, დაასკვნდნენ, რომ მესაკუთრეს შეეძლო თავის ნივთს ისე მოაპყრობოდა, როგორც მოესურვებოდა, რაც კანონით არ იყო აკრძალული. აქედან გამომდინარე, საკუთრების უფლება არ იყო განუსაზღვრელი, აბსოლუტური უფლება. საკუთრების უფლება უნდა განხორციელებულიყო კანონის ფარგლებში. კანონი გარკვეულ ჩარჩოებში აყენებდა მესაკუთრეს.

საკუთრების უფლება სანივთო უფლებებს მიეკუთვნება (მასთან დაკავშირებით ისწავლება ასევე ნივთის ფაქტობრივი მფლობელობა) და უფლება სხვის ნივთზე.

საკუთრების უფლების განხილვამდე მოკლედ დავახასიათოთ მფლობელობა.

მიუხედავად იმისა, რომ მფლობელობასა და საკუთრების უფლებას შორის მჭიდრო ისტორიული კავშირი არსებობს, განვითარებულ რომის სამართალში ისინი სხვადასხვა კატეგორიებს წარმოადგენენ.

რომის სამართალი პირის მიერ ნივთის ყველა ფაქტობრივ ფლობას არ თვლიდა მფლობელობად. იგი განასხვავებდა მფლობელობასა (possessio) და უბრალო პერობას, ჭერას (detentio).

მფლობელობა გულისხმობს ორ ელემენტს: **corpus possessionis**, ფაქტობრივი ფლობა და **animus possessionis**, განზრახვა, ნება მფლობელობისა (ანუ სურვილი, მოექცე ნივთს, როგორც საკუთარს). ამ კავებით, პირი, რომელსაც ნივთი შესანახად მიაბარეს, არ ითვლება მფლობელად, რადგანაც იგი ნივთს სხვისი სახელით ფლობს.

მფლობელობა შეიძლება იყოს კანონიერი და არაკანონიერი. კანონიერი მფლობელია ის მფლობელი, ვისაც გააჩნია ნივთზე მფლობელობის უფლება (ius possidendi). ასეთია მესაკუთრე. ხოლო მფლობელი, რომელიც ფლობს ნივთს ფაქტობრივად (მაგრამ არ გააჩნია ნივთზე მფლობელობის უფლება), არის არაკანონიერი მფლობელი. თავის მხრივ, არაკანონიერი მფლობელობა ორი სახისაა: კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი. კეთილსინდისიერია ის არაკანონიერი მფლობელი, რომელმაც არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, რომ არა აქვს ნივთზე მფლობელობის უფლება (მაგალითად, ასეთია იმ პირის მფლობელობა, ვინც ნივთი შეიძინა არამესაკუთრისაგან, რომელიც თავს მესაკუთრედ ასაღებდა); არაკეთილსინდისიერი მფლობელია პირი, რომელმაც იცის, რომ ნივთი მისი არ არის, მაგრამ ექცევა მას, როგორც საკუთარს (მაგალითად, ქურდი). განსხვავებით არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან, კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია მფლობელობის ზანდაზმულობით მოიპოვოს ნივთზე საკუთრების უფლება.

მფლობელობის დაცვა ხდება ინტერდიქტებით (და არა სარჩელებით). კეთილსინდისიერი მფლობელი, გარდა ინტერდიქტისა, დაცული იყო სარჩელითაც (actio in rem Publiciana). კეთილსინდისიერ მფლობელს ეს სარჩელი, რომელიც ფიქციის დაშვებას გულისხმობდა, მიეცემოდა მხოლოდ არაკეთილსინდისიერი მფლობელის წინააღმდეგ. აღნიშნული სარჩელი ასევე მიეცემოდა ე.წ. „პრეტორულ მესაკუთრესაც“ (იხ. ქვემოთ, საკუთრების უფლება).

საკუთრების უფლების შიკნა

რომაელი იურისტები საკუთრების უფლების შეძენის სხვადასხვა სახეს იცნობდნენ. ისინი საკუთრების უფლების შეძენის ხერხებს ასხვავებდნენ და იურიდიული ფაქტებისაგან გამოყოფდნენ, რომლის ძალითაც იცვლებოდა მესაკუთრე.

საკუთრების უფლების შეძენის ხერხებიდან რომელი იურისტები იცნობდნენ: ა) თავდაპირველ გზას საკუთრების უფლების შეძენისა, ბ) ნაწარმოებ გზას საკუთრების უფლების შეძენისა.

ა) საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველ გზას ისინი განიხილავდნენ ისეთ გზად, რომლის დროსაც თავდაპირველი, ადრინდელი მესაკუთრე არ არსებობდა, ანდა რომაული სამართლით ასეთი მესაკუთრე მესაკუთრედ არ ითვლებოდა.

საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველი ხერხებიდან უნდა აღინიშნოს **occupatio** (ოკუპაცია), ანუ არავის კუთვნილი, უპატრონო ქონების ხელში ჩაგდება. ასეთი ქონება იმის კუთვნილება ხდებოდა, ვინც მას პირველად დაეპატრონებოდა. ასეთივე გზით შეიძლებოდა ხელში ჩაგდება და მესაკუთრედ გახდომა გარეულ ცხოველებზე, თევზებზე, მიტოვებულ ნივთზე და სხვ. (იგულისხმება: დაუკარგავი ან დაუმალავი ნივთები თუ ქონება). ნივთის მიტოვებულად თუ დაკარგულად ჩათვლა დამოკიდებული იყო თითოეული შემთხვევის გარემოებებზე. თუ პირი პოულობდა რაიმე ძველმანს, შეიძლებოდა ის მიტოვებულად ჩათვლილიყო, ხოლო, თუ იგი პოულობდა მეტ-ნაკლებად ღირებულ ნივთს, არ შეიძლებოდა იგი მიტოვებულად, გადაგდებულად მიჩნეულიყო, ასეთი ნივთი დაკარგულად ითვლებოდა. ნაპოვარი ნივთის მითვისება ქურდობას უთანაბრდებოდა. მპოვნელი ვალდებული იყო მოეძებნა ნივთის მესაკუთრე. ნივთის შენახვასა და მესაკუთრის ძებნასთან დაკავშირებული ხარჯები მპოვნელისათვის ნივთის მესაკუთრეს უნდა აენახლაურებინა. პოვნისათვის რაიმე სპეციალურ გასამრჯელოს რომის სამართალი არ ითვალისწინებდა.

აქვე უნდა ითქვას განძის (**thesaurus**) შესახებ. იუსტინიანეს „ინსტიტუციებში“ მითითებულია: „განძი, რომელიც პირმა თავის მიწაში იპოვა, ღვთაებრივმა ადრიანემ... იმას მიაკუთვნა, ვინც იგი იპოვა... იგივე დაადგინა მან იმ შემთხვევაშიც, თუ ვინმემ საღმრთო ან რელიგიურ ადგილზე შემთხვევით განძი იპოვა. ხოლო, თუ პირი

კანძს სხვის მიწაში შემთხვევით აღმოაჩენს ისე, რომ იგი არც უძებნია, მისი ნახევარი... მიწის მესაკუთრეს მიაკუთვნა... მანვე დაად-
კანა... თუ ვინმე განძს ცეზარის (იმპერატორის, - ვ.მ.) მიწაში
იპოვის, ნახევარი მპოვნელს ეკუთვნის, ნახევარი კი - ცეზარს... თუ
ვინმე განძს საჯარო ან ფისკის (სახაზინო) მიწაში იპოვის, ნახე-
ვარი მას ეკუთვნის, ნახევარი კი - ფისკს ან სახელმწიფოს“ (II,
1,39).

ბ) საკუთრების უფლების შექმნის ნაწარმოები (წარმოებული)
კვა, რომელი იურისტების აზრით, ისეთი გზა იყო, როდესაც საკუთრება
შეიძინებოდა ადრე არსებული მესაკუთრისაგან; მაგალითად, ნივთების
ან ქონების შექმნა გარიგებით.

გარიგებით საკუთრების უფლების შესაძენად საჭირო იყო ნივთის
გადაცემა traditio (ტრადიციო), ე.ი. ახალი მესაკუთრისათვის ნივთის
გადაცემა, ანუ ჩაბარება. ფაქტობრივად გადაცემასთან ერთად საკ-
მარისად ითვლებოდა სიმბოლური გადაცემაც. მაგალითად, საწყობის
გასაღების გადაცემა ნიშნავდა საწყობში არსებული მთელი ქონების
გადაცემას; გადაცემა საჭირო არ იყო, როცა შემძენი უკვე ფლობდა
ქონებას. ნივთის ან ქონების გადაცემისას საკუთრების უფლება მხ-
ოლოდ მაშინ წარმოიშობოდა, თუ გადაცემა კანონიერი იყო. რომის
სამართლის მიხედვით ნივთის შემძენ ახალ მესაკუთრეს არ ჰქონდა
იმაზე მეტი უფლებები, რაც ძველ მესაკუთრეს. თუ, მაგალითად,
ნივთზე არსებობდა სერვიტუტის უფლება (სხვას შეეძლო ესარგებლა
ამ ნივთით), ეს უფლება შემძენზედაც გადადიოდა.

რომაული სამართალი იცნობს საკუთრების უფლების შექმნის
გზას მემკვიდრეობით. მემკვიდრეობით გამხდარი მესაკუთრე იმ უფლე-
ბებისა და მოვალეობების მატარებელი ხდებოდა, რასაც სამკვიდროს
დამტოვებელი ავალდებულებდა მომავალ მემკვიდრეს, მესაკუთრეს.

საკუთრების უფლების შექმნის გზა იყო ასევე ხანდაზმულობა -
usucapio (უზუკაპიო). ეს ნიშნავდა იმას, რომ პირი დაეუფლებოდა
რა ქონებას და გარკვეული დროის განმავლობაში ფლობდა მას, თუ
ამ დროის მანძილზე შემდავებელი არ გამოჩნდებოდა, ეს პირი ამ
ნივთის მესაკუთრე ხდებოდა.

ხანდაზმულობის ვადები სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა იყო.
მაგალითად, XII ტაბულის კანონის მიხედვით მიწებზე ხანდაზმულობის
ვადა იყო ორი წელი, სხვა ნივთებზე - ერთი წელი. იმპერატორმა

იუსტინიანემ ხანდაზმულობის ვადა უძრავ ქონებაზე განსაზღვრა 10-დან 20 წლამდე, სხვა ნივთებზე 3 წელი. გარდა ამისა, იმპერატორმა იუსტინიანემ ჩამოაყალიბა ის აუცილებელი მოთხოვნები, რომელიც აკმაყოფილებდა ხანდაზმულობის კანონიერებას საკუთრების უფლების წარმოშობისათვის. ასეთი აუცილებელი მოთხოვნები იყო: 1) ნივთის (ქონების) მუდმივი ჭერა, ფლობა; 2) ნივთის კეთილსინდისიერი ფლობა, იგი არ უნდა ყოფილიყო მოპარული ან არ უნდა სცოდნოდა მფლობელს, რომ მას პატრონი ჰყავდა; 3) უნდა არსებულიყო მფლობელობის კანონიერი საფუძველი, რომ მყიდველმა არ იცოდა, რომ გამყიდველი თვითონ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მესაკუთრე.

საკუთრების უფლების შეფხვება

რომაელი იურისტების აზრით, საკუთრების უფლება წყდება:

1) თუ ნივთი განადგურდებოდა ფიზიკურად; 2) თუ მესაკუთრე უარს განაცხადებდა საკუთრებაზე (შეედლო საკუთრება სხვისთვის გადაეცა ან არ გადაეცა, მაგრამ უარი ეთქვა ნივთზე; მაგალითად, გადაეგდო ნივთი); 3) თუ მესაკუთრეს ჩამოერთმეოდა საკუთრების უფლება მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, მაგალითად, კონფისკაციის გამო გადავიდოდა სხვის საკუთრებაში ან იკარგებოდა საკუთრების უფლება ხანდაზმულობით. 4) თუ ნივთი ამოღებული იქნებოდა ბრუნვიდან. 5) კონფისკაციის შედეგად.

საერთო საკუთრება (თანასაკუთრება)

რომაელი იურისტები იცნობდნენ რამდენიმე პირის საკუთრების უფლებას ერთ ნივთზე ან ქონებაზე. ასეთ საკუთრებას იხინი უწოდებდნენ *communio* (კომმუნია).

რომაელი იურისტების აზრით, ასეთ შემთხვევაში თითოეული მესაკუთრე იყო ნივთის თანამფლობელი, ე.ი. მას ეკუთვნოდა არა ნივთის ნაწილი, არამედ ნივთზე საკუთრების უფლების ნაწილი. თუ ერთერთი ახალი მესაკუთრე გამოაკლდებოდა, ბუნებრივია, ფართოვდებოდა დარჩენილი მესაკუთრეების საკუთრების უფლება.

საერთო საკუთრებაში თითოეული მესაკუთრის უფლება განსაზღვრული იყო, არსებობდა თანაბარი ან არათანაბარი უფლებები.

საკუთრების უფლების დაცვა

რომაული სამართლით საკუთრების უფლების დაცვის სამი გზა არსებობდა: 1. ვინდიკაცია; 2. ნეგატორული სარჩელის წარდგენა; 3. მესაკუთრის მიმართ რაიმე მოქმედების შესრულების აკრძალვა. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

1. თუ მესაკუთრე დაკარგავდა ნივთს, მას შეეძლო წარედგინა მოთხოვნა, ჩამორთმეოდა ნივთი უკანონო მფლობელს და დაბრუნებოდა მას. ასეთი მოთხოვნის წარდგენა შეიძლებოდა ყველა პირის მიმართ, ვისაც უკანონოდ ეპყრა (ხელთ ჰქონდა) სხვისი ნივთი. ამასთან, მესაკუთრეს, რომელსაც ნივთი ჰქონდა დაკარგული, უნდა ემტკიცებინა, რომ იგი ნამდვილად ამ ნივთის კანონიერი მესაკუთრე იყო.

მესაკუთრის მოთხოვნას ლათინურად ეწოდებოდა ვინდიკაცია — *vindicatio* (ვინდიკაცია). ეს ტერმინი „*vindicta*“-დან (ვინდიქტა) მოდის, რაც ნიშნავს ჯოჯს.

ძველ რომში ნივთზე ჯოჯის დადება ნიშნავდა იმას, რომ ჯოჯის დამდები პირი აცნობდა სხვებს, აფრთხილებდა, რომ ნივთი მას ეკუთვნოდა.¹

2. ნეგატორული სარჩელი — *actio negatoria* (აქციო ნეგატორია), გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთი ან ქონება, მართალია, მესაკუთრეს ჰქონდა, მაგრამ გარეშე პირი ავიწროებდა მას, ხელს უშლიდა, არ აძლევდა საშუალებას სურვილისამებრ გამოეყენებინა ნივთი ან ქონება. ამ შემთხვევაში გარეშე პირი აცხადებდა, რომ მას ეკუთვნოდა სერვიტუტი ან უზუფრუქტი.

3. *Actio prohibitoria* (აქციო პროჰიბიტორია) — იმის მოთხოვნას ნიშნავდა, რომ აკრძალვოდა მესამე პირს — შეესრულებინა რაიმე მოქმედება ნივთის მიმართ, მესაკუთრის საზიანოდ.

¹ ამ წესის გამოძახილს დღესაც შევხვდებით საქართველოში. მაგალითად, მინახავს რაჭაში, მდ. რიონის პირას თუ სხვა მდინარეების მიერ გამოჩეულ ხეებზე ან ნარიყალაზე დადებული ჯოჯი ან ქვა, ან ნაჯახით ნაჭდვეის გაკეთება, რასაც რაჭველები ეძახიან „მოვისწავლე“, რაც იმას გულისხმობს, რომ ნივთი ეკუთვნის ხისა თუ ქვის დამდებს, ნაჭდვეის გამკეთებელს და სხვას უფლება არა აქვს მასზე. ამასთან, ამ ნივთს (ხეს) ადრე მესაკუთრე არ ჰყოლია (აგტორი). თუმცა ეს მაგალითი უფრო გამოდგებოდა საკუთრების უფლება წარმოშობის მაგალითად.

დ) სხვისი ნივთით სარგებლობის უფლება (სერვიტუტი)

საკუთარ ნივთზე მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლების გარდა, რომის სამართალმა დაამუშავა სხვისი ნივთით სარგებლობის უფლება, *lura in re aliena* (იურა ინ რე ალიენა); ამ შემთხვევაში საქმე ეხება ისეთი ნივთებით სარგებლობას, რომლებსაც ჰყავს მესაკუთრე, მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო (ზოგჯერ, მესაკუთრის ნების გარეშე) სხვა პირს, არამესაკუთრეს შეუძლია ამ ნივთით სარგებლობა, მისი გამოყენება თუ მისგან სარგებლობის მიღება.

სხვისი ნივთით სარგებლობის უფლების ძირითად სახეს წარმოადგენდა სერვიტუტი.

სერვიტუტები ორ კატეგორიად იყოფოდა:

ა) ნივთობრივი, ანუ საადგილმამულო სერვიტუტები — *servitutes praediales* (სერვიტუტეს პრედიალეს); ბ) პირადი სერვიტუტები — *servitutes personarum* (სერვიტუტეს პერსონარუმ).

საადგილმამულო სერვიტუტის ძალით არამესაკუთრეს უფლება ეძლეოდა ესარგებლა სხვისი მიწით; მაგალითად ეკლო ფეხით თუ ცხენით მეზობლის ნაკვეთზე, გაერეკა ამ ნაკვეთზე პირუტყვი, ესარგებლა მეზობლის ჭის წყლით, მოეძოვებინა პირუტყვი მეზობლის ნაკვეთზე და სხვ. ყოველივე ზემოაღნიშნულს სასოფლო სერვიტუტი ეწოდებოდა.

რომის სამართალი იცნობდა ასევე საქალაქო სერვიტუტსაც, რაც გულისხმობდა ქალაქში მეზობლის მიწითა თუ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას; მაგალითად, მეზობელს შეეძლო ესარგებლა მეზობლის კედლით, გაეყვანა მეზობლის ტერიტორიაზე წვიმის წყლისათვის არხი. საქალაქო სერვიტუტის ძალით მეზობელს ეკრძალებოდა ზომაზე მაღლა აეყვანა შენობის კედელი მეზობლის ბინის დაბნელების ან ხედის დამახინჯების გამო.

პირადი სერვიტუტის უფლების ძალით კერძო პირის სასარგებლოდ ხდებოდა სხვისი ნივთიდან სარგებლობის მიღება. პირადი სერვიტუტის ძირითადი სახე იყო უზუფრუქტი — *usus fructus* (უზუს ფრუქტუს). უზუფრუქტის ძალით გარეშე პირს, არამესაკუთრეს ეძლეოდა უფლება მიეღო სხვისი ნივთის ნაყოფი, მაგრამ ნივთი იგივე

ქნდა დარჩენილიყო, იგი არ უნდა შეცვლილიყო ან არ უნდა გაფუჭებულიყო; მაგალითად, თუ პირი სარგებელს ღებულობდა სხვისი ქონებით, მას უფლება არ ჰქონდა ვენახში აეშენებინა შენობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი პასუხს აგებდა.

სერვიტუტის უფლება დამოკიდებული იყო ნივთის მესაკუთრის სება-სურვილზე. მესაკუთრე სერვიტუტს გადასცემდა სხვა პირს ან ასდერბით, ან კიდევ ხელშეკრულებით. შეიძლებოდა სერვიტუტი წარმოშობილიყო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე ხანდაზმულობით; მაგალითად, თუ პირი სარგებლობდა სხვისი მიწით 10 თუ 20 წელი, იგი შემდეგაც ხდებოდა სერვიტუტის უფლების მქონე ხანდაზმულობის გამო. სერვიტუტის უფლება წყდებოდა ნივთის მოსპობით, ასევე სერვიტუტის სუბიექტის სიკვდილითაც, ანდა მესაკუთრის მიერ სერვიტუტზე უარის თქმით.

სერვიტუტის უფლების შეწყვეტას უახლოვდება შემთხვევები, როდესაც ნივთი გადადის სერვიტუტის მქონე პირის საკუთრებაში, ე.ი. იმ დროს ხდება სერვიტუტის შეერთება საკუთრების უფლებასთან.

სერვიტუტი წყდებოდა, თუ მასზე უარს იტყოდა სერვიტუტის უფლების მქონე სუბიექტი, ან არ განხორციელდებოდა მისი უფლება 10 წლის მანძილზე. გარდა სერვიტუტისა, სხვის ნივთზე უფლებას მიეკუთვნებოდა სხვისი მიწის გრძელვადიანი სარგებლობის მემკვიდრეობით გადასაცემი, გასასხვისებელი სანივთო უფლებები: ემფითევზისი (emphyteusis) — სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მისი დამუშავების მიზნით, სუპერფიციუმი (superficies) — საქალაქო მიწაზე, მასზე ნაგებობის აგების მიზნით.

ემფითევზისის ინსტიტუტი რომის სამართალში საბერძნეთიდან შემოვიდა. ემფითევზისით მიწით მოსარგებლეს შეეძლო დაემუშავებინა და გაეუმჯობესებინა მიწის ნაკვეთი, შეეცვალა მისი დანიშნულება, მთლიანად მიეღო სარგებელი. მაგრამ ამ ნაკვეთის გაყიდვის უფლება მას არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო მისი გადაცემა მემკვიდრეობით; მაგრამ თუ დაისმებოდა ნაკვეთის გაყიდვის საკითხი, პირველ რიგში, ყიდვის უპირატესი უფლება ჰქონდა მიწით მოსარგებლეს, რისთვისაც იგი ძალზე დაბალ თანხას იხდიდა.

ე) ვალდებულებითი სამართალი

რომის სამართლის წყაროებში ვალდებულებას ეწოდება ობლიგაციო. ვალდებულების ცნება რომის სამართალში სახელმწიფოს განკარგულების ადრეულ ეტაპზე არ ჩამოყალიბებულა. ვალდებულების სახელი ცნება რომაელმა იურისტებმა თანდათან შეიმუშავეს და მუშაობა დასრულდა იმპერატორ იუსტინიანეს დროს. იუსტინიანის კრებულის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი – ინსტიტუციები, ვალდებულების ასეთ ზოგად განმარტებას იძლევა: „ვალდებულება სამართლებრივი ბორკილებაა, რომლებიც ჩვენ გვაიძულებენ შევასრულოთ რაიმე, ჩვენი სახელმწიფოს კანონებისა მიხედვით“. რომის სახელმწიფოს სამართლის წყაროებიდან ირკვევა, რომ „ბორკილები“, რომლებიც თავი იზღუდებოდა მოვალე, არ იყო უბრალო სიტყვები; მაგალითად XII ტაბულის კანონებში ვხვდებით მუხლს, რომელიც აწესებს ვალდებულებას არაგადამხდელი პირის (მოვალის) შეკვრას თოკით ან მისთვის ბორკილების დადებას, ამასთან, გათვალისწინებული იყო თვით ბორკილების სიმძიმეც კი. ვალის არგადამხდელი (მოვალე) კრედიტორს შეეძლება წაეყვანა თან და გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ, შეეძლო მისი გაყიდვა ან მოკვლაც კი. მაგრამ ეს წესი აიკრძალა ჩვ.წ. აღ.ძ. IV საუკუნეში. ახალი წელთაღრიცხვის დაწყების მიჯნაზე კრედიტორს უკვე აღარ ჰქონდა ასეთი უფლება და ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობა დაწესდა – ფიზიკური ბორკილები იურიდიულმა ბორკილებმა შეცვალა, რადგან სამართლებრივი ბორკილები გამოხატულებას პოულობდა ქონებრივ პასუხისმგებლობაში ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

ვალდებულებაში ორი მხარის სამართლებრივი დაპირისპირებაა: 1) კრედიტორი – **creditor** (კრედიტორ), რომელსაც აქვს უფლება მოსთხოვოს მეორე მხარეს ვალდებულების შესრულება; 2) მოვალე – **debitor** (დებიტორ), რომელმაც უნდა შეასრულოს ვალდებულება.

რას გულისხმობდა ვალდებულების შესრულება? რა მოქმედებები უნდა შეესრულებინა მოვალეს? ამაზე რომაელი იურისტები საფუძვლიანად მსჯელობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ვალდებულების შესრულება, ანუ ვალდებულების შინაარსი ნიშნავს: 1) რაიმე ნივთის გადაცემას; 2) რაიმეს გაკეთებას (აქ იგულისხმება როგორც მოქმედება, ისე მოქმედებისაგან თავის შეკავება); 3) რაიმე მომსახურების გაწევა, სხვისი ვალდებულების თავის თავზე აღება და სხვა.

მაკლად ეს მოქმედებები გამოიხატებოდა ტერმინებით: **dare** (დარე) — მოცემა, გადაცემა; **facere** (ფაცერე) — გაკეთება; **praestare** (პრესტარე) — მომსახურების გაწევა, ვალდებულების აღება.

ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები

რომაელ იურისტებს განსხვავებული შეხედულებები გააჩნდათ ვალდებულების წარმოშობის საფუძვლების საკითხზე. იურისტთა უმრავლესობა მიუთითებდა, რომ ვალდებულების წარმოშობის მხრივ იყო ორი გზა, ორი საფუძველი არსებობდა: 1) ვალდებულებანი, რომლებიც წარმოიშობა ხელშეკრულებიდან — **contractus** (კონტრაქტუსი); 2) ვალდებულებანი, რომლებიც წარმოიშობა ზიანის მიყენებიდან, ანუ დელიქტიდან — **delictum** (დელიქტუმი).

რომაელი იურისტი გაიუსი ვალდებულების წარმოშობის საფუძველს სამ ჯგუფად ყოფდა: 1) ვალდებულებანი, რომლებიც წარმოიშობა ხელშეკრულებიდან; 2) ვალდებულებანი, რომლებიც წარმოიშობა ზიანის მიყენებიდან ან უფლების დარღვევიდან — დელიქტიდან; 3) ვალდებულებანი, რომლებიც წარმოიშობა სხვა დანარჩენი მიზეზებიდან.

გაიუსი სხვა ადგილზე უკვე ვალდებულების წარმოშობის ოთხ გზას, ოთხ საფუძველს ასახელებს:

- 1) ვალდებულებანი წარმოშობილი ხელშეკრულებიდან;
- 2) ვალდებულებანი წარმოშობილი თითქოს ხელშეკრულებიდან (კაზი-ხელშეკრულება);
- 3) ვალდებულებანი წარმოშობილი ზიანის მიყენებიდან;
- 4) ვალდებულებანი წარმოშობილი თითქოს ზიანის მიყენებიდან (კაზი-დელიქტი).

ვალდებულების წარმოშობის ოთხნაწილიანი, ანუ ოთხმიზეზიანი კლასიფიკაცია მოცემულია იუსტინიანეს ინსტიტუციებშიც.

რომის სამართალი ვალდებულების სახეებს, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ყოფდა ასევე: ა) ნატურალურ ვალდებულებებად და ბ) ცივილურ ვალდებულებებად.

ცივილური ვალდებულებები ისეთი ვალდებულებები იყო, რომლებიც წარმოიშობოდა სარჩელის წარდგენის შედეგად, ე.ი. ცივილური ვალდებულებებისათვის მთავარი იყო ფორმალური მომენტი —

სარჩელის წარდგენა. ამდენად, ასეთი სახის ვალდებულებებს შეიძლება ფორმალური ვალდებულებებიც ეწოდოს.

ნატურალური ვალდებულება კი ისეთ ვალდებულებას გულისხმობდა, როცა სახეზე არ იყო სარჩელი, მაგრამ მოვალეს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ვალდებულების შესრულებაზე. მაგ. მშობლების პასუხისმგებლობა შვილების ვალებზე.

ხელშეკრულებები

რომაულ სამართალში ხელშეკრულებას ეწოდება — **contractus** (კონტრაქტუს). ხელშეკრულება მხარეთა შორის ისეთი შეთანხმება-გარიგება იყო, რომლის შეუსრულებლობა უფლებას იძლეოდა სარჩელის წარსადგენად.

რომაელი იურისტები მიუთითებდნენ, რომ ყოველი შეთანხმება როდი იყო ხელშეკრულება. შეთანხმება (გარიგება) რომ ხელშეკრულებად გადაქცეულიყო, აუცილებელი იყო მას მისცემოდა გარკვეული სახე, გაფორმებულიყო იგი წერილობით, გადასცემოდა გარიგების საგანი და სხვ.

ხელშეკრულება ნამდვილი რომ ყოფილიყო, საჭირო იყო მთელი რიგი მოთხოვნების დაცვა. ძირითადად, მოთხოვნას წარმოადგენდა ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის შეთანხმება. შეთანხმება აუცილებელი იყო თვით ნივთის გადაცემისა და სიტყვების, ანუ სახელშეკრულებო რიტუალის შესრულების დროსაც.

ხელშეკრულების ნამდვილობის მეორე მოთხოვნას წარმოადგენდა ის, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდა სხვა სამართლის ნორმებს. მაგალითად, თუ ხელშეკრულება იღებოდა ბრუნვიდან ამოღებულ ნივთზე, იგი ნამდვილ ხელშეკრულებად არ ითვლებოდა. გარდა ამისა, ხელშეკრულება უნდა ყოფილიყო ზნეობრივი ნორმების შესაბამისი, ე.ი. ხელშეკრულება ზნეობის საწინააღმდეგო არ უნდა ყოფილიყო.

ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელი იყო ასევე მისი შესრულების შესაძლებლობა და არა ფანტაზია; მაგალითად, გაიუსის ინსტიტუციებში (3,98) მითითებულია, რომ ხელშეკრულება დადებული იმის შესახებ, რომ ხელით ცას შეეხები, არ არის ნამდვილი.

ხელშეკრულება არ მიიჩნეოდა ნამდვილად, თუ იგი დადებული იყო მოტყუებით, შიშის ქვეშ (დამუქრება, იძულება), ძალადობით, შეცდომით.

ხელშეკრულების სახეები

რომაელი იურისტები იცნობდნენ რა ხელშეკრულების სხვადასხვა სახეს, მათი კლასიფიკაციის, ანუ დაჯგუფების საფუძვლებს ეძიებდნენ.

რომაელმა იურისტმა გაიუსმა წამოაყენა დებულება, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების კლასიფიკაცია ან ტიპებად დაჯგუფება შეიძლება მომხდარიყო ხელშეკრულებათა დადების წესის მიხედვით, ამ ნიშნით მან ხელშეკრულებების კლასიფიკაცია მოახდინა ოთხ ჯგუფად:

1) რეალური ხელშეკრულება. ეს ისეთი ხელშეკრულებაა, რომელიც გულისხმობს ნივთის უშუალოდ გადაცემას.

2) ლიტერარული ხელშეკრულება — ნამდვილობისათვის მოითხოვს დოკუმენტის შედგენას, ანუ წერილობით გაფორმებას.

3) კონსესუალური ხელშეკრულება — ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის ნამდვილობისათვის საკმარისია შეთანხმება, ყოველგვარი სხვა ფორმლობების გარეშე. ნივთის გადაცემა აუცილებელი არ იყო.

4) ვერბალური ხელშეკრულება (Verbum — ვერბუმ-სიტყვა) ისეთი ხელშეკრულებაა, რომელიც სიტყვიერად იდებოდა და საჭირო არ იყო მისი წერილობითი გაფორმება, მაგრამ საჭირო იყო განსაზღვრული სიტყვების წარმოთქმა.

რომის სამართალი, ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის გარდა, იცნობდა ასევე ხელშეკრულებების კლასიფიკაციას მათი შინაარსის მიხედვით. ამ ნიშნის მიხედვით ხელშეკრულებები შეიძლება იყოს:

ა) ცალმხრივი და ბ) ორმხრივი.

ცალმხრივია ხელშეკრულება, თუ ყველა სახის ვალდებულება მხოლოდ ერთ მხარეს (ცალ მხარეს) ეკისრება, ხოლო უფლებები აქვს მეორე მხარეს; მაგალითად, სესხის ხელშეკრულება ცალმხრივია, რადგან ყველა ვალდებულება მსესხებელს ეკისრება, ხოლო გამსესხებელი, ანუ მეორე მხარე, უფლებამოსილია მოსთხოვოს მსესხებელს და არ ეკისრება არავითარი მოვალეობა.

ორმხრივი ხელშეკრულების ძალით კი უფლებები და მოვალეობები ორივე მხარეს აქვს, ე.ი. თითოეული მხარე არის ვალდებულების მატარებელიცა და უფლებამოსილიც. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი, ქონება და უფლებამოსილია მოითხოვოს საზღაური, მყიდველი კი ვალდებულია გადაიხადოს ნივთის ღირებულება და უფლებამოსილია მიიღოს ნივთი.

ზემოთ ჩვენ ჩამოვთვალეთ ოთხი სახის ხელშეკრულება მათი დადების წესის მიხედვით და პირველად დავასახელებთ რეალური ხელშეკრულებები. როგორც აღინიშნა, რეალური ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, როდესაც ხდება ნივთის გადაცემა. რეალური ხელშეკრულების სახეებია: სესხის, ნათხოვრობის (ან განათხოვრების), შენახვის, დაგირავების ხელშეკრულებები.

სესხის ხელშეკრულების ძალით გამსესხებელი გადასცემს მსესხებელს გარკვეული ხარისხის, გარკვეული ოდენობისა თუ გარკვეული ღირებულების ნივთებს, სურსათ-სანოვაგეს, ფულს. მსესხებელი ღებულობს ამ ნივთებს საკუთრებაში და ვალდებულია კისრულობს დააბრუნოს ასეთივე სახის, ასეთივე რაოდენობისა თუ ღირებულების საქონელი. მსესხებელი ვალდებულია პასუხი აგოს ნივთის განადგურების შემთხვევაში მაშინაც კი, თუ მას არ უსარგებლია, არ გამოუყენებია ეს ქონება და ნივთი.

სესხის ხელშეკრულება არის რეალური ხელშეკრულება, ე.ი. ვალდებულია წარმოიშობა არა უბრალო შეთანხმებით, არამედ მხოლოდ ნივთის გადაცემის შემდეგ. სესხის ხელშეკრულება ცალმხრივი ხელშეკრულებაა. სესხის მიმცემს უფლება აქვს მოითხოვოს სესხის ამლებისაგან ისეთივე სახეობის ნივთი, ისეთივე ოდენობისა და ხარისხის, რაც გაასესხა. სესხის ამლები ვალდებულია დააბრუნოს იგი. სესხის ამლებს არავითარი უფლება არა აქვს, მან უკვე მიიღო გარკვეული ქონება. ხშირად სესხის ამლები ვალდებულია, არა მარტო დააბრუნოს ნასესხები, არამედ გადაიხადოს პროცენტი, ე.ი. სესხის ხელშეკრულება შეიძლება იყოს სასაყიდლიანიცა და უსასაყიდლოც, ეს განისაზღვრებოდა ხელშეკრულების დადებისას. სესხის პროცენტი მერყეობდა 1-დან 8%-მდე. ამასთან, პროცენტის დარიცხვა აკრძალული იყო. ყურადღებას იპყრობს სესხის ხელშეკრულების ვადები. იგი შეიძლება დადებულიყო გარკვეული ანდა გაურკვეველი დროით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამსესხებელს შეეძლო სესხის დაბრუნება ნებისმიერ დროს მოეთხოვა.

თხოვების ხელშეკრულების ძალით ერთი პირი მეორეს უთმობდა გარკვეულ კონკრეტულ ნივთს უსასაყიდლოდ სარგებლობისათვის, გარკვეული დროით, იმ პირობით, რომ სარგებლობის შემდეგ იმავე ნივთს უვნებლად და დაუზიანებლად დაუბრუნებდა.

თხოვების ხელშეკრულებაც რეალური ხელშეკრულებაა. ამ ხელშეკრულებით მოვალეობა ეკისრება ნივთის მიმღებს. იგი ვალდებულია

ლია პასუხი აგოს ნივთის დაზიანებისათვის ყველა შემთხვევაში — როგორც უხეში გაუფრთხილებლობის, ისე მსუბუქი დაუდევრობისათვისაც. ნივთის მიმღები ვალდებული იყო ნათხოვარი ნივთი შეენახა ამ გამოყენებინა სათანადო წესების დაცვით, გამოეჩინა ნივთის მიმართ მზრუნველობა, არ წაეხდინა იგი და მხოლოდ მაშინ გათავისუფლდებოდა ნივთის გაფუჭების პასუხისმგებლობისაგან, თუ ადგილი ჰქონდა შემთხვევას — *casus* (კაზუს).

თხოვების ხელშეკრულება ორმხრივი ხელშეკრულებაა. აქ ნივთის გამნათხოვრებელს მოვალეობა ეკისრება გადასცეს ხარისხიანი (ჯანსაღი) ნივთი, და უფლებამოსილია მოითხოვოს მისი ასეთსავე ხარისხში დაბრუნება. მოთხოვნელი კი უფლებამოსილია მიიღოს ხარისხიანი (ჯანსაღი) ნივთი და ვალდებულია დააბრუნოს იგი იმავე მდგომარეობაში. პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა გამნათხოვრებელს მეორე მხარისათვის მიუცია ავადმყოფი პირუტყვი, რომელმაც მოთხოვნელის პირუტყვი დააავადა. ასეთ შემთხვევაში, თუ გამნათხოვრებლისათვის წინასწარ იყო ცნობილი თავისი პირუტყვის ავადმყოფობა, მას პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

თხოვების ხელშეკრულება შეიძლება ვადიანი ყოფილიყო. რომის სამართალი იცნობდა თხოვების ხელშეკრულების ცალკე სახეს — მოთხოვნამდე განათხოვრებას, ე.წ. პრეკარიუმს.

შენახვის ხელშეკრულება *depositum*¹ — (დებოზიტუმ). ამ ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე გადასცემდა მეორე მხარეს, შემნახველს ნივთს თუ ტვირთს, ქონებას უსასყიდლოდ შესანახად. ეს ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა, ვალდებულება წარმოიშობა ნივთის გადაცემის შემდეგ. ნივთის შესანახად გადამცემი, მიმბარებელი შეიძლება იყოს ან არ იყოს ამ ნივთის მესაკუთრე; შენახვის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი. ნივთის მიმბარებლის მიზანია ნივთის შენახვა. ნივთის შემნახავი არც მესაკუთრე ხდება და არც მფლობელი, თუ მოსარგებლე დამცველია. ნივთის შესანახად გადაცემა შეიძლება იყოს განსაზღვრული დროით ან მოთხოვნამდე. შენახვის ხელშეკრულება

¹ ეს ხელშეკრულება რუსულად ნათარგმნია როგორც „хранение“ და „поклажа“. ჩვენ ამ ხელშეკრულებას ვუწოდებთ შენახვის ხელშეკრულება. ვფიქრობთ, არ იქნებოდა შეცდომა ამ ხელშეკრულებისათვის გვეწოდებინა „მიბარების ხელშეკრულებაც“, ან „შესანახად მიბარების ხელშეკრულება“. გ. ნადარეშვილი *depositum*-ს უწოდებს შესანახად მიბარებას.

უსასყიდლო ხელშეკრულებაა. ამით განსხვავდება ეს ხელშეკრულება ქირავნობის ხელშეკრულებისაგან, რადგან შენახვის ხელშეკრულება უსასყიდლო ხელშეკრულებაა, მიმღებს არა აქვს უფლება მოსთხოვოს მეორე მხარეს საზღაური ნივთის შესანახად; მიმბარებელს კი უფლება აქვს მოსთხოვოს შემნახველს თავისი ნივთის უვნებლად შენახვა და გარკვეულ დროში დაბრუნება.

შენახვის ხელშეკრულება, მართალია, უსასყიდლო ხელშეკრულებაა, მაგრამ ეს როდი ათავისუფლებდა შემნახველს, რომ მას ნივთი დაეკარგა ან განზრახ გაეფუჭებინა. თუ ეს დადასტურდებოდა, მაშინ იგი პასუხს აგებდა, მაგრამ გაუფრთხილებლობის შემთხვევაში იგი პასუხს არ აგებს, რადგან მოქმედებდა ტვირთისა თუ საგნის შესანახად გადამცემის ინტერესებიდან გამომდინარე.

რომაელი იურისტი გაიუსი აღნიშნავდა: თუ შემნახველმა დაკარგა ჩაბარებული ნივთი გაუფრთხილებლობით, იგი პასუხს არ აგებდა ამისათვის. გაიუსი ასაბუთებდა თავის დებულებას: თუ ტვირთის ან ნივთის შემნახველი ხელმძღვანელობდა არა თავისი ინტერესებით, არამედ ნივთის შესანახად ჩამბარებლის ინტერესებით, ამ უკანასკნელს პასუხისმგებლობა შეიძლება დაჰკისრებოდა უხეში გაუფრთხილებლობისათვის ან განზრახვისათვის.

შენახვის ხელშეკრულების მრავალგვარობის გამო, რომში ცალკე გამოყოფდნენ მის საეციალო სახეებს. მაგალითად, როცა ნივთის შემნახველი იძულებული იყო ნივთი შესანახად გადაეცა ხანძრის, მიწისძვრის ანდა სხვა უბედურ შემთხვევებში. ასეთ უბედურ შემთხვევაში ნივთის შემნახველს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ნივთისათვის, რადგან მიმბარებელი მხარე მოქმედებდა არა თავისი ნებით, არამედ გამოუვალი მდგომარეობით.

გირავნობის ხელშეკრულება. გირავნობის ხელშეკრულების ძალით ნივთის (ქონების) დამგირავებელი მხად იყო ხელშეკრულების შესასრულებლად და, თუ იგი არ შეასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, დაგირავებულ ნივთს კარგავდა.

ნივთის დაგირავებისას დამგირავებელ მხარეს ეკისრებოდა გარკვეული მოვალეობები. კერძოდ, მას უნდა დაეგირავებინა ხარისხიანი ნივთი და ზიანი არ უნდა მოეტანა გირაოს ამღებისათვის (მაგალითად, დააგირავა ავადმყოფი პირუტყვი, მალეფუჭადი საქონელი და სხვ.), ხოლო გირაოს ამღები ვალდებული იყო მზრუნველობით მოჰ-

კიდებოდა ნივთს, ხელშეკრულებით დათქმული პირობების ასრულების შემდეგ დაებრუნებინა იგი დამვირაკებლისათვის.

კონსესუალური ხელშეკრულებები

როგორც უკვე აღინიშნა, კონსესუალური ხელშეკრულებები ისეთი ხელშეკრულებებია, რომელთა ნამდვილობისათვის საკმარისია მხარეთა შეთანხმება. ასეთი სახის ხელშეკრულებები დიდად უწყობდა ხელს აღებ-მიცემობას რომში. კონსესუალური ხელშეკრულება შეიძლება დადებულყოფი მხარეთა დაუსწრებლადაც, მათ შორის წერილების გაცვლითა თუ შუამავლის მეშვეობით.

კონსესუალური ხელშეკრულებებიდან აღსანიშნავია: ყიდვა-გაყიდვის, ქირავნობის, მინდობილობის, ამხანაგობის ხელშეკრულებები.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება – EMPTIO -VEDNDITIO (EMPTIO-VENDITIO)

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ერთ-ერთი უძველესი ხელშეკრულებაა. იგი გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ხელს უწყობდა ეკონომიკის წინსვლას, იგი აუცილებელი გახდა საზოგადოების პროგრესისათვის.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება კონსესუალური ხელშეკრულებაა, რომლის ძალითაც ერთი მხარე, გამყიდველი – **venditor** (ვენდიტორ) ვალდებულია კისრულობდა გადაეცა მეორე მხარისათვის, მყიდველისათვის **emptor** (ემპტორ), ნივთი, ქონება ან სხვა სიკეთე, ხოლო მეორე მხარე – მყიდველი ვალდებულია კისრულობდა გადაეხადა გამყიდველისათვის ნივთის ფასი – **pretium** (პრეციუმ).

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საგანია ყველა სახის ნივთი თუ ქონება, რაც სამოქალაქო ბრუნვიდან არ არის ამოღებული. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისათვის აუცილებელი არ არის გასაყიდი ნივთის სახეზე არსებობა. ეს ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ჯერ არარსებულ ნივთზე (ან ნივთებზე) თუ ქონებაზე; მაგალითად, მარცვალზე, თევზზე, გასაკეთებელ ნივთზე და სხვ. მაგრამ ხელშეკრულებაში მითითებული უნდა ყოფილიყო გასაყიდი ნივთის სახეობა, ზომა, წონა, ხარისხი და სხვა მონაცემები.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საგანი შეიძლება ყოფილიყო არა მხოლოდ სხეულებრივი, ფიზიკური საგნები, არამედ *res incorporalis* (რეს ინკორპორალის), ანუ არასხეულებრივი, არაფიზიკური სიკეთე; მაგალითად, მოთხოვნის უფლება, უზუფრუქტის უფლება და სხვ.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გაცვლის ხელშეკრულებას ემსგავსება, მაგრამ მისგან განმასხვავებელი ნიშანია ფასი, რაც გამოხატული უნდა ყოფილიყო ფულად ერთეულში და ზუსტად განსაზღვრულიყო მისი სიდიდე, ოდენობა.

გაბატონებული კლასების მოთხოვნის საფუძველზე რომაელმა იურისტებმა შეიმუშავეს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დაწვრილებითი რეგლამენტაცია.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით მთავარი ამოცანაა, ნივთი გადავიდეს მყიდველის საკუთრებაში. ნივთი უნდა გადასცეს გამყიდველმა, მაგრამ ხელშეკრულების დადების შემდეგ, თუ დაიღუპა ან გაფუჭდა ნივთი, ზარალის რისკი ეკისრება გამყიდველს, თუ დადასტურდა, რომ ზიანი დადგა მისი ბრალით, ხოლო, თუ დამტკიცდა, რომ ბრალი გამოიწვია არა გამყიდველმა, არამედ შემთხვევამ, გამყიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან და ზიანის რისკი მთლიანად ეკისრება მყიდველს.

გამყიდველი პასუხისმგებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ გაყიდულ ნივთზე პრეტენზიას განუცხადებდნენ ან ჩამოართმევდნენ მყიდველს მესამე პირები; ე.ი. თუ გამყიდველი სხვის ნივთს გაყიდდა. გამყიდველი ასევე მკაცრად აგებდა პასუხს, თუ იგი წინასწარი განზრახვით გაყიდიდა ნაკლის მქონე ნივთს ან განზრახ დამალავდა ამ ნაკლს, არ მიუთითებდა მათ შესახებ.

ხელშეკრულების დადების შემდეგ, თუ ნივთს წუნი აღმოაჩნდებოდა, მყიდველს შეეძლო სარჩელი წაეყენებინა გამყიდველისათვის ხელშეკრულების მოსაშლელად ან ფასის შესამცირებლად.

მყიდველს ეკისრებოდა ვალდებულება გამყიდველისათვის გადაეხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი. ფასის სიდიდე განისაზღვრებოდა საბაზრო ფასებით, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში საბაზრო ფასთან შედარებით ზოგჯერ ნაკლები ან მეტი შეიძლება ყოფილიყო იგი. რომაელი იმპერატორები ცდილობდნენ ფასების რეგულირებას, ისინი გამოსცემდნენ სპეციალურ აქტებს ფასების შესამცირებლად. რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს უცდია (თუმცა უშედეგოდ) მთელი რომის იმპერიისათვის ერთიანი ფასები დაეწესებინა.

ქირავნობის ხელშეკრულება

რომის სამართალი იცნობდა ქირავნობის სამი სახის ხელშეკრულებას: 1) ნივთების ქირავნობის ხელშეკრულებას; 2) მომსახურებისათვის ქირავნობის ხელშეკრულებას; 3) სამუშაოს შესასრულებლად დაქირავების ხელშეკრულებას.

რომის სამართლის მიხედვით ქირავნობა განმარტებული იყო სხვისი ნივთით, მათ შორის სხვისი კუთვნილი მონით, ანდა თავისუფალი ადამიანით დროებით სასყიდლიანი სარგებლობა.

რომში ქირავნობის ხელშეკრულებამ ფართო გასაქანი პოვა II საუკუნიდან, როცა გაიზარდა ვაჭრობა და გაფართოვდა მონათმფლობელობა. თავდაპირველად ადგილი ჰქონდა მუშა საქონლისა და მონების დაქირავებას, შემდეგ ნივთებისა და მიწის, ხელოსნებისა თუ სხვა სახის სპეციალისტების დაქირავებას.

ნივთის ქირავნობა. *locatio conductio rei* (ლოკაციო კონდუქციო რეი) ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის ძალითაც ერთი მხარე — გამქირავებელი — **locator** (ლოკატორ), ვალდებულია კისრულობს გადასცეს მეორე მხარეს — დამქირავებელს — **conductor** (კონდუქტორ), ერთი ან რამდენიმე განსაზღვრული ნივთი დროებითი სარგებლობისათვის, ხოლო მეორე მხარე — დამქირავებელი ვალდებულია კისრულობს გადაიხადოს გარკვეული გადასახადი. ნივთებით სარგებლობისათვის და სარგებლობის დამთავრების შემდეგ დაუბრუნოს გამქირავებელს ნივთები საღ და მთელ მდგომარეობაში.

ნივთების გაქირავების ხელშეკრულების საგანი შეიძლება ყოფილიყო როგორც მოძრავი, ისე უძრავი საგნები, ამასთან, გამქირავებელი შეიძლება შესაკუთრეც არ ყოფილიყო.

გაქირავების ხელშეკრულებით განისაზღვრებოდა გადასახადი ფულადი ერთეულით ან ნატურით. ნატურით გადასახადი ზოგჯერ შეიძლებოდა ყოფილიყო მოსავლის წილი.

გაქირავების ხელშეკრულებით განისაზღვრებოდა დრო, მაგრამ დროის კონკრეტული მითითება არ იყო აუცილებელი. ზოგჯერ ხელშეკრულება იდებოდა განუსაზღვრელი ან მოთხოვნამდე დროით, ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამქირავებელს შეეძლო ხელშეკრულების მოშლა ნებისმიერ დროს.

გამქირავებლის ვალდებულებას შეადგენდა გასაქირავებელი ნივ-

თის გადაცემა. თუ გაქირავებული ნივთი აღმოჩნდებოდა ნაკლოვანი და გამოუსადეგარი იყო სარგებლობისათვის, მაშინ გამოიყენებოდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დროს გაცემული ნაკლოვანი ნივთისათვის წაყენებული პრინციპები. ზოგჯერ დამქირავებელი ხელშეკრულებას მოშლიდა, ან წაუყენებდა სათანადო სარჩელს ზარალის მიყენებისათვის ან გადასახადის შესამცირებლად. გამქირავებელი თავისი ბრალისათვის პასუხისმგებელი იყო დამქირავებლის წინაშე, თუ სახეზე არ იყო დამქირავებლის ბრალი, ე.ი. ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როცა გამქირავებელი პასუხს არ აგებდა და ქონებრივი ზარალის რისკი დამქირავებელზე გადადიოდა.

დამქირავებლის ვალდებულებას შეადგენდა დამქირავებლისათვის გადაეხადა ნივთით სარგებლობისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა გარკვეულ დროში, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ იყო გათვალისწინებული, ნივთით სარგებლობის თანხას დამქირავებელი იხდიდა ბოლოს. თუ დამქირავებელი წინასწარ გადაიხდიდა თანხას, მაგრამ მისი ბრალის გარეშე, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ შეძლო ნივთით სარგებლობა, მას უფლება ჰქონდა სარჩელი წარედგინა ამისათვის.

რომის სამართალი და რომაელი იურისტები დეტალურად განსაზღვრავდნენ დაქირავების წილს თუ გადასახადს, როცა გადახდა ხდებოდა ნატურით. აქ ითვალისწინებდნენ მოუსავლიანობის გამომწვევ მიზეზებს. ასეთ შემთხვევაში დამქირავებელი თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან, ე.ი. წილის გადახდისაგან (დაუძლეველი ძალის შემთხვევაში). მოუსავლიან წლებში, რომელ იურისტთა აზრით, დამქირავებელს უნდა შემცირებოდა გადასახდელი წილი, ხოლო მოსავლიან წელს კი უნდა გადაეხადა სრული ოდენობით.

დამქირავებელი პასუხს აგებდა დაქირავებული ნივთის დაზიანებისა და განადგურებისათვის, თუ ეს მოხდებოდა მისი ბრალით.

დამქირავებელს ეკისრებოდა ვალდებულება ნივთის დაგვიანებით დაბრუნებისათვის. მას უნდა აენახლაურებინა დაგვიანებით გამოწვეული ზარალი დამქირავებლის სასარგებლოდ, ზოგიერთ შემთხვევაში ნივთის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილიყო ორივე მხარის ნება-სურვილით. მაგალითად, დამქირავებელს შეეძლო შეეწყვიტა ხელშეკრულება, თუ დაქირავებული ნივთი უკარგისი გახდებოდა გამოსაყენებლად ან ნივთი ქმნიდა სერიოზულ საფრთხეს. გამ-

ქირავებელს შეეძლო უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე, თუ დამქირავებელი ბოროტად იყენებდა ნივთს, აფუჭებდა მას, საჭიროებდა შეკეთებას, ან ეს ნივთი მისი პირადი საჭიროებისათვის შეიქმნა აუცილებელი.

როგორც წესი, ხელშეკრულება წყდებოდა ვადის გასვლით, მაგრამ თუ ვადის გასვლის შემდეგ დამქირავებელი გააგრძელებდა დაქირავებული ნივთით (ქონებით) სარგებლობას, ხელშეკრულება განაზღვრულად ითვლებოდა მხარეთა დუმილის, როგორც თანხმობის ნიშნით.

მომსახურების ანუ დაქირავების ხელშეკრულება – LOKATIO CONDUCTIO OPERARIM (ლოკაციო კონდუქციო ოპერარუმ)

პირადი მომსახურებისათვის ქირავნობის ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის ძალითაც ერთი მხარე – დაქირავებული თავის თავზე იღებდა ვალდებულებას შეესრულებინა მეორე მხარის – დაქირავებელის (კონდუქტორ) სასარგებლოდ გარკვეული სამსახური (მომსახურება), ხოლო დამქირავებელი კისრულობდა ვალდებულებას გადაეხადა ამ მომსახურებისათვის დაპირებული საზღაური.

აღნიშნული სახის ხელშეკრულების დანიშნულება იყო გარკვეული სამსახურის შესრულება დაქირავებელის სასარგებლოდ. დაქირავებული დაქირავებელის გარკვეულ გავლენის ქვეშ ექცეოდა. დაქირავებული თავისუფალი მოქალაქე იყო და თავს ივლებდა მონის მდგომარეობაში, რითაც თავის თანამოძმეთა ზიზღს იწვევდა იმდენად, რამდენადაც ექსპლოატატორებისათვის შრომა საძრახის საქმედ ითვლებოდა.

მომსახურებისათვის დაქირავება მეტად შეზღუდული იყო, მონათა უზარმაზარი უმუშევარი არმიის გამო.

მომსახურების ხელშეკრულება იღებოდა გარკვეული ან განუსაზღვრელი ვადით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ორივე მხარეს ჰქონდა უფლება ნებისმიერ დროს განეცხადებინა უარი ხელშეკრულებაზე და დაერღვია იგი.

დაქირავებული ვალდებული იყო გარკვეულ ვადაში ზუსტად შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. არ

დაიშვებოდა მონაცვლეობა, ე.ი. დაქირავებულის ფუნქცია სხვას არ შეეძლო შეესრულებინა.

დამქირავებელი ვალდებული იყო გადაეხადა დაქირავებულის სასარგებლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა. ანაზღაურება შეიძლება მომხდარიყო დროის ან შესრულებული სამუშაოს მიხედვით. თუ დაქირავებული ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო ვერ შეძლებდა ხელშეკრულების შესრულებას, იგი ვერ მიიღებდა ანაზღაურებას.

ნარდობის ხელშეკრულება – LOKATIO CONDUCTIO OPERIS (ლოკაციო კონდუქციო ოპერის)

ნარდობის ხელშეკრულება იღებოდა რაიმე სამუშაოს შესასრულებლად; მაგალითად, სახლის, ხიდების, ზღუდეების ასაგებად და სხვა ამ ხელშეკრულების ძალით, ერთი მხარე, მენარდე ან შემსრულებელი, ვალდებულებას კისრულობდა მეორე მხარის, ანუ დამკვეთის სასარგებლოდ შეესრულებინა გარკვეული სამუშაო, ხოლო დამკვეთი კისრულობდა ვალდებულებას, შესრულებული სამუშაოსათვის გარკვეული ფულადი საზღაური გადაეხადა.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მომსახურების ხელშეკრულებისაგან ეს ხელშეკრულება იმით განსხვავდება, რომ პირადი მომსახურების ხელშეკრულებაში არ არის გამოკვეთილი შესასრულებელი სამუშაო და მისი შედეგი, მომსახურების ხელშეკრულებაში მთავარი იყო სამსახურის გაწევა, აქ კი – სამუშაოს შესრულების შედეგი.

ნარდობის ხელშეკრულება, როცა იგი სრულდებოდა შემსრულებლის მასალით, უახლოვდებოდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას. რომელი იურისტები ამ ორი ხელშეკრულების გასამიჯნავად მთავარ ყურადღებას უთმობდნენ იმას, თუ ვინ იძლეოდა ძირითად მასალას სამუშაოს შესასრულებლად; ანუ შემსრულებელი ვალდებული იყო შეესრულებინა და ჩაებარებინა სამუშაო, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებაში, გარკვეული ხარისხის მოთხოვნათა დაცვით, გარკვეულ ადგილსა და დროში.

შემსრულებელი პასუხისმგებელი იყო მისი ბრალით მიყენებული ზიანისათვის. მას შეეძლო გამოეყენებინა სხვა პირები და საშუალებები, მაგრამ მათი ბრალისათვის თვითონ აგებდა პასუხს. საინტერესოა

საკითხი, ვინ იყო პასუხისმგებელი სამუშაოს შემთხვევით შეწყვეტის ან გაფუჭებისა თუ დაუმთავრებლობისათვის. რომის სამართლის წყაროები ამ საკითხზე სხვადასხვანაირ პასუხს იძლევა, მაგრამ ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მას შემდეგ, რაც დამკვეთმა გადასცა სამუშაოს შესასრულებლად მენარდეს, სამუშაოს შეწყვეტის, ან გაფუჭების რისკი სამუშაოს დამთავრებამდე შემსრულებელს ეკისრება. ხელშეკრულების ძალით შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს, ანუ შემსრულებელს განსაზღვრული თანხა.

თუ სამუშაოს შესრულების პროცესში გაირკვეოდა, რომ შეუძლებელი იყო სამუშაოს შესრულება დათქმულ ფასებში, დამკვეთს შეეძლო გაეღო დამატებითი თანხა ან შეეჩერებინა სამუშაო, ანდა უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე.

დავალების (მინდობილობის) ხელშეკრულება – MANDATUM (მანდატუმი)¹

დავალების ხელშეკრულების ძალით ერთი პირი – მარწმუნებელი აკლავდა მეორე პირს – რწმუნებულს რაიმე მოქმედების შესრულებას, ეს უკანასკნელი კი თავის თავზე იღებდა უსასყიდლოდ შეესრულებინა ესა თუ ის მოქმედება.

რომაული სამართლის ტერმინოლოგიით მარწმუნებელი, ანუ პირი, ვინც დავალებას აძლევს, იწოდება **mandans** (მანდანს), ხოლო რწმუნებული, რომელიც დავალების შესრულებას კისრულობს – **procurator** (პროკურატორ)².

მინდობილობის ხელშეკრულების ძალით შეიძლება შესრულდეს როგორც იურიდიული მოქმედებები (ხელშეკრულების დადება, პროცესუალური მოქმედებების შესრულება), ისე ფაქტობრივი ხასიათის სამუშაოები, ოღონდაც უფასოდ; მაგალითად, იყიდოს ნივთი, გაცვალოს საქონელი და სხვ.

¹ ამ ხელშეკრულებისათვის დავალების ხელშეკრულების სახელის დარქმევა ზოგჯერ სრულად არ გამოხატავს მოვლენის არსს. შეიძლება მისთვის გვეწოდებინა მინდობილობის ხელშეკრულება ან ორივე ერთად.

² ტერმინი „პროკურატორი“ არ გამოიხატება ვიწრო მნიშვნელობით. იგი ნიშნავდა მართლმწიფს, გამგებელს, მზრუნველს რომელიმე საქმეზე. „პროკურატორი იგია, ვინც მართავს სხვის საქმეებს მეპატრონის დავალებით“. იხ. *Дигести Юстиниана. М., 1984, титул III, О прокуратуре и защитниках*, გვ. 70.

მინდობილობის ხელშეკრულების შინაარსის გასარკვევად მთავარი იყო მისი უსასყიდლოება. თუ აღმოჩნდებოდა, რომ რწმუნებულს ფულად გადაუხადეს ან მან მოითხოვა ფულის გადახდა, მაშინ ეს ხელშეკრულება იქნებოდა დაქირავების და არა მინდობილობისა.

მინდობილობის ხელშეკრულებაში დავალების შესრულება უსასყიდლოა; რომელი იურისტები უსასყიდლოების პრინციპს იმით ხსნიდნენ, რომ დავალებას საფუძვლად ედო მეგობრობის ან ზნეობრიობის პრინციპები.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, თუ რის გამო არსებობდა რომში დავალების უსასყიდლოდ შესრულების მინდობა. ი. პერეტერსკი წერდა: „...ეს კი იმით აიხსნება, რომ მონათმფლობელთა შეხედულებით სამუშაოს სასყიდლიანი დაკისრება სახელს უტეხდა თავისუფალ ადამიანებს... მაგრამ როგორღა იღებდნენ ასეთ პირობებში დიდძალ ფულს თავიანთ შრომაში რომელი იურისტები, ექიმები, მასწავლებლები? აქ რომაელმა იურისტებმა გასაკვირველი ფიქცია გამოიგონეს. რწმუნებულს არ შეეძლო თავის შრომაში სასყიდელი მიეღო, მაგრამ იმ პირს, რომელმაც დავალება მისცა და ამ დავალებით შესრულების სარგებლობა ნახა, შეეძლო რწმუნებულისათვის ფული მიეცა თავისი „პატივის“ მოგების სახით. ამ „პატივისცემის“ ნიშანს honorarium (ჰონორარიუმ) ეწოდებოდა. ჰონორარის შემადგენლობაში შედიოდა რწმუნებულის ხარჯების საზღაური და მისი გასამრჯელო... თუმცა ჰონორარი სხვა არაფერი იყო, თუ არა სასყიდელი“¹.

რწმუნებული ვალდებული იყო შეესრულებინა მისთვის მიცემული დავალება, მას უნდა გამოეჩინა მინდობილი საქმისადმი გულისხმიერება და წინდახედულობა. რომელი იურისტის პაულიუსის მითითებით, მინდობილობის ხელშეკრულება, მართალია, უსასყიდლო ხელშეკრულება იყო, მაგრამ რწმუნებული მას შემდეგ, რაც თავის თავზე აიღებდა დავალების შესრულებას, იგი აუცილებლობად ხდებოდა. რწმუნებულს დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა და თუ ხედავდა, რომ ამ საქმეს ვერ დაამთავრებდა, ვერ შეასრულებდა, სასწრაფოდ უნდა ეცნობებინა მარწმუნებლისათვის, რათა მას მისცემოდა საშუალება შეეცვალა იგი ან ეზრუნა სხვა სახით მის შესრულებაზე. თუ რწმუ-

¹ ი. პერეტერსკი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. 1947, გვ. 233.

ჩებულები არ ჩააყენებდა მარწმუნებელს საქმის კურსში დავალების შესრულებლობის საფრთხის შესახებ, მაშინ იგი მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებდა.

დავალება შესრულებული უნდა ყოფილიყო მარწმუნებლის მიმართების ზუსტი შესაბამისობით. მითითებიდან გადახვევა, თუნდაც მას სარგებელი ჰქონოდა, დაუშვებელი იყო.

რწმუნებული პასუხს აგებდა მაშინაც, თუ დავალების შესრულებაში ჩართვდა მესამე პირს, რომელთა მიზეზითაც დადგებოდა ზიანი.

მარწმუნებელი კი პასუხისმგებელი იყო მაშინაც, თუ დავალების შესრულებისას ზიანი მიადგებოდა რწმუნებულს, ანუ დავალების შესრულებელს, თუ ეს უკანასკნელი მოქმედებდა კეთილსინდისიერად და გონიერად.

დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა ხდებოდა მხარეთა ინიციატივით ან რომელიმე მხარის გარდაცვალების გამო.

დავალების ხელშეკრულების შეცვლა შეეძლო მარწმუნებელს ნებისმიერ დროს, ეს ხდებოდა უბრალო შეტყობინების საშუალებით, მაგრამ თუ რწმუნებულს უკვე შესრულებული ჰქონდა დავალება, მარწმუნებელი ვალდებული იყო მიეღო იგი, რადგან შეტყობინებამ მას ვერ მიუსწრო.

თავის მხრივ, რწმუნებულს შეეძლო უარი ეთქვა დავალების შესრულებაზე, მაგრამ მას ეს თავის დროზე უნდა განეცხადებინა, რათა ზარალი არ მოსვლოდა მარწმუნებელს, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგებოდა მისი პასუხისმგებლობის საკითხი მიყენებული ზიანისათვის.

რწმუნებულის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვიდრეები ვალდებული იყვნენ საქმის კურსში ჩაეყენებინათ მარწმუნებელი.

ამხანაგობის ხელშეკრულება – SOSAITAS (სოციატას)

ამხანაგობის ხელშეკრულების ძალით ორი ან რამდენიმე პირი ერთიანდებოდა რაიმე სამეურნეო საქმის შესასრულებლად. მათი მიზანი და საქმიანობა კი კანონსაწინააღმდეგო არ უნდა ყოფილიყო.

რომში ამხანაგობის ხელშეკრულების უძველეს სახეს წარმოადგენდა რამდენიმე ძმის მიერ სამეურნეო საქმის ერთად გაძღოლა და წარმოება მამის გარდაცვალების შემდეგ. სწორედ ასეთი ხელშეკრულების მსგავსი ხელშეკრულებები აღმოცენდა შემდგომში, რომელ-

საც ამხანაგობის ხელშეკრულება ეწოდა.¹ გარდა ამისა, კომერციის განვითარების შემდგომ ეტაპზე აღმოცენდა სხვა სახის ამხანაგობებიც, რომლებიც იღებოდა ვაჭრობისა თუ რეწვის გაძღოლის სფეროში.

ამხანაგობის ხელშეკრულების ძალით მის მონაწილეებს ამხანაგობაში შეჭქონდათ თავიანთი ქონება ამა თუ იმ ოპერაციის განსახორციელებლად. ამასთან, შეიძლებოდა ამხანაგობის ერთ მონაწილეს შეეტანა უფრო მეტი ქონება, მეორეს კი უფრო ნაკლები. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულებაში აღნიშნული უნდა ყოფილიყო თითოეული მხარის — მონაწილის უფლებები შემოსავლის მოგების წილის მიღების თაობაზე, ასევე მოსალოდნელი ზარალის განაწილების შესახებ. თუ ასეთი რამ ხელშეკრულებაში აღნიშნული არ იყო, მაშინ ამხანაგობის მონაწილეები მოგების მიღებისა თუ ზარალის ანაზღაურებაში თანასწორუფლებიანი იყვნენ. რომაული სამართალი კრძალავდა ამხანაგობის ისეთ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ხელშეკრულების ერთ მხარეს ან მონაწილეს ეკისრებოდა მხოლოდ ზარალის ანაზღაურება ან ზარალის განცდა, ხოლო მეორე მხარეს მხოლოდ მოგების მიღება. ამ უკანასკნელზე იტყოდნენ: ხელშეკრულებაში ლომის წილი უღვესო.

ამხანაგობის ხელშეკრულების დადება შეიძლებოდა როგორც განსაზღვრული ვადით, ისე უდავოდ ან განუსაზღვრელი ვადით. თუ ხელშეკრულება დადებული იყო უვადოდ ან განუსაზღვრელი დროით, ეს არ ბოჭავდა მხარეებს დაეყენებინათ საკითხი ხელშეკრულების დასარღვევად ანდა გასაუქმებლად.

ამხანაგობის ხელშეკრულებით წარმოშობილი დაწესებულება, ანუ ამხანაგობა, არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს.

ამხანაგობის ხელშეკრულება წყდებოდა ერთ-ერთი მონაწილის სიკვდილით ან მისი რომელიმე წევრის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

ამრიგად, ამხანაგობის ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულება იყო, რომლის ძალითაც ორი ან რამდენიმე პირი ერთიანდებოდა რაიმე სამეურნეო საქმის შესასრულებლად, ხელშეკრულებაში მონაწილენი

¹ დღევანდელ მოქმედ სამოქალაქო სამართალში ეს ხელშეკრულება ემსგავსება საერთო საქმიანობის ხელშეკრულებას.

თავიანთ მოვალეობას სხვადასხვა სახით ასრულებდნენ: ქონების კარგეული წილის შეტანით ან პირადი საქმიანობით, ან ორივეს ერთდროულად, ე.ი. ქონებაც შეჰქონდათ და პირადი საქმიანობითაც მონაწილეობდა. ხელშეკრულების ძალით მოგებაცა და ზარალიც, ერთობლივი საქმისწარმოების პროცესში, ამხანაგობის ყველა მონაწილეზე იყოფოდა შეტანილი წილისა თუ შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ხოლო თუ ასეთი რამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არ იყო, მაშინ თანაბრად.

სხვა სახის ხელშეკრულებები, ანუ უსახელო კონტრაქტები – CONTRACTUS INNOMINATI (კონტრაქტუს ინნომინატი)

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა დაცვა შეიძლებოდა სარჩელის წარდგენით, ე.ი. ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებები საყოველთაოდ ცნობილი ხელშეკრულებები იყო და მათ იცავდა კანონი, რადგან იგი მოიხსენიებოდა სარჩელთა არსებულ წესსაში, მაგრამ დროთა განმავლობაში ცხოვრება წარმოშობდა ახალ-ახალ ურთიერთობებს, რომლებიც სცილდებოდა საყოველთაოდ აღიარებულ ხელშეკრულებათა ფარგლებს, ე.ი. წარმოიშობოდა ახალი ხელშეკრულების დადების მოთხოვნა. მაგალითად, ვაჭრობასა თუ სამეურნეო საქმიანობაში წარმოშობილი ურთიერთობანი, რომელთა გადასაწყვეტად აუცილებელი იყო ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ ეს ხელშეკრულება სრულიად ახალი იყო და არ თავსდებოდა ადრე არსებულ ხელშეკრულებათა ჩარჩოებში.

ასეთმა ახალმა ხელშეკრულებებმა, რომის სამართლის მეცნიერებაში მოგვიანებით, შუა საუკუნეებში და არა რომის სამართლის მოქმედების ადრინდელ პერიოდში მიიღო უსახელო ხელშეკრულების სახელწოდება – **contractus innominati** (კონტრაქტუს ინნომინატი). რომაელი იურისტები ამ ახალი სახის ხელშეკრულებებს უპირისპირებენ ძველ ხელშეკრულებებს, რომლებსაც თავიანთი სახელწოდებები ჰქონდათ.

იუსტინიანეს მიერ შედგენილი კრებულიდან ჩანს, რომ არსებობდა ოთხი სახის უსახელო ხელშეკრულება:

1) **do ut des** (დო უტ დეს): მე გადმოგცემ შენ ნივთზე საკუთრე-

ბის უფლებას იმ პირობით, რომ შენც გადმოცემ სხვა ნივთზე საკუთრების უფლებას.

2) **do ut facias** (დო უი ფაციას): მე გაძლევ შენ (გადმოცემ) ნივთზე საკუთრების უფლებას იმ პირობით, რომ შენ შეასრულებ რაიმე მოქმედებას, გასწევ გარკვეულ მომსახურებას.

3) **facio ut des** (ფაციო უტ დეს): მე ვასრულებ შენს სასარგებლოდ გარკვეულ მოქმედებას, რათა შენ გადმოცე მე საკუთრების უფლება გარკვეულ ნივთზე.

4) **facio ut facias** (ფაციო უტ ფაციას): მე ვასრულებ შენს სასარგებლოდ რაიმე მოქმედებას იმ პირობით, რომ შენც შეასრულებ გარკვეულ მოქმედებას ჩემს სასარგებლოდ.

უსახელო ხელშეკრულებებიდან უფრო ხშირად გვხვდება გაცვლის ხელშეკრულება — **permutatio** (პერმუტაციო). ამ ხელშეკრულების ძალით ერთი პირი მეორეს გადასცემდა საკუთრებაში ნივთს იმ პირობით, რომ ამ ნივთის სანაცვლოდ მიიღებდა სხვა ნივთს.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, გაცვლის ხელშეკრულება მოითხოვდა ნივთის ნივთზე გაცვლას, ანუ გადაცემას. გაცვლის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულება იყო, რადგან ნივთი სახეზეა. გაცვლის ხელშეკრულება განსხვავდებოდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისაგან იმითაც, რომ აქ ლაპარაკი არ იყო ნივთის ფასზე ან საფასურის გადახდაზე.

გაცვლის ხელშეკრულებაში შეიძლება წარმოშობილიყო დავა უხარისხო ნივთის გადაცემის გამო, მაგრამ ეს საკითხი წყდებოდა ისე, როგორც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისას.

უსახელო ხელშეკრულების მეორე სახეა ე.წ. შეფასებითი ხელშეკრულება — **contractus aestimatorius** (კონტრაქტუს ესტიმატორიუს).

შეფასებითი ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე გადასცემდა მეორეს ნივთს გასაყიდად გარკვეულ ფასად იმ პირობით, რომ მეორე მხარეს საქონლის გაყიდვის შემთხვევაში გადაეცა პირველი მხარისათვის ფული იმ ოდენობით, როგორც იყო შეფასებული ეს ნივთი ამ დაებრუნებინა გაუყიდავი ნივთი.

ნივთის უფრო მაღალ ფასში გაყიდვის შემთხვევაში მოგება რჩებოდა გამყიდველს, მასზე პატრონს არ ჰქონდა პრეტენზიის უფლება.

პაქტები - (PACTA PAETIA), ანუ შეთანხმებები

რომაული სამართლის მიხედვით, შეთანხმებები, ანუ პაქტები ვალდებულებას იმ შემთხვევაში წარმოშობდა, თუ ისინი ხელშეკრულებად იქცეოდნენ ან თუ მათი შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული იყო სარჩელის წარდგენის უფლება, მაგრამ რომის სამართალმა იცის ისეთი შეთანხმებები, ანუ პაქტები, რომლებიც არ განიხილებოდა ხელშეკრულებად, მაგრამ მაინც დაზღვეული იყო სასარჩელო დაცვით. ასეთ შეთანხმებათა შორის შეიძლება დასახელებდეს:

1) **pacta adiecta** (პაქტა ადიექტა), ანუ ხელშეკრულების შემავსებელი შეთანხმება.

2) **pacta praetoria** (პაქტა პრეტორია) - პრეტორული შეთანხმება, ე.ი. მათ იცავდა პრეტორი.

3) **pacta legitima** (პაქტა ლეგიტიმა) - კანონიერი, ანუ ლეგიტიმური შეთანხმებები, რომელსაც იცავდა იმპერატორი.

ხელშეკრულების შემავსებელი პაქტები, ანუ შეთანხმებები ისეთი პაქტები იყო, რომლებიც ავსებდა ძირითად ხელშეკრულებას და მიზნად ისახავდა შეეტანა ცვლილება მთავარი ხელშეკრულების იურიდიულ შედეგებში, კერძოდ, დაეკისრებინა ამა თუ იმ მხარისათვის რაიმე დამატებითი ვალდებულება. ასეთი პაქტით დამატებითი ვალდებულებების დაკისრება შეიძლება მომხდარიყო თვით ხელშეკრულების დადებისას ან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ; მაგალითად, სესხის ხელშეკრულებაში დამატებითი შეთანხმება, ანუ პაქტია ვადის ნაწილ-ნაწილ გადახდაზე შეთანხმება.

ხელშეკრულების შემავსებელ პაქტს არ უნდა დაემძიმებინა ხელშეკრულება, პირიქით, მას უნდა შეემსუბუქებინა მოვალის მდგომარეობა. თუ ხელშეკრულების შემავსებელი პაქტი ამძიმებდა მოვალის მდგომარეობას, მას იურიდიული ძალა არ ჰქონდა.

პრეტორული პაქტები, ანუ შეთანხმებები ისეთი პაქტები იყო, რომელსაც დაიცავდა პრეტორის ედიქტები, პრეტორის მითითებით. ასეთი პაქტები იყო: ა) **receptum** (რეცეპტუმ), ე.ი. თავის თავზე ვალდებულების შესრულების აღება, მხარე თვითონ კისრულობდა მორე მხარის სასარგებლოდ რაიმეს გაკეთებას, მაგალითად, ბანკირი კისრულობდა რომელიმე პირის ვალის გადახდას ან მედიატორე კისრულობდა, რომ გადაჭრიდა დავას და სხვ.

პრეტორული პაქტები არაფორმალური, წინასწარ უპირობო პაქტები იყო. ბ) **receptum nautarum cauponum stabulariorum** (რეცეპტუმი ნავტარუმ, კავპონუმ, სტაბულარიორუმ) — გემის მეპატრონესთან, სასტუმროსა თუ სხვა ადგილების მეპატრონეებთან შეთანხმება, რომ მათი ქონება დაცული იქნებოდა გამგელელთა ხელყოფისაგან, გაფუჭებისა თუ სხვა საფრთხისაგან.

ლეგიტიმური პაქტები, ანუ შეთანხმებები — *pacta legitima* (პაქტა ლეგიტიმა). ლეგიტიმური პაქტები კლასიკური პერიოდის შემდგომ რომის სამართალში შემოიღეს, რომლებიც იმპერატორის განკარგულებით იყო დაცული, ამიტომაც მიიღო შემდგომში ლეგიტიმურის (კანონიერის) სახელწოდება.

ლეგიტიმური პაქტებიდან უნდა დავასახელოთ:

ა) **compromissus** (კომპრომისსუს);

ბ) **pactum dotis** (პაქტუმ დოტის);

გ) **pactum donationis** (პაქტუმ დონაციონის).

Compromissum (კომპრომისსუმ) — ამ პაქტის ცნების ქვეშ იგულისხმებოდა ისეთი შეთანხმებები, რომლის ძალითაც მოღავე მხარეთა საქმე გადასაწყვეტად გადაეცემოდა სამედიატორო სასამართლოს. კლასიკურ პერიოდში ამ შეთანხმების ნამდვილობისათვის საჭირო იყო მხარეებისა და მედიატორის ფიცი. გარდა ამისა, ამ შეთანხმების უზრუნველსაყოფად სადავო ნივთი ან თანხა წინასწარ გადაეცემოდა სამედიატორო სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელს მოსთვის გადაეცა ნივთი თუ ფული, ვის სასარგებლოდაც გადაწყდებოდა დავა.

Pactum dotis (პაქტუმ დოტის) იყო სიტყვიერი შეთანხმება, დაპირება მზითევის მიცემის შესახებ. ეს არაფორმალური შეთანხმება-დაპირება კმნიდა საფუძველს მზითევის აუცილებლად გადასაცემად, რაც იმპერატორის განკარგულებით შემდგომში ლეგიტიმური პაქტი გახდა.

Pactum donationis (პაქტუმ დონაციონის) ზემოთ აღნიშნული *pactum dotis*-ს ემსგავსება იმ განსხვავებით, რომ აქ ადგილი ჰქონდა ზოგადად საჩუქრის გადაცემის დაპირებას, რაც რალურად უნდა შესრულებულიყო. კლასიკურ პერიოდში ჩუქების, დანაპირების შესრულება უზრუნველყოფილი არ იყო სარჩელით, გარდა სტიბულაციის წესით ჩუქებისა, მაგრამ მოგვიანებით პრეტორმა გამოისცა ედიქტი, რითაც სარჩელის წარდგენის უფლებით იცავდა საჩუქრის დანაპირების შესრულებას ქორწინებასთან დაკავშირებით.

იმპერატორის ეპოქაში, ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან, ხელშეწყობილი გახდა ნაჩუქრობის აქტების სასამართლო ინსინუაცია, რაც მათი აუცილებლად შეტანა სასამართლო ოქმში და ჩუქების დადგინების გამოაშკარავება. თავდაპირველად ჩუქების საჯაროდ გამოაშკარავება ეხებოდა ყოველგვარ თანხას, როგორც ღიძს, ისე მცირეს, მაგრამ იმპერატორმა იუსტინიანემ შეზღუდა ეს მოთხოვნა და დაადგინა, რომ ნაჩუქრობა 500 ოქროს ზევით გაფორმებული უნდა ყოფილიყო დოკუმენტურად, ანუ უნდა შეეტანათ სასამართლო რეგისტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სასარჩელო დაცვას არ ექვემდებარებოდა. იუსტინიანეს ასეთი კანონით 500 ოქრომდე ნაჩუქრობის სიტყვიერი შეთანხმება, ანუ დანაპირები ლეგიტიმურ პაქტად იქცა, რაც დაექვემდებარა სასარჩელო დაცვას.

ფსევდოხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებანი – QUASI EX CONTRACTUS (კვაზი ექს კონტრაქტუს)

რომაული სამართლით ვალდებულება წარმოიშობოდა ან ხელშეკრულებიდან, ან ზიანის მიყენებიდან. მაგრამ რომაელმა იურისტებმა მოძებნეს ისეთი შემთხვევებიც, როცა სახეზე არ იყო არც ხელშეკრულება და არც ზიანის მიყენება, მაგრამ ვალდებულების შესრულება აუცილებელი იყო. მაგალითად, თუ შობილი გარდაიცვლებოდა, რომლის შვილებიც სახეზე არ იყვნენ, და მას დაკრძალავდა მეზობელი, რომელმაც გაწია ხარჯები, დამკრძალავს უფლება ჰქონდა მოეთხოვა გარდაცვალებულის მემკვიდრეებისაგან გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება სახეზე არ იყო, არც ზიანის მიყენებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ მხარეთა შორის ვალდებულება წარმოდგებოდა. რომაელი იურისტები ასეთ შემთხვევას უწოდებდნენ ვითომ ხელშეკრულებას, თითქოს ხელშეკრულებას და ასაბუთებდნენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახეზე არ იყო ხელშეკრულება, სადავო საკითხი ისე უნდა გადაწყვეტილიყო, როგორც ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავა.

ფსევდოხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების სახეები:

1) *negatorum gestio* (ნეგაციორუმ გესტიო), ანუ სწავისი საქმეების წარმოება დაუვალდებლად.

2) ვალდებულება წამომდგარი უსაფუძვლო (უკანონო) გამდიდრებიდან.

სხვისი საქმეების წარმოება დაუვალებლად — *negatorum gestio* (ნეგაციორუმ გესტიო). დაუვალებლად სხვისი საქმეების წარმოება მხარეთა შორის ისეთი ურთიერთობა იყო, რომლის დროსაც ერთი მხარე — *negatorum gestor* აწარმოებდა მეორე პირის საქმეს, მართაუდა მის ქონებას თუ სხვას ისე, რომ არ ჰქონდა ამ მეორე პირისაგან, ანუ *dominus* (დომინუს)-გან დავალება.

სხვისი საქმეების დაუვალებლად საქმისმწარმოებელს წარმოებისათვის პრეტორის ედიქტით სარჩელის უფლება ეძლეოდა გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დავალების ხელშეკრულებაში, რადგან მოსალოდნელი იყო რისკი ან ზარალი.

რაში გამოიხატებოდა სხვისი საქმეების წარმოება? იგი შეიძლებოდა გამოსატულიყო ერთი ან რამდენიმე საქმისწარმოებაში, ან სხვისი ქონების მართვაში. მაგალითად, პირი კვებავდა სხვის მონას ან სხვის ცხოველს, შეაკეთებდა სხვის ნივთს, ზრუნავდა ან იცავდა სხვის ნივთს, რომლის პატრონი სხვაგან იმყოფებოდა. სხვის ქონებაზე ზრუნვა უნდა გამოსატულიყო რაიმე მოქმედების შესრულებაში. მნიშვნელობა არ ჰქონდა რა მოტივით ირჯებოდა იგი, ასრულებდა საზოგადოებრივ დავალებას, საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით, თუ მოქმედებდა პირადი შეხედულებებით, საკუთარი, შინაგანი მოტივით.

საქმისწარმოება უსასყიდლოდ უნდა შესრულებულიყო, აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა არც პატრონისა და არც სხვა პირის დავალებას, შემსრულებელს თავად უნდა ემოქმედა.

მოვალეობის შემსრულებელი საქმეს ყურადღებით, მზრუნველობით უნდა მოჰკიდებოდა, არ უნდა დაეშვა რაიმე ზარალი, რისთვისაც პასუხისმგებლობა მას დაეკისრებოდა. გარდა ამისა, იგი მოვალე იყო ჩაებარებინა ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ, გადაეცა მიღებული შემოსავალი, ფული თუ სხვა ნივთები.

თუ მეპატრონეს მოეწონებოდა შესრულებული სამუშაო თუ ნამოქმედარი, ვალდებული იყო აენაზღაურებინა გაწეული ხარჯები. თუ შემსრულებელი მოქმედებდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, მისთვის ხარჯები ან ზარალი უნდა აენაზღაურებინა მეორე მხარეს, მიუხედავად დადებითი შედეგისა.

თუ საქმის მეპატრონე უარს ამბობდა შესრულებულ სამუშაოზე

და არ იწონებდა მეორე მხარის მოქმედებას, ეს უკანასკნელი, მოვალე არათუ ღებულობდა გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, არამედ ეკისრებოდა იმ მდგომარეობის აღდგენა, რაც იყო მუშაობის დაწყებამდე. მაგრამ, თუ საქმის მეპატრონე ჭირვეულობდა და სინამდვილეში არ ჰქონდა საფუძველი შესრულებული სამუშაო არ მოეწონებინა, მაშინ შემსრულებელი თავისუფლდებოდა კაზუსის შედეგად დამდგარი ზარალისათვის.

უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულება

რომის სამართლის მიხედვით, უკანონოდ სხვისი ქონებისა თუ ფულის მიღების გზით გამდიდრება წარმოშობდა ვალდებულებას, დაებრუნებინა ქონების მიმღებს მეორე მხარისათვის უკანონოდ მიღებული ქონება. აქ ქონების დაბრუნების საფუძვლად იგულისხმებოდა ხელშეკრულების არარსებობა, თუმცა შედეგი დადგა ერთ-ერთი მხარის ნებადართული მოქმედებით. მაგალითად, მოვალემ შეცლომით ვალი გადაუხადა არა კრედიტორს, არამედ სხვა პირს.

შეცლომით გადახდილი ვალი წარმოშობდა ვალდებულებას მის დასაბრუნებლად, რადგან არ არსებობდა მათ შორის კონტრაქტი ვალის თაობაზე, სხვანაირად — არ არსებობდა ვალი.

მეორე მაგალითი: ერთი პირი მეორეს გადასცემდა ნივთს ან ფულს გარკვეული მიზნით, მაგრამ ეს მიზანი არ განხორციელდა; ვთქვათ, საცოლეს მიუტანეს ნიშანი ან მზითევი, მაგრამ ქორწინება არ შედგა. ასეთ შემთხვევაშიც დგება საკითხი კონდიციური სარჩელისა — *condictio* (კონდიქციო), რათა პირს დაუბრუნდეს გადაცემული ნივთი თუ ქონება.

თუ პირველ შემთხვევაში ფულის თუ ნივთის გადაცემა შეცლომით მოხდა, მეორე შემთხვევაში შეცლომას ადგილი არ ჰქონია, არამედ ქონების გადამცემი მოქმედებდა გარკვეული მიზნით, მაგრამ შედეგი არ დადგა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულების მესამე სახედ რომაული სამართალი მიიჩნევდა ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოდგებოდა ქურდობის შედეგად. ასეთ შემთხვევაში ვალდებულება ნივთის უკან გამოსათხოვად ეფუძნებოდა ნივთის

მიმთვისებლის უპატიოსნობას. მოპასუხედ გამოდიოდა ქურდი, ხოლო მოსარჩელედ — ნივთის მესაკუთრე. იმ შემთხვევაში, თუ მოპარული ნივთი სახეზე არ იყო (გაიყიდა ან დაიხარჯა, ან განადგურდა), მაშინ დგებოდა ნივთის უმადლესი ღირებულების გადახდის საკითხი. გარდა ამისა, საჭირო იყო ნივთისა თუ ქონების მოპარვით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

დელიქტური ვალდებულებანი

როგორც აღინიშნა, რომაული სამართალი იცნობდა:

- ა) ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს;
- ბ) ზიანის მიყენებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, ანუ დელიქტიდან (დელიქტურ) გამომდინარე ვალდებულებებს.

ტერმინი *delictum* (დელიქტუმ) რომის სამართალში ნიშნავდა სამართალდარღვევას — ზიანის მიყენებას კერძო პირის ან მისი ოჯახის, ანდა მისი ქონებისადმი, რის შედეგადაც, მიუხედავად სამართალდამრღვევის ფსიქიკური დამოკიდებულებისა მის მიერ ჩადენილი ქმედებისა თუ დამღვარი შედეგისადმი (ბრალი), მის მიმართ დგებოდა სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხი (ეკისრებოდა გარკვეული ვალდებულება).

რომის სამართალი კლასიკური პერიოდიდან იცნობდა ორი სახის დელიქტებს: ა) *delicta publica* (დელიქტა პუბლიკა — საჯარო დელიქტები), ანუ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევები, ანუ დანაშაული. ბ) *delicta privata* (დელიქტა პრივატა) — კერძო პირთა ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევა, ანუ ზიანის მიყენება.

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებსა და კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებს შორის არ იყო მკვეთრად გავლებული ზღვარი. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ ქურდობა, რომის იმპერიის დასასრულამდე ითვლებოდა როგორც კერძო დელიქტი. დროთა განმავლობაში კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართული დელიქტები თანდათან სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებად, ანუ საჯარო დელიქტებად იქცეოდა. ეს გამოწვეული იყო სახელმწიფოს გაძლიერებით. პრეტორს შეჰქონდა მთელი რიგი შემთხვევები, რისთვისაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წესდებოდა.

კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართული დელიქტები
- DELICTUM PRIVATUM (დელიქტუმი პრივატუმი)

როგორც ზემოთ აღინიშნა, კერძო პირთა საწინააღმდეგოდ მიმართულ დელიქტებად რომში ითვლებოდა ისეთი სამართალდარღვევები, ანუ მიყენებული ზიანი, რომელიც მიმართული იყო არა სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ, არამედ მოქალაქის, ფიზიკური პირის ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც წარმოშობდა მიყენებული ზარალისა თუ ჯარიმის გადახდის ვალდებულებას.

ძველი რომაული სამართალი ყურადღებას არ აქცევდა ზიანის მიმყენებლის ბრალს, მაგრამ შემდგომი პერიოდისათვის ზიანის მიმყენებლის ბრალის დადგენა მტკიცედ დაუკავშირდა პასუხისმგებლობის საკითხს და დაწესდა, რომ ზიანის მიყენებისათვის ვალდებულება წარმოიშობოდა ზიანის მიმყენებლის ბრალის სახეზე არსებობისას.

კერძო პირის წინააღმდეგ მიმართული დელიქტისათვის სახეზე უნდა ყოფილიყო შემდეგი ელემენტები:

ა) მიყენებული ზიანი, რომელიც ობიექტურად სახეზე იყო ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედებით მეორე პირის საზიანოდ.

ბ) ზიანის მიმყენებლის ბრალი (განზრახვით ან გაუფრთხილებლობით).

კონტრაქტებიდან გამომდინარე ვალდებულებებისაგან განსხვავებით, პრივატული დელიქტებიდან წარმომდგარი ვალდებულებები მემკვიდრეობით არ გადაეცემოდა, გარდა მცირე გამონაკლისებისა (მაგალითად, თუ მემკვიდრის ქონებაში შევიდოდა მისი წინაპრის დელიქტის შედეგად შეძენილი ქონება), ასეთ შემთხვევაში მემკვიდრე პასუხისმგებლობას კისრულობდა მიღებული ქონების ფარგლებში.

კონტრაქტებიდან გამომდინარე ვალდებულებებისაგან განსხვავებით, პრივატული დელიქტის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებში ადგილი არ ჰქონდა სოლიდარულ პასუხისმგებლობას, არამედ მოქმედებდა პასუხისმგებლობის კუმულაციური წესი. მაგალითად, ქურდობის თითოეულ მონაწილეს გადასახდელად ეკისრება არა ნივთის ღირებულების ნაწილი, არამედ მთლიანად ნივთის ღირებულების გადახდა.

გარდა ამისა, კონტრაქტებიდან წარმომდგარი ვალდებულების ძალით ქალებსა და მცირეწლოვანებს ხელშეკრულების დადების უფლება არ ჰქონდათ, ხოლო დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინარე, ასეთ

პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ. ასევე მონებს ეკრძალებოდათ, ხელშეკრულების დადება, მაგრამ მათ მიერ მიყენებული ზიანისათვის (დელიქტი) წესდებოდა ნოქსალური პასუხისმგებლობა — **noxia (ნოქსია)** — მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრებოდა არა სამართალდამრღვევს, არამედ სხვას.

ნოქსალური პასუხისმგებლობის ძალით მამის ურჩი შვილებისათვის მონების მიერ მიყენებული ზიანისათვის მათი მეპატრონე ან თვითონ ანაზღაურებდა მიყენებულ ზარალს, ან გადასცემდა მათ ზარალის ასანაზღაურებლად.

დელიქტების ცალკეული სახეები

1. **Iniuria (ინიურია)** ნიშნავდა ყოველგვარ სამართალდარღვევას, რის შედეგადაც ზიანი მიადგა კერძო პირს, რომელ მოქალაქეს. XII ტაბულის კანონები ჩამოთვლის კერძო პირის წინააღმდეგ მიმართულ ცალკეულ სამართალდარღვევებს, რომელთა შორის აღსანიშნავია სხეულის დაზიანება, პირადი წყენინება, შეურაცხყოფა და სხვ.

მოგვიანებით რესპუბლიკის დასასრულიდან, როდესაც რომის სამართალი უფრო განვითარდა, **iniuria (ინიურია)**-ს ცნება ფართოვდება და იგი მოიცავდა პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს. მაგრამ ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილი უნდა ყოფილიყო განზრახვით, ამრიგად, **iniuria (ინიურია)**-ს, როგორც დელიქტის საზღვრები, თითქოს გაფართოვდა, მაგრამ, რადგან გამოიკვეთა ისინი, როგორც განზრახვი ქმედებები, ფაქტობრივად შევიწროვდა ამ ქმედების ცნება. **iniuria** შეიძლება ჩადენილი ყოფილიყო „სიტყვითა თუ საქმით“, შეურაცხყოფელი კოლექტიური განცხადებებით, წერილებით. შეურაცხყოფის სახეებიდან მძიმე შეურაცხყოფად ითვლებოდა მაგისტრატების შეურაცხყოფა.

თუ შეურაცხყოფა უფრო ნაკლები ხარისხის დელიქტს წარმოადგენდა, მასთან შედარებით სხეულის დაზიანება უფრო მძიმე სახის **iniuria** იყო და საჯარო სახის დანაშაულად, ანუ **delicta publica (დელიქტა პუბლიკა)**-დ ცხადდებოდა.

iniuria, როგორც დელიქტური ვალდებულებისათვის რეაგირება, თავდაპირველად დაწყებული იყო ტალიონის პრინციპით. შემდგომში იგი იცვლებოდა ზუსტად განსაზღვრული ფულადი გადასახადით, გაზრდილი ინფლაციის გამო. რესპუბლიკის პერიოდის მეორე ნახევრიდან შემოვიდა

წესი — სანქციას ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავდა პრეტორი, დარღვევის სიმძიმისა და კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით.

2. **Furtum** (ფურტუმ) — ამ ქმედების შესატყვისად რუსულ ენაში შემოტანილია ქურდობის აღმნიშვნელი ტერმინი — кража. ქართულ ენაშიც მის აღმნიშვნელ ტერმინად იყენებენ ქურდობას. ჩვენს აზრით, furtum-ს უფრო შეესაბამება მიტაცება.

საქმე ის არის, რომ furtum-ს რომაულ სამართალში შეესაბამებოდა ისეთი სამართალდარღვევები, როგორცაა: ქურდობა, მითვისება, გაფლანგვა და ნაწილობრივ, თაღლითობაც. იგი გულისხმობდა ანგარებით, წინასწარი განზრახვით, სხვისი ქონების განკარგვასა თუ სარგებლობას. ქონება შეიძლება ყოფილიყო ნივთის სახით, რომელიც სამართალდამრღვევს მიჰქონდა ან ეუფლებოდა მას, სარგებლობდა ამ ნივთით, იღებდა მისგან სასარგებლო თვისებებს. სამართალდამრღვევი მოქმედებდა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ.

რომაელი იურისტების განმარტებით, furtum არის ნივთის ბოროტი განზრახვით დაპატრონება სარგებლობის მიღების მიზნით. ასეთი სამართალდარღვევა, ბუნებრივია, პასუხისმგებლობის საკითხს აყენებდა. furtum-ისათვის პასუხისმგებლობა იცვლებოდა, თავდაპირველად დამნაშავეს ამთრახებდნენ და დაზარალებულს გადასცემდნენ საკუთრებაში როგორც მონას. დაწესებული იყო დამნაშავეს სიკვდილით დასჯის პასუხისმგებლობაც (თუ ქურდს ღამით დაიჭურდნენ). უკვე ჩვ. წ. აღმდე III საუკუნიდან აღარ გამოიყენება ასეთი დამნაშავეს გადაცემა დაზარალებულისათვის, არამედ წესდება ფულადი გადასახადი დაკარგული ნივთისათვის; ზოგჯერ კი ეს თანხა ნივთის ორმაგ ღირებულებასაც შეადგენდა.

იმპერიის პერიოდში furtum, როგორც პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დელიქტი, იქცევა სახელმწიფო დანაშაულად, სახელმწიფო ებრძვის მას სისხლის სამართლის წესით.

3. **Rapina** (რაპინა) — ძარცვა, დელიქტური ვალდებულების, სამართალდარღვევის სახედ ჩამოყალიბდა პრეტორის ედიქტით I საუკუნეში. იგი ფურტუმ-იდან ცალკე გამოიყო, როგორც სხვისი ქონების განზრახ, ძალის გამოყენებით სამართალდარღვევა; ამ ქმედების ჩამდენი პირი ვალდებული იყო დაებრუნებინა ნივთი, ასევე გადაეხადა მისი გათავსებული ღირებულება.

იმპერიალის პერიოდიდან ძარცვა სახელმწიფო დანაშაულად გამოცხადდა.

სსვისი ნივთებისა და ქონების დაზიანება-
განადგურება, ანუ DAMNUM INIURIA DATUM
(დაზიანება ინიურია დატუმა)

რომის სამართალში აღნიშნული ვალდებულების სახე უძველესი პერიოდიდანაა ცნობილი; მაგალითად, XII ტაბულის კანონებში იგი ცალკე არ ყოფილა გამოყოფილი და წარმოდგენილი იყო როგორც სამართალდარღვევის ერთ-ერთი სახე. დაახლოებით ჩვ. წ. აღ-მდე 287 წელს ამ კანონით შემოღებულ იქნა, რომ სხვისი მონის ან ცხოველის მოკვლა იწვევდა პასუხისმგებლობას მეპატრონის სასარგებლოდ. მისთვის უნდა გადაეხადათ უმაღლესი ღირებულება მოკვლიდან ერთი წლის განმავლობაში, ან სხვისი მონის სხეულის დაზიანება, ან ქონების დაზიანება იწვევდა პასუხისმგებლობას, გადაეხადათ მეპატრონის სასარგებლოდ ნივთისა თუ მონის უმაღლესი ღირებულება სამართალდარღვევამდე 30 დღით ადრე. თუ ზიანის მიყენებული უსაფუძვლოდ უარყოფდა მის მიერ ჩადენილ ქმედებას, მას ეკისრებოდა ნივთის ორმაგი ღირებულების გადახდა.

ასეთი წესის შემოღებით ფაქტობრივად საფუძველი დაედო რომის სამართალში ჯარიმების სისტემიდან ზარალის ანაზღაურების სისტემაზე გადასვლას.

შემდგომში, რომაელმა იურისტებმა და პრეტორმა დახვეწეს და გააფართოვეს ზარალის ანაზღაურების წესები, თანდათან შეიზღუდა მოჭრით ჯარიმების დაწესება მიყენებული ზიანისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ზიანის მიყენებისათვის სპეციალური წესების შემოღებაზე გადასვლას საფუძველად დაედო აქილევსის კანონები დაახლოებით III საუკუნეში ჩვ. წ. აღ-მდე.

დელიქტური ვალდებულების ერთ-ერთი სახე იყო ვალდებულებანი გამოძინარე მუქარიდან და ძალადობიდან. პრეტორმა სპეციალური წესი შემოიღო და დაადგინა, რომ, თუ ვალდებულებანი წარმოიშობოდა მუქარის ან ძალადობის შედეგად, ისინი კანონსაწინააღმდეგო და არამართლზომიერი იყო. ასეთ შემთხვევაში პრეტორის ედიქტი სარჩელით იცავდა დაზარალებულს.

დელიქტური ვალდებულების წარმოშობის სახედ რომის სამართალში ცნობილი იყო ასევე ვალდებულებანი წარმოშობილი მოტყუების შედეგად — dolus malus (დოლუს მალუს). dolus იმ შემთხვევაში

გვაქვს, როდესაც პირმა მეორე მხარე განზრახ შეიყვანა შეცდომაში და ზარალი (ზიანი) მიაყენა მას.

პრეტორის ედიქტით *dolus*-ის შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს უფლება ჰქონდა წარედგინა სარჩელი და ამ გზით აენახლაურებიანა მიყენებული ზარალი. ამავე ედიქტით დადგენილი იყო, რომ მოპასუხეს ზარალის გადახდა ეკისრებოდა იმ შემთხვევაში, თუ ნებაყოფლობით არ დააბრუნებდა (გადაიხდის) მიყენებულ ზარალს.

კვაზი-დელიქტები - QUASI-DELOCTA (კვაზი-დელიქტა)

რომაული სამართლის დელიქტური ვალდებულებანი, ანუ ზიანით მიყენებული ვალდებულებანი წარმოიშობოდა მხოლოდ წინასწარი განზრახვით ჩადენილი ქმედებებით.

მაგრამ რომაული სამართალი აწესებდა პასუხისმგებლობას განზრახვის გარეშე ქმედებებისათვის, რამაც ზიანი მიაყენა სხვა პირს. ასეთ შემთხვევებს ეწოდებოდა კვაზი-დელიქტები, ანუ ფსევდოდელიქტები - *quasi delicta*) (კვაზი-დელიქტა).

კვაზი-დელიქტები უახლოვდება ნამდვილ დელიქტებს იმაში, რომ ზიანი სახეზეა, მაგრამ ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მათ შორის ის არის, რომ ნამდვილი დელიქტის დროს სახეზეა ზიანის მიმყენებლის განზრახვა, ხოლო ფსევდოდელიქტის, ანუ მოჩვენებითი დელიქტის დროს კი დაუდევრობა, ამიტომაც კვაზი-დელიქტები ნამდვილ დელიქტთა რიცხვში არ შედიოდა, თუმცა ასეთი დელიქტებისათვის რომის სამართალი მაინც აწესებდა პასუხისმგებლობას.

კვაზი-დელიქტის ერთ-ერთი სახე იყო მოსამართლის მიერ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, რამაც ზიანი მიაყენა დაზარალებულს. ამ შემთხვევაში მოსამართლეს არ უნდა ჰქონოდა განზრახვა, სახეზე უნდა ყოფილიყო დაუდევრობა. დაზარალებულ მხარეს უფლება ეძლეოდა მოსამართლის ქმედებისათვის წაეყენებინა სარჩელი და მიეღო მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.

კვაზი-დელიქტის მეორე სახედ რომში დასახელებული იყო დელიქტი გადაღვრისა და გადაყრისათვის, რაც ზიანს აყენებდა დაზარალებულს. თუ გადაყრა ან გადაღვრა ვინმეს ზიანს მიაყენებდა, ეგებოდა პასუხისმგებლობის საკითხი ზიანის ორმაგი ოდენობით. თუ

ამ მოქმედების შედეგად თავისუფალი ადამიანი მოკვდებოდა, წესდებოდა ჯარიმა, ხოლო თუ ასეთი მოქმედება გამოიწვევდა მოქალაქის ჯანმრთელობის შერყევას, მის ფიზიკურად დაზიანებას, მოსამართლე ითვალისწინებდა დაზარალებულის სასარგებლოდ ზიანის მიმყენებელს გადაეხადა როგორც ზიანის მიყენების ხარჯები, ისე მკურნალობისათვის გაწეული ხარჯები.

კვაზი-დელიქტის ცალკე სახედ რომში მიჩნეული იყო ნივთებისა თუ სხვა საგნების არასწორად დადგმის, ჩამოკიდებისა თუ შენახვის შედეგად მოსალოდნელი ზიანი. ზიანის დადგომამდე პასუხისმგებლობა წესდებოდა საფრთხისათვის, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყოლოდა ზიანი. „რომში, განსაკუთრებით ღარიბთა უბნებში, ვიწრო ქუჩები იყო; ღარიბნი შექუჩებულნი იყვნენ პატარა სადგომებში, რომლებსაც სულ ელემენტარული მოწყობილობაც კი აკლდათ. ამიტომ ისინი იძულებული ხდებოდნენ გამოეფინათ სხვადასხვა საგნები რაფებსა და ლავგარდანებზე (მაგალითად, ჭურჭელი გასაშრობად), სახურავთა შვერილებზე და სხვ. ფუფუნებაში მცხოვრები მდიდრები... უკანონო მოქმედების ჩამდენ პირთ სასტიკ პასუხისმგებლობას აკისრებდნენ ზარალის მიყენების შესაძლებლობისათვისაც კი. თუ რაიმე ნივთი ისე იქნებოდა ჩამოკიდებული ან დადგმული, რომ შეიძლებოდა ჩამოვარდნილიყო და ზიანი მიეყენებინა ქუჩაში მიმავალი პირებისათვის, ყოველ რომაელ მოქალაქეს შეეძლო წარედგინა სარჩელი დამნაშავეს 10000 სესტერციით დაჯარიმების შესახებ. ამრიგად, პასუხისმგებლობის აღმოცენებისათვის საჭირო არ იყო ზიანის ფაქტობრივად მიყენება“.¹

კვაზი-დელიქტური კალდებულების სახედ დასახვლებული იყო რომში გემის, სასტუმროსა და ბანკების მეპატრონეთა პასუხისმგებლობა მათი კლიენტების ნივთების მიტაცების ან დაზიანებისათვის. ამ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი არ იყო სასტუმროს, გემისა თუ ბანკის მეპატრონე, მაგრამ მათ პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ იმისათვის, რომ არ გამოიჩინეს სათანადო სიფრთხილე, არ შეარჩიეს მოსამსახურენი თავიანთი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებისათვის. პასუხისმგებლობა წესდებოდა ნივთის ორმაგი ღირებულების ანაზღაურებით.

¹ ი. პერეტერსკი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, თბ., 1947, გვ. 248.

თავი მეოთხე

ქორწინება და ოჯახი რომის სამართალში

ქორწინება. რომელი იურისტები ქორწინებას განმარტავდნენ როგორც ქალისა და მამაკაცის თავისუფალ და თანასწორ კავშირს, სინამდვილეში არასოდეს არ ყოფილა რომში ქალი მამაკაცის თანასწორი.

რომის სამართალი იცნობდა ორი სახის ქორწინებას: 1. კანონიერი რომაული ქორწინება, როცა ორივე მხარე რომელია; 2. რომელი მოქალაქეთა ქორწინება პერეგრინებზე, რომელთა უფლებები განისაზღვრებოდა რომის სამოქალაქო სამართლით. VI საუკუნემდე, ანუ იუსტინიანეს პერიოდამდე. რომის სამართალი იცნობდა ასევე ქორწინებას, რომლის ძალითაც ქალი მამაკაცის, ქმრის ძალაუფლებას ექვემდებარებოდა (cum manu) და ქორწინებას, რომლის ძალითაც ქალი არ შედიოდა ქმრის ძალაუფლებაში და წინანდელ ოჯახში რჩებოდა, ანუ ექვემდებარებოდა მამის ხელისუფლებას (sine manu).

რომაული სამართალი იცნობდა ფაქტობრივ ქორწინებას (არაიურიდიული ქორწინება), რომელსაც ეწოდებოდა კონკუბინატი. კონკუბინატი არის ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრება ხანგრძლივი დროის მანძილზე, რომელთა ქორწინება იურიდიულად არ შეიძლებოდა გაფორმებულიყო მხარეთა სოციალური განსხვავების გამო. მაგალითად, არ შეიძლებოდა დაქორწინებულიყო სენატორი გააზატებულ ქალზე. რომის სამართალი, მართალია, უშვებდა ასეთ ქორწინებას, მაგრამ მას იურიდიული ძალა არ ჰქონდა, ეს ქორწინება არ წარმოშობდა იურიდიულ შედეგებს, ცოლი კანონიერი მეუღლის უფლებებით ვერ სარგებლობდა, შვილი კანონიერი შვილის უფლებებს ვერ მოიპოვებდა.

ქორწინების პირობები

ქორწინებისათვის აუცილებელი იყო: 1) საქმროსა და საცოლის თანხმობა. ზოგიერთ შემთხვევაში (თუ საცოლე მშობლების ხელისუფლებაში შედიოდა) საჭირო იყო მშობლების თანხმობა. მშობლების უსაფუძვლო უარი შეიძლება გაუქმებულიყო მაგისტრატის მიერ.; 2) საქორწინო ასაკი ქალებისათვის 12 წელი, ვაჟებისათვის 14 წელი; 3) მექორწინენი არ უნდა ყოფილიყვნენ ქორწინებაში; 4) არ

უნდა ჰქონოდათ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, ანუ აუცილებელი იყო ე.წ. *ius conubi* (იუს კონუბი). მაგალითად, არ შეიძლებოდა რომაელთა დაქორწინება პერეგრინებზე. ასეთი უფლება ჰქონდათ მხოლოდ რომაელებს. პერეგრინებს ასეთი უფლება უნდა მიეღოთ; 5) მექორწინეთა შორის არ უნდა არსებულყო ნათესაური კავშირი აღმავალი თუ დაშავალი ხაზით, ასევე გვერდითი ხაზით. საერთო წესით არ დაიშვებოდა ერთი გვარის წევრთა ქორწინება; 6) დაქორწინებისას გარკვეული რიტუალი სრულდებოდა, რომელსაც უძველესი ფესვები ჰქონდა.¹

მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლებები

ქორწინების შედეგად ქალი და მისი ბავშვები შედიოდნენ მამაკაცის (ქმრის) დაქვემდებარებაში (ძალაუფლებაში). ქმრის ძალაუფლება ძველი რომაული სამართლით განუსაზღვრელი იყო. ქმარს ცოლის ფიზიკური განადგურების უფლებაც კი ჰქონდა (ღალატის შემთხვევაში), მაგრამ ეს უფლებები თანდათან შეიზღუდა და დაიხვეწა.

მას შემდეგ, რაც ცოლი შევიდოდა ქმრის ოჯახში, იგი კარგავდა კავშირს მამის ოჯახთან და თავისუფლდებოდა მამის ძალაუფლებისაგან. იგი ექვემდებარებოდა ქმრის ძალაუფლებას. ქალი მოკლებული იყო პირად უფლებებს და ამ უფლებების განხორციელების საშუალებებს. ცოლის ქონება ქმრის ქონება ხდებოდა, ამიტომ მას არ შეეძლო დამოუკიდებლად დაედო გარიგება, დამოუკიდებლად გამოსულიყო სასამართლოში. ამ წესს გამონაკლისი იმ შემთხვევაში ჰქონდა, თუ ქალი საკუთარი მამის ძალაუფლებაში რჩებოდა.

ქალის მზითვეი და საქმროს მიერ მირთმეული საქორწინო საჩუქარი შეიძლებოდა ყოფილიყო ნივთები და სხვა სახის ფასეულობანი. ამასთან, შეიძლებოდა მეუღლეებისათვის მესამე პირსაც მიერთშია მზითვეი თუ საქორწინო საჩუქარი ოჯახის უკეთ მოწყობის მიზნით.

უძველეს რომის სამართალში ქალის მზითვეი არ იყო გამოყოფილი ამ უკანასკნელის სხვა სახის ქონებისაგან, ეს შედარებით გვიან განისაზღვრა, კერძოდ, ჩვ. წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში ჩამოყალიბდა წესი, რომლის მიხედვითაც ქალი უკან იბრუნებდა

¹ ამის შესახებ იხ. ი. პერეტერსკი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, 1947, გვ. 144-145.

მზითევს ქმრის სიკვდილის, ქორწინების შეწყვეტისა თუ სხვა შემთხვევებში. ეს წესი ითვალისწინებდა მექორწინეთა წინასწარ მოლაპარაკებას ქალის მზითევის ბედის შესახებ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში.

რომის სახელმწიფოს კლასიკურ ეპოქაში ქალის მზითევის სპეციალური რეგლამენტაცია მოხდა, რომლის ძალითაც მზითევი ქმრის ქონებაში ითვლებოდა მანამდე, სანამ ქორწინება არსებობდა. ქმარს შეეძლო ცოლის მზითევის განკარგვა, თუმცა ეს წესი ყოველთვის მყარად არ იყო დაცული; მაგალითად, ერთ პერიოდში დადგინდა, რომ საჭირო იყო ცოლის თანხმობა, რომ ქმარს მისი ქონება განეკარგა. გარდა ამისა, დაწესდა, რომ მზითევი უბრუნდებოდა ცოლს ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში და სხვ. მოგვიანებით, იუსტინიანეს ეპოქაში, ქალს ყველა შემთხვევაში უბრუნდებოდა მზითევი გარკვეული ხარჯების გამოკვეთვით.

რომის სამართალი აწესრიგებდა ასევე საქმროს მიერ მირთმეული საქორწინო საჩუქრის იურიდიულ რეჟიმსაც. კერძოდ, საქორწინო საჩუქარი ქმრის საკუთრებაში ითვლებოდა, მაგრამ, თუ ქმრის ინიციატივით მოხდებოდა განქორწინება, საჩუქარი ცოლს რჩებოდა. საჩუქარი ეკუთვნოდა ასევე ცოლს ქმრის გარდაცვალების შემთხვევაშიც. ქორწინების შეწყვეტა ხდებოდა შემდეგ შემთხვევებში:

1. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით.
2. ერთ-ერთი მეუღლის დაპატიმრებით.
3. ერთ-ერთი მეუღლისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევით.
4. განქორწინებით.

განქორწინების ინიციატივა სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო. კლასიკურ პერიოდში განქორწინების უფლება ჰქონდა როგორც მამაკაცს, ისე ქალს. იმპერატორმა იუსტინიანემ აკრძალა თავისუფალი განქორწინება და დაადგინა, რომ განქორწინების უფლება ჰქონდა მუდღეს, თუ მისი მეუღლე უღალატებდა, დაემუქრებოდა სიკვდილით, ან ჩაიდენდა მკვლელობის მცდელობას, ან სხვა სახის დანაშაულს მეუღლის წინააღმდეგ. განქორწინება დაიშვებოდა ასევე ქორწინებისათვის უვარგისობისა თუ მონაზვნად აღკვეცის შემთხვევაში. განქორწინება ძალზე გაძნელებული იყო ერთ-ერთი მეუღლის სურვილით. ამაზე მეტყველებს დიდი ჯარიმები, რაც განქორწინების საკითხის დამყენებელს ეკისრებოდა.

მამის ხელისუფლება

რომაულ ოჯახში შვილზე, იქნებოდა ის ცოლშვილიანი თუ უცოლშვილო, ვრცელდებოდა მხოლოდ მამის (და არა დედის) ხელისუფლება.

მამის ხელისუფლების ქვეშ მყოფ ვაჟს ჰქონდა კომერციის უფლება, მაგრამ ყველა სახის შემოსავალი მამის ქონებაში გადადიოდა. რომელი იურისტის გაიუსის მითითებით „მამის ხელისუფლების ქვეშ მყოფ შვილს თავისი არაფერი არ უნდა ჰქონდეს“. ასეთი მდგომარეობა კი ხელს არ უწყობდა საზოგადოების პროგრესს. ყველა ერიდებოდა მამის ხელისუფლების ქვეშ მყოფ პირთან კომერციულ საქმიანობას. ამიტომაც ეს წესი თანდათან იცვლებოდა შვილების სასარგებლოდ. მაგრამ ძალზე დიდი დრო დასჭირდა ამას. მხოლოდ იმპერატორ იუსტინიანეს დროს გათავისუფლდა მამის ხელისუფლების ქვეშ მყოფი შვილი ასეთი მკაცრი რეჟიმისაგან. იუსტინიანეს ეპოქაში დადგინდა, რომ შვილის მონაგები ეკუთვნის შვილს (ვაჟს ან ქალს).

რომაულ სამართალში მშობლებსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობანი თანდათან დემოკრატიულ ცვლილებებს განიცდიდა. მაგალითად, უძველესი რომაული სამართალი ნებას რთავდა მამას ჰქონოდა განუსაზღვრელი უფლებები შვილზე, თვით ფიზიკურ განადგურებამდეც კი. მაგრამ შემდგომში ეს წესი შეიცვალა და დადგინდა, რომ მამას უფლება ჰქონდა დაესაჯა შვილი ოჯახში, აეძულებინა იგი პატივი ეცათ მშობლებისათვის. შვილები კი მოვალენი იყვნენ მშობლების მითითება აესრულებინათ, ან დაქორწინებულ იყვნენ მათი ნების გარეშე.

მამის ხელისუფლების წარმოშობა

მამის ხელისუფლება შვილზე წარმოიშობოდა შვილის დაბადების დღიდან ან შვილად აყვანის დაკანონებით.

კანონიერი ქორწინების შედეგად დაბადებული ყველა ბავშვი ითვლებოდა მამის ხელისუფლებაში შემაჯავალად.

მამის ხელისუფლება ვრცელდებოდა ასევე კონკუბინის ან უკანონო ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვზე, თუ მას მამა თავის შვილად ცნობდა.

მამის ხელისუფლება ვრცელდებოდა ასევე ნაყიდ ბავშვზეც.

შეიძლებოდა ასევე არარომაელი ბავშვების შვილად აყვანაც, რომლებიც თავისუფალი მოქალაქეები ხდებოდნენ. შვილად აყვანილები უთანაბრდებოდნენ ოჯახის სხვა კანონიერ შვილებს.

მამის ხელისუფლება წყდებოდა: ა) მამის გარდაცვალებით; ბ) ბავშვის გარდაცვალებით; გ) მამისათვის მამის ხელისუფლების ჩამორთმევით; დ) შვილად აყვანილის მიერ რაიმე საპატიო წოდების მიღების შემთხვევაში, რაც უფლებას აძლევდა მას გამოსულიყო მამის ხელისუფლებიდან; ე) მამის ხელისუფლება წყდებოდა ემანსიპაციის გზითაც, თუ მამა ათავისუფლებდა თავის ხელისუფლების ქვეშ მყოფს და ეს უკანასკნელიც თანახმა იყო ამაზე.

მეურვეობა და მზრუნველობა

რომაული სამართალი ზრუნავდა იმ პირებზე, რომლებსაც არ ჰყავდათ პატრონი ან მოკლებულნი იყვნენ მამის ხელისუფლებას, რომელი სამართალი ასევე მეურველობდა იმ ქალებს, რომლების მიმართაც შეწყდა ქორწინება, იმ ბავშვებს, რომლებსაც გარდაეცვალა მამა ან ორივე მშობელი, დაბოლოს, რომელი სამართალი ზრუნავდა სულით ავადმყოფებზეც.

ამრიგად, წარმოიშვა მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტი. ძნელი გასარკვევია, თუ რა განსხვავებაა მეურვესა და მზრუნველს შორის. რომელი სამართლით მეურვეები ენიშნებოდათ განქორწინებულ ქალებსა და არასრულწლოვნებს. მზრუნველები ენიშნებოდათ როგორც სრულწლოვნებს 25 წლამდე, ისე სულით ავადმყოფებს. მეურვეები და მზრუნველები იცავდნენ, განაგებდნენ მეურვეობასა და მზრუნველობაში შესული პირის ქონებას, მის პიროვნებას.

მეურვედ შეიძლებოდა დანიშნულიყო ის პირი, ვინც ახლოს იყო სამეურვეო პირის ოჯახთან. ასეთი პირი შეიძლებოდა ყოფილიყო მისივე ოჯახისა თუ მისივე გვარის წევრი.

Handwritten signature and notes in Georgian script, including the word 'მეურვე' (guardian).

სამეკვიდრო სამართალი

მეკვიდროება ნიშნავს გარდაცვლილი პირის ქონების გადაცემას სხვა პირზე (პირებზე). მეკვიდროებას დიდი ხნის ისტორია აქვს. მეკვიდროების გადაცემას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების დროს, მაგრამ მეკვიდროების მიცემისა თუ მიღების უფლება გაჩნდა მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებასა და სახელმწიფოში.

მეკვიდროების უფლება ორი სახისაა:

1. კანონით მეკვიდროება.
2. ანდერძით მეკვიდროება.

თუ სახეზეა ანდერძი, მაშინ ქონება გადაეცემა მეკვიდრეს ანდერძის შინაარსის მიხედვით. კანონით მეკვიდროების საკითხი კი მაშინ დგება, როდესაც არ არსებობს ანდერძი ან ანდერძი მიჩნეულია ყალბად, ანდა მეკვიდრემ უარი თქვა ანდერძზე. რომის სამართალი კატეგორიულად კრძალავდა ერთსა და იმავე ქონებაზე ანდერძითა და კანონით მეკვიდროებას. მეკვიდროების საკითხი დგებოდა, თუ მეკვიდროების გახსნა იწყებოდა მხოლოდ და მხოლოდ სამკვიდროს (ქონების) დამტოვებლის სიკვდილის შემდეგ; მის სიცოცხლეში მეკვიდროების გახსნა შეუძლებელი იყო.

რომის სამართალი იცნობდა უნივერსალურ და სინგულარულ მეკვიდროებას.

უნივერსალური იყო ისეთი მეკვიდროება, როდესაც მეკვიდრეზე გადადიოდა სამკვიდროს დამტოვებლის უფლებებიცა და დაკისრებული მოვალეობებიც. **სინგულარული** მეკვიდროების ძალით მეკვიდრეზე გადადიოდა ცალკეული უფლებები. ასეთი იყო **ლეგატები**. **ლეგატა** — **legatum** (**ლეგატუმ**) ეწოდება მოანდერძის მიერ გაცემულ განკარგულებას, მისი სიკვდილის შემდეგ გადაეცათ მისი ქონება ან ქონების ნაწილი ამა თუ იმ პირისათვის (არამეკვიდრისათვის), ან შეესრულებინა მეკვიდრეს რაიმე მოქმედება ლეგატორის სასარგებლოდ (მაგალითად, გადაეხადა გარკვეული თანხა).

სამკვიდროს დამტოვებელი ლეგატების ძალით ფაქტობრივად ზღუდავდა კანონიერ მეკვიდრეებს, ამიტომაც II საუკუნიდან ლეგატები

ახლდება. დაწესდა, რომ ლეგატორს არ შეეძლო მიეღო კანონიერ მემკვიდრეზე მეტი. საბოლოოდ კი განისაზღვრა, რომ ლეგატების, ანუ ვალების მიუხედავად, მემკვიდრემ უნდა მიიღოს დატოვებული სამემკვიდრო ქონების 1/4. თუ ლეგატები 3/4-ზე მეტი იყო, მაშინ ისინი შესაბამისად უნდა შემცირებულიყო.

ლეგატთან ახლოს იდგა ე.წ. ფიდეიკომისები. ეს იყო სამემკვიდრო ქონების დამტოვებლის თხოვნა, მემკვიდრეობის მიმღებს შეესრულებინა რაიმე მოქმედება, გადაეცა ქონების ნაწილი ამა თუ იმ პირისათვის. VI საუკუნეში ფიდეიკომისები ლეგატებს შეუერთდა.

ანდერძით მემკვიდრეობა

ანდერძით მემკვიდრეობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო ანდერძში მემკვიდრის დასახელება, თუ ვის ეძლეოდა მემკვიდრეობა, ან ვის ნიშნავდა თავის მემკვიდრედ ქონების დამტოვებელი. მაგრამ მარტო მემკვიდრის დასახელება არ იყო საკმარისი ანდერძის ნამდვილობისათვის, შეიძლებოდა ანდერძში ყოფილიყო ლეგატები ან მცირეწლოვანი შვილებისათვის მზრუნველის დანიშვნა.

ანდერძის ნამდვილობისათვის აუცილებელი იყო ანდერძის დამტოვებლის ნორმალურ მდგომარეობაში ყოფნა. სულით ავადმყოფების, გამფლანგველების, ზოგიერთი დანაშაულისათვის ნასამართლვეი პირების ანდერძი არ ითვლებოდა ნამდვილად.

ანდერძის ფორმა იყო როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი. ანდერძი უნდა დაემოწმებინა შვიდ მოწმეს. ზოგჯერ ანდერძი ფორმდებოდა საჯაროდ სახელმწიფო ორგანოში ან სასამართლოს ოქმში შეტანით. ზოგჯერ წერილობითი ანდერძი გადაეცემოდა და ინახებოდა იმპერატორის კანცელარიაში. განსაკუთრებული წესები იყო ჯარისკაცთა ანდერძისათვის. მათ შეეძლოთ ანდერძი დაეტოვებინათ ყოველგვარი ფორმით.

მემკვიდრეს უშუალოდ ქონების დამტოვებელი ნიშნავდა. დაუშვებელი იყო სხვის მიერ ან შუალობითი მემკვიდრის დანიშვნა. მემკვიდრედ ისეთი პირი შეიძლებოდა დანიშნულიყო, რომელიც უკვე დაიბადა ან ჩაისახა სამკვიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში. მემკვიდრედ არ შეიძლებოდა დანიშნულიყო სახელმწიფო დამნაშავე ან მისი შვილები. რომის სახელმწიფოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე მემკვიდრეობა ეკრძალებოდათ გაუთხოვარ ან უცოლო პირებს.

რომის სამართალი იცნობდა მემკვიდრეობაში სავალდებულო წილს. ამას ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც მოანდერძე თავის ქონებას სურვილის მიხედვით უტოვებდა არა კანონიერ მემკვიდრეებს, არამედ გარეშე პირებს. ასეთი ქმედება მორალურ მოვალეობათა დარღვევად მიიჩნეოდა. სასამართლო ასეთ ანდერძს უკანონოდ თვლიდა და აუქმებდა მას.

ცივილური სამართლით უახლოეს ნათესავეებად ითვლებოდნენ აგნატები (სისხლით ნათესავეები). პრეტორმა გააფართოვა უახლოეს ნათესავთა წრე. მან სავალდებულო წილის მიღების უფლება ემანსიპირებულ შვილებსაც მიანიჭა. კლასიკურ ეპოქაში კიდევ უფრო გააფართოვდა უახლოეს ნათესავთა წრე. მასში შედიოდნენ მოანდერძის აღმავალი და დამავალი ხაზის ნათესავეები, ასევე მოანდერძის ღვიძლი დები და ძმები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელნი სავალდებულო წილს მხოლოდ იმ პირობით მიიღებდნენ, თუ ანდერძში მემკვიდრედ დანიშნული იყო სახელგატეხილი პირი (persona turpis). სავალდებულო წილის ოდენობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, უდრიდა იმ წილის მეოთხედს, რაც უნდა მიეღო კანონით მემკვიდრეობისას. იუსტინიანეს კოდექსით, თუ კანონიერი მემკვიდრეობითი პირი ღებულობდა ქონების არანაკლებ მეოთხედს, სავალდებულო წილი შეადგენდა ამ წილის 1/3-ს. თუ კანონიერი მემკვიდრეობით პირი მიიღებდა მთელი ქონების 1/4-ზე ნაკლებს, სავალდებულო წილი იქნებოდა მისი ნახევარი.

იუსტინიანეს კოდექსი ითვალისწინებდა სავალდებულო წილის გაუქმებასაც, თუ კანონიერი მემკვიდრე საფრთხეს უქმნიდა ანდერძის დამტოვებლის სიცოცხლეს, თუ მოანდერძის ქალიშვილი 25 წლამდე ასაკში გათხოვდებოდა მამის ნებართვის გარეშე და სხვ.

რომის სამართალი ითვალისწინებდა ისეთ ვითარებასაც, როდესაც ანდერძის დამტოვებელმა, მართალია, დაუტოვა ანდერძი კანონიერ მემკვიდრეს, მაგრამ ძალზე მცირე მოცულობით, არასრულად. ასეთ შემთხვევაში კანონიერ მემკვიდრეს შეეძლო სარჩელი შეეტანა სასამართლოში სავალდებულო წილის მისაღებად.

კანონით მემკვიდრეობა

როგორც უკვე აღნიშნა, კანონით მემკვიდრეობის საკითხი მაშინ დგებოდა, თუ გარდაცვლბოდა სამკვიდროს დამტოვებელი და აღმონწლბოდა, რომ მას ანდერძით ქონება არავისთვის დაუტოვებია. ე.ი. სახეზე არ იყო ანდერძი. ასევე შეიძლებოდა, რომ ანდერძი ყალბი ყოფილიყო და გაუქმბულიყო ან ანდერძით გათვალისწინებულ მემკვიდრეს უარი ეთქვა მემკვიდრეობაზე. კანონით მემკვიდრეთა წრე, ანუ კანონით მემკვიდრეთა სუბიექტები და მათი რიგიუობა რომის სამართალში სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო.

XII ტაბულის კანონების მიხედვით კანონით მემკვიდრეთა წრეში შედიოდნენ მამის ხელისუფლებაში მყოფი შვილები და შვილიშვილები. თუ ასეთები არ იყვნენ, მაშინ სამემკვიდრეოდ გამოიწვეოდნენ მონანდერძის ახლო ნათესავები და თუ ახლო ნათესავებიც არ იყვნენ ან უარს ამბობდნენ მემკვიდრეობაზე, მაშინ სამემკვიდრეოდ გამოიწვეოდნენ მისი გვარის წევრები.

ძველი პატრიარქალური ოჯახის დაშლის შემდგომ რომში საოჯახო საკუთრებამ ადგილი დაუთმო ინდივიდუალურ კერძო საკუთრებას. ამასთან დაკავშირებით ცვლილებები მოხდა მემკვიდრეობაშიც. პრეტორმა, მართალია, ისევ შეინარჩუნა ოჯახის წევრებისათვის, კერძოდ, სისხლით ნათესავებისათვის მემკვიდრეობის პირველ რიგში მიღების უფლება, მაგრამ გაითვალისწინა ახალი ვითარება და ქონების სამემკვიდრეოდ გამოიყვანა სხვა პირებიც, თუმცა მათ ქონებას საკუთრებაში კი არ აძლევდა, არამედ მფლობელობაში. მაგრამ პრეტორის ბრძანებით ასეთი მფლობელობა საკუთრებას უდრიდა.

პრეტორმა კანონით მემკვიდრეთა შემდეგი კატეგორიები დაადგინა:

1) შვილები — *liberi* (ლიბერი), მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა ისინი მამის ძალაუფლებაში. დატოვებული სამკვიდრო თანაბრად ეყოფოდა შვილებს შორის. შვილის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილი შვილის ადგილს შვილიშვილი იჭერდა.

2) გარდაცვლილის სისხლით ნათესავები, ასევე გვარის წევრები, რომლებიც ძველი კანონების მიხედვით კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ. ისინი მემკვიდრეობას ღებულობდნენ, თუ არ იყვნენ პირველი რიგის მემკვიდრეები.

3) გარდაცვლილის სხვა ნათესავები როგორც პირდაპირი, ისე

გვერდითი ხაზისა მე-ნ თაობის ჩათვლით. ისინი მემკვიდრეობას ღებ-
ულობდნენ მეორე რიგის მემკვიდრეთა არარსებობისას, cognati (კოგ-
ნატი).

4) ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს სამკვიდრო ეძლეოდა, თუ
სახეზე არ იყვნენ წინა სამი რიგის მემკვიდრენი.

პრეტორის მიერ შემოღებული კანონმდებლობით განსაკუთრებულ
მნიშვნელობას იძენდა ის წესი, რომ, თუ ერთი რიგის მემკვიდრე არ
იღებდა მემკვიდრეობას, ქონება უპატრონოდ კი არ ითვლებოდა, არამედ
მასზე პრეტენზიას აცხადებდა მომდევნო რიგის მემკვიდრე.

II საუკუნეში რომის სამართალმა შემოიღო ახალი წესი, რომლის
მიხედვითაც შვილების შემდეგ მემკვიდრეობაში უპირატესობა მიენიჭა
დედას.

იმპერიის პერიოდში განისაზღვრა ბეთალმანი (უპატრონო) ქონების
ბედი, რომელიც სახელმწიფოს ხელში გადადიოდა.

VI საუკუნეში იმპერატორ იუსტინიანეს ნოველებით განისაზღვრა
კანონით მემკვიდრეთა შემდეგი თანამიმდევრობა:

1) ქონების დამტოვებლის შშობლები, ბებიები და ბაბუები და ა.შ.
ანუ დაღმავალი ხაზის სისხლის ნათესავები.

2) სამკვიდროს დამტოვებელი შვილები და შვილიშვილები და
ა.შ. ანუ აღმავალი ხაზის სისხლით ნათესავები, დები და ძმები, მათი
შვილები, არაღვიძლი და-ძმა, ანუ ერთი დედის ან ერთი მამის შვილ-
ბი, ან მათი შვილები.

3) კოგნატები — cognati (კოგნატი), ანუ ნებისმიერი რანგის
ნათესავები, ამასთან, ახლო ნათესავები უპირატესობით სარგებლობენ
მემკვიდრეობის მიღებისას.

4) ცოცხლად დარჩენილი მეუღლე, მას უფლება ჰქონდა მიეღო
დარჩენილი ქონების 1/4, თუ იგი ღარიბი იყო.

მემკვიდრეობის უფლების განხილვისას აუცილებელია შევეხეთ
საკითხს ე.წ. უპატრონო ქონების შესახებ. ეს იყო როგორც ანდერძ-
ით, ისე კანონით გათვალისწინებული ქონება, რომელიც არ მიიღო,
უარი თქვა მემკვიდრემ.

უძველესი რომაული სამართლით ასეთი ქონება არავის ეკუთვნო-
და, უპატრონოდ ითვლებოდა და მას შეიძლებოდა დაპატრონებოდა
ნებისმიერი მსურველი, ხოლო დომინატის პერიოდიდან ასეთ ქონებას
ეპატრონებოდა საქალაქო კურია, ეკლესია და სხვ.

თავი მეხუთე

სისხლის სამართალი

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ რომის სისხლის სამართალი ნაკლებადაა დამუშავებული რომის საქალაქო სამართალთან შედარებით, რომელი იურისტები უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების დამუშავებას.

რომის სისხლის სამართლის შესწავლისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის ცალკეული ინსტიტუტები მუდმივ ცვალებადობას განიცდიდა, ისინი ვითარდებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა, ამიტომაც მათი განხილვა უნდა მოხდეს რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის პერიოდიზაციის შესაბამისად.

1. დანაშაულისა და სასჯელის პრობლემა რომის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და ჩამოყალიბების პერიოდში

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში სისხლის სამართალი ინარჩუნებს გვაროვნული წყობილების ნიშნებს. ამასთან, სისხლის სამართალი ცალკე დარგად ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალდარღვევა სამართალდარღვევის ერთიან ფორმად მიიჩნეოდა. ამ პერიოდში დელიქტების მნიშვნელოვანი ნაწილი იდევნებოდა კერძო ბრალდების წესით და სარჩელის ხასიათს ატარებდა. არ შეიძლება ვილაპარაკოთ ასევე დანაშაულის შემადგენლობის ცნებაზე ან ბრალზე. არ არსებობდა არათუ კოდექსები, არამედ კანონებიც კი. მართალია, ამ პერიოდისათვის სისხლის აღების პრინციპი სრულად არ მოქმედებდა, მაგრამ შემორჩა კომპოზიციების სისტემა და ტალიონის პრინციპი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რომის სამართალში, შემდგომ პერიოდში, ძალზე სწრაფად ხდება გამიჯვნა საჯარო ხასიათის, ანუ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულსა და კერძო პირთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს შორის. დანაშაული — **crimina** (კრიმინა) ისეთ ქმედებას წარმოადგენდა, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს ხელყოფდა ან ისეთი მოქმედებაც შეიძლება ყოფილიყო,

რომელიც, მართალია, მიმართული იყო კერძო პირების წინააღმდეგ, მაგრამ მთლიანად სახელმწიფოს, საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღინიშნა ზემოთაც, რომში არასოდეს ყოფილა ზუსტად ჩამოყალიბებული დანაშაულებათა წრე და მათი შესაბამისი სასჯელები. მათი განსაზღვრა გაბატონებული კლასების ინტერესებში შედიოდა.

რომის სამართლის ჩამოყალიბების პერიოდის სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელია რელიგიური ნორმების ფართოდ მოქმედება: ზოგიერთი დანაშაული ითვლებოდა არა მარტო სამართალდარღვევად, არამედ ღმერთის ნების შელახვადაც. მაგალითად, XII ტაბულის კანონების მიხედვით სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა როგორც საკრალურ დანაშაულებს, როგორც ღმერთის ნების წინააღმდეგ ჩადენილ ქმედობებს და ასეთ ქმედებებად მიიჩნეოდა სახალხო ტრიბუნების ხელყოფა, ფიცის დარღვევა, მიჯნების მოშლა და სხვ. ვიმეორებთ, ასეთი ქმედებები გათანაბრებული იყო საკრალურ დანაშაულთან.

რომის სამართლის ჩამოყალიბების პერიოდში კერძო ხასიათის დანაშაულისათვის გამოიყენებოდა ტალიონის პრინციპი და კომპოზიციები. ამავე პერიოდის სისხლის სამართალში ხდება თავისუფალ რომაელ მოქალაქეთა და არათავისუფალთა, ასევე მონების სასჯელთა დიფერენციაცია.

XII ტაბულის კანონის მიხედვით ქურდობის ჩამდენ მონას ჯერ გაშოლტავდნენ, ხოლო შემდეგ გადაადგებდნენ ტარპეის კლიდან (რომის მახლობლად). ამავე ქმედებისათვის კი არათავისუფალ მოქალაქეს გაშოლტავდნენ და გადასცემდნენ დაზარალებულის განკარგულებაში. ქურდი, რომელსაც წაასწრებდნენ დანაშაულის ჩადენისას და რომელიც ცდილობდა იარაღით წინააღმდეგობის გაწევას, შეეძლოთ შემთხვევის ადგილზე მოეკლათ. სხვა შემთხვევაში ქურდს ეკისრებოდა ქონებრივი ზარალის ანაზღაურება გარკვეული წესით.

ასოთღაზიანება თუ სხეულის სხვა სახის დაზავება იწვევდა ტალიონის პრინციპით პასუხისმგებლობას. სხვისი ქონების დაზიანებისათვის (დელიქტი) ზოგჯერ სიკვდილით დასჯაც კი გამოიყენებოდა (მაგალითად, ცეცხლის წაკიდებისათვის, ნათესების წანახედისათვის და სხვ.), სხვა სახის დელიქტები იწვევდა ფულად გადასახადს.

ამრიგად, რომის სამართლის ჩამოყალიბების პერიოდის სისხლის სამართალი აშკარად იცავდა მქონებელთა ინტერესებს.

2. დანაშაულისა და სასჯელის საკითხებში რომის სამართლის განვითარებისა და აყვავების პერიოდში

რომის სახელმწიფოსა და სამართლის შემდგომი განვითარების პარალელურად მწვავედა კლასობრივი ბრძოლა მწარმოებელ და არამწარმოებელ საზოგადოებას შორის. რომის სისხლის სამართალი ასახავს მათ შორის გამწვავებულ ბრძოლას.

მონის სულ მცირე გადაცლომა იწვევდა ყველაზე მკაცრ სასჯელს. თუ აღრე მონათა დასჯას მონის მეპატრონეს მიანდობდნენ, ახლა ეს ფუნქცია მაგისტრატებსაც დაეკისრათ. მონათა აჯანყებების ჩაქრობის შემდეგ სისხლის სამართალი უფრო მკაცრდებოდა. გამოირჩეოდა სასტიკი რეპრესიებით; მაგალითად, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში შემუშავდა კანონი, რომლის მიხედვითაც მეპატრონის მკვლელობისათვის ისჯებოდა არა მარტო მკვლელი, არამედ ყველა ის მონაც, რომელიც მკვლელობის ჩადენის დროს იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, მათ გარდა, ვინც წინ არ აღუდგა და ხელი არ შეუშალა მკვლელობას.

რომის სისხლის სამართლით რომელ მოქალაქეთათვის განსხვავებული, შედარებით მსუბუქი სასჯელი წესდებოდა, ვიდრე პერეგრინებისათვის.

რომის სამართლის აყვავების პერიოდში შეინიშნება სისხლის სამართლის ცალკეული ინსტიტუტების განვითარება. პირველ რიგში, მკვეთრად გამოიკვეთა ბრალის ფორმები: განზრახვა — *dolus malus* (დოლუს მალუს) და გაუფრთხილებლობა — *culpa* (კულპა), ასევე დამუშავდა შემთხვევის ცნებაც — *casus* (კაზუს). რესპუბლიკის პერიოდად მხოლოდ განზრახვი მკვლელობა ისჯებოდა, გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობა სასჯელს არ იწვევდა, მაგრამ რომის სამართლის განვითარების კვალობაზე, ზოგიერთ შემთხვევაში, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დასჯაც დაწესდა.

რესპუბლიკის პერიოდში მცდელობა არ განსხვავდებოდა დამთავრებული დანაშაულისაგან და ისევე ისჯებოდა, როგორც დამთავრებული დანაშაული. პრინციპატის პერიოდში კი მცდელობა დამთავრებულ დანაშაულად გამოცხადდა. დასჯადად გამოცხადდა თანამონაწილეობაც. გამოიკვეთა შერაცხადობის ცნებაც. შემოვიდა აუცილებელი მოგერიების ცნება და შინაარსი. აუცილებელი მოგერიება დაიშვებოდა

იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს ემუქრებოდა იძულება ან საფრთხე. აღსანიშნავია, რომ შემორჩენილი იყო ასევე თვითანგარიშსწორებაც. მაგალითად, მამას შეეძლო მოეკლა თავისი გათხოვილი შვილი, თუ მას შემთხვევის ადგილზე საყვარელთან წაასწრებდა.

რომის სამართლის აყვავებისა და განვითარების პერიოდში საჯარო დანაშაულთა რიცხვმა იმატა. საჯარო დანაშაულები იყოფოდა ოთხ კატეგორიად:

1. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული (ჩადენილი) დანაშაულები.
2. რელიგიის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.
3. ადათ-წესების, ჩვევებისა და მორალის დასარღვევად მიმართული დანაშაულები.
4. კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

პირველი ჯგუფის დანაშაულებიდან აღსანიშნავია ღალატი, შეიარაღებული აჯანყების მოწყობა ან მეფის ხელისუფლებისა თუ სახელმწიფოს სხვა გამგებელთათვის წინააღმდეგობის გაწევა, ხაზინის გაქურდება, მექრთამეობა, არჩევნების გაყალბება, პროდუქტებით სპეკულაცია, იმპერატორის მიერ აკრძალულ კავშირებში მონაწილეობა, ყალბი ფულის დამზადება, ზომისა და წონის ერთეულების გაყალბება და სხვ.

რელიგიის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან აღსანიშნავია: რწმენისა (სარწმუნოების) და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, ასევე საეკლესიო ქონების მოპარვა. იუსტინიანემდე ცნობილი არ არის ისეთი დანაშაული, როგორიცაა: ღვთის გმობა, ღმერთის შეურაცხყოფა, ეს აიხსნება იმით, რომ თითქოს ღმერთს თვითონ შეეძლო თავის დაცვა.

მორალისა და ადათ-წესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან აღსანიშნავია: ღალატი ან სხვის ცოლთან ცხოვრება, გაუთხოვარ ქალთან დაუქორწინებლად ცხოვრება, სისხლის აღრევა, მრავალქმრიანობა და ჰომოსექსუალიზმი.

მოქალაქეთა წინააღმდეგ, ანუ პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან (რომლებიც სახელმწიფოს მიერ ისჯებოდა საჯარო წესით) აღსანიშნავია: მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება, იძულება, დამონება, სხვისი მონის იძულებით მისაკუთრება, ცრუმოწმობა, პროცენტის გადიდებული ოდენობით აღება, კვალიფიციური ქურდობები, მათ შორის ისეთი ქურდობა, როცა ხდება ნაგებობათა შემტვრევა, აბანოში ქურდობა. მკაცრად ისჯებოდა პირუტყვის ქურდობა.

პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებს ებრძოდა სულას კანონი მიღებული ჩვ.წ. აღმდე 83 წელს, რომელიც სპეციალურ სასჯელებს აწესებდა მკვლელობისათვის, ცეცხლის წაკიდებისათვის, იარაღის შეძენისა და ტარებისათვის მკვლელობის და ქურდობის მიზნით, საწამლაკის დამზადებისა და გაყიდვისათვის მკვლელობისა ჩასადენად, ცრუ ჩვენების მიცემისათვის, თუ ასეთ ჩვენებას სიკვდილით დასჯა შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ამ კანონით ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულებებზე სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა.

რომის სამართალი გამოირჩევა სასჯელთა სახესხვაობებით. სასჯელთა მრავალი სახე მიზნად ისახავდა სამაგიეროს მიზლვასა და ფიზიკურ წვალებას. კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ერთად იზრდებოდა ექსპლოატატორთა სისასტიკე. სასჯელთა სისასტიკე განსაკუთრებით გაძლიერდა იმპერიის პერიოდში. ამასთან, გაბატონებული ფენების წარმომადგენლებთან შედარებით სასტიკად ისჯებოდნენ მწარმოებელი საზოგადოების წევრები, მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ერთი და იგივეობისა. ყურადღებას იპყრობს ასევე სასჯელის ზომის მოუწყვსრიგებლობა, ანუ განუსაზღვრელობა, ამით გაბატონებულ კლასებს საშუალება ეძლეოდა მეტი თვითნებობა ჩაეღინათ.

სასჯელთა სახებიდან გამოირჩეოდა სიკვდილით დასჯა. სიკვდილით ისჯებოდნენ მძიმე სახელმწიფო, ზოგჯერ სხვა სახის დანაშაულებისათვისაც. სიკვდილით დასჯა ხორციელდებოდა სხვადასხვა ხერხით. ჩვეულებრივ ხერხად ითვლებოდა მახვილით მკვლელობა. მშობლების მკვლელი შვილები სიკვდილით ასე ისჯებოდნენ: „წინაპართა ჩვეულების მიხედვით“ აწამებდნენ მათ მანამდე, სანამ სისხლიდან არ დაიცლებოდა, ხოლო ამის შემდეგ ჩააგდებდნენ ტომარაში ძაღლთან, მამალთან, გველთან და მაიმუნთან ერთად, მოუკრავდნენ თავს და გადააგდებდნენ ზღვაში; რომაელი ქალის შეცდენისათვის როზგით ცემა და სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა. ვხვდებით სიკვდილით დასჯას ჩამოხრჩობით, მაღალი კლდიდან უფსკრულში გადაგდებით, ცეცხლზე დაწვით, ჯვარზე გაკვრით, წვალებით, მხეცებისათვის მიგდებით და სხვ.

სასჯელის ცალკე სახეს წარმოადგენდა მოკვეთა და გადასახლება. რესპუბლიკის პერიოდში დამნაშავეს ნება ეძლეოდა თვითონ გადაკარგულიყო თავისი საცხოვრებელი ადგილიდან, რათა თავიდან აეცილებინა უფრო მძიმე სასჯელი. იმპერიის პერიოდში ეს წესი იცვლება და წესდება გადასახლება, თუ გასახლება სამუდამოდ ან დროებით.

სხეულის დამაზიანებელი სასჯელები განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებოდა დაბალი კლასის წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დანაშაულებებისათვის. სხეულის დამაზიანებელი სასჯელების აღსასრულებლად გამოიყენებოდა როზგი, მათრახი, შოლტი.

სასჯელის ცალკე სახედ ითვლებოდა ჯარიმა. ჯარიმებს აკისრებდნენ მაგისტრატები არა მარტო დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ მათი ბრძანების შეუსრულებლობისთვისაც, იმპერიის პერიოდში ჯარიმის პარალელურად ფართოდ გამოიყენებოდა ქონების კონფისკაცია და იმპერატორის საზინაში მისი ჩარიცხვა.

აღსანიშნავია, რომ ძველ რომში არ არსებობდა სისხლის სამართლის ერთიანი კოდექსი. მის მაგივრობას წევდა ცალკეული კანონები დანაშაულთა და სასჯელთა მოსაწესრიგებლად.

დომინატის პერიოდის სისხლის სამართალი

დომინატის პერიოდში წინა პლანზე წამოიწია სისხლის სამართლის კლასობრივმა ხასიათმა. რეპრესიებმა მონების წინააღმდეგ უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო, ერთი და იმავე დანაშაულისათვის არამწარმოებელი საზოგადოების წარმომადგენელი ან არ ისჯებოდა, ანდა ისჯებოდა უფრო მსუბუქად, ვიდრე მწარმოებელი საზოგადოების წევრი. მაგალითად, მკვლელობისათვის მაღალი კლასის წარმომადგენლებს შეეფარდებოდათ გადასახლება, ამავე ქმედების ჩამდენ დაბალი კლასის წარმომადგენლებს კი მხეცებს მიუგდებდნენ შესაჭმელად.

დომინატის პერიოდში გაფართოვდა სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებათა წრე. ამასთან, იმატა იმპერატორთა ედიქტებმაც, ჩნდება (ცხადდება) დანაშაულები, რომლებსაც ეწოდება ექსტრაორდინალური (საგანგებო), მათზე იმპერატორთა მიერ გამოცემული კანონები ვრცელდება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ პრინციპატის პერიოდიდან სასჯელმა ტერორისტული და მწვალებლური ხასიათი მიიღო, სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა მეტად მკაცრ, არაადამიანურ ფორმებში (დაწვით, ჯვარზე გაკვრით, თავმოკრული ტომრით წყალში გადაგებით, მხეცებისათვის მიგდებით და სხვ.).

სიკვდილით დასჯის გარდა გამოიყენებოდა საკატორღო სამუშაოები (სადარობებში, მონად დასჯა, პერეგრინად გადაქცევა, მოკვეთა, გადასახლება და სხვ.

ფართოდ გამოიყენებოდა ქონების კონფისკაცია. სასჯელის დანიშნულებად იქცა სამაგიეროს მიზღვა და დაშინება.

რომში, ქრისტიანობის მიღების შემდეგ, გამოცხადდა კანონის წინაშე ყველას თანასწორობა და განსაკუთრებით მკაცრი სასჯელის გაუქმება. გაუქმდა სისხლიანი სანახაობები. ამასთან, ზოგიერთ დანაშაულზე კვლავ შემორჩა მკაცრი სასჯელები; მაგალითად, ქალის მოტაცებისათვის დაწესებული იყო სიკვდილით დასჯა. იმ დამნაშავეს, ვინც თავისი სიტყვითა თუ რჩევით რყვნიდა საზოგადოებას, ყელში გამდნარი ტყვეის ჩასხმით სჯიდნენ. სიკვდილით ისჯებოდნენ ის თავისუფალი რომაელი ქალები, ვინც სქესობრივ კავშირს დაიჭერდა მონებთან. თავის მოკვეთა შეეფარდებოდა მოღალატე მეუღლე ქალს. სიკვდილით ისჯებოდა სისხლის აღრევაც.

სასამართლო და პროცესი რომში

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში სასამართლოების ჩამოყალიბებამდე, ანუ მანამდე, სანამ სახელმწიფო აიღებდა ხელში სადავო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ფუნქციას, არსებობდა თვითანგარიშსწორება, ე.ი. თუ პირი თვლიდა, რომ იგი შეურაცხვეს, დაჩაგრეს და მიაყენეს ქონებრივი თუ ფიზიკური ზიანი, ცდილობდა, ეძებნა სამართალი, თავად გამოენახა საშუალება გასწორებოდა მის დამჩაგრავს. მაგრამ საზოგადოების განვითარების გარკვეულ პერიოდში აუცილებელი ხდება ანგარიშსწორებაზე უარის თქმა, როგორც სამართლის განხორციელების ბარბაროსულ მეთოდზე.

ვერც რომელი ხალხი ასცდა ანგარიშსწორების წესების არსებობას. მაგრამ რომში საზოგადოებრივი პროგრესის პარალელურად თანდათან ხდება ამ ხერხებზე უარის თქმა და სახელმწიფოს მეშვეობით მართლმსაჯულების განხორციელება. ამასთან, თვითანგარიშსწორებაზე უარის თქმა, მისი აკრძალვა ერთი ხელის დაკვერით, ერთბაშად არ განხორციელებულა. მას დიდი დრო დასჭირდა და გარკვეული საფეხურები გაიარა. ამის დამადასტურებელია ის, რომ განვითარებულ რომაულ სამართალში შემორჩა. დაშვებული იყო თვითანგარიშსწორების გარკვეული კვალი; მაგალითად, თვითანგარიშსწორების გარკვეული სახე იყო თავდასხმისაგან თვითადცვა, რაც ნებადართული იყო. ძველ რომში აღიარებული იყო პრინციპი: „ძალდატანება, ძალადობა, აცილებულ უნდა იქნეს ძალით“. ძალადობის თავიდან აცილება მიჩნეულ იქნა სამართლიანობის დაცვის საშუალებად. მაგრამ რომის სამართალი კრძალავდა უკვე დარღვეული უფლების აღდგენას ძალის გამოყენებით. რომის სამართლის მიხედვით, თუ ადამიანის უფლებას ეშუქებოდა დარღვევა, მაშინ შეიძლებოდა ძალის გამოყენება, მაგრამ, თუ უფლება უკვე დარღვეული იყო, იგი უნდა აღედგინათ არა ძალის გამოყენებით, არამედ სამართლის მეშვეობით. რომის სამართლიდან შეიძლება მოყვანილ იქნეს თვითანგარიშსწორების მაგალითი: ანგარიშსწორება დაიშვებოდა, თუ ძალის გამოყენებლობა გამოიწვევდა დიდ ზიანს, ან მოვალე ცდილობდა გაქცევას და თუ არა ძალის გამოყენება, კრედიტორი დიდ ზარალს ნახავდა.

რომის სამართლიდან ასევე შეიძლება რამდენიმე მაგალითის დასახ-

ელება დაუშვებელი თვითანგარიშსწორების შესახებ; მაგალითად, მარკუს ავრელიუსის ღეკრეტის მიხედვით, კრედიტორის მიერ გირაოდ დატოვებული ნივთის გამოყენება დაუშვებელი იყო. კრედიტორი ვალდებული იყო დაებრუნებინა ეს ნივთი და კიდევ მეტი, იგი კარგავდა თავისი მოთხოვნის უფლებას.

როგორც აღინიშნა, რომაელებს დიდი დრო დასჭირდათ თვითანგარიშსწორებაზე უარის სათქმელად და სამართლის განხორციელების სასამართლო წესზე გადასასვლელად. მაგალითად, ახ. წ. აღ-ით II საუკუნეშიაც კი ქურდობა დამტკიცებულად ითვლებოდა, თუ ნივთის მესაკუთრე მოწმეთა თანდასწრებით ქურდთან იპოვნიდა თავის ნივთს. აქედან ჩანს, რომ ქურდობის გამოძიება, მისი დადგენა ჯერ კიდევ კერძო პირი საქმე იყო და სახელმწიფო ნაკლებად იწუხებდა მისთვის თავს. დღეისათვის წარმოდგენელია, რომ ქურდობის საქმეების გამოძიებაში სახელმწიფო არ ერეოდა და კერძო პირების იურისდიქციაში შედიოდა იგი. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია დასკვნა, რომ, თუ მოქალაქეთა ქონების ქურდობის გამოძიებისათვის არ ზრუნავდა სახელმწიფო, ბუნებრივია, არც მათი სხვა უფლებები — ქონებრივი თუ პირადი — არ იქნებოდა დაცული.

რექსების ხანაში, ალბათ, სახელმწიფოს ინტერესებს იცავდა რექსი, სახალხო კრება, მაგრამ ძნელია იმის თქმა, არსებობდა თუ არა რაიმე სპეციალური წესი დარღვეული უფლების გასაჩივრებისა. სავარაუდოა ასევე, რომ რექსს შეეძლო დახმარება გაეწია ცალკეული პირისათვის, მათი უფლებების აღსადგენად, მაგრამ ვარაუდი ვარაუდად რჩება, რადგან რაიმე პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს.

საჯარო საქმეთა პროცესი და კერძო პირების საქმეთა პროცესი — IUDICIA PUBLICA, IUDICIA PRIVATA (იუდიცია კუბლიკა, იუდიცია პრივატა)

ცნება *iudicium* (იუდიციუმ) წარმოდგა *ius dicere* (იუს დიცერე) — საგან, რაც ნიშნავს „უფლების დადგენას“. ამრიგად, ტერმინი *iudicia* (იუდიცია) ნიშნავს უფლების დადგენას, შეიძლება ითქვას, სამართლის დადგენასაც ფართო გაგებით.

რომში დროთა განმავლობაში სამართლის დადგენის, ანუ მართლმსაჯულების განხორციელების ორი სფერო, ორი სტალა შეიქმნა:

ა) **iudicia publica**, ანუ სამართლის დადგენა, მართლმსაჯულების განხორციელება სახელმწიფოს ინტერესების სფეროში; ბ) **iudicia privata** – სამართლის დადგენა კერძო პირთა ინტერესების სფეროში.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

iudicia privata (იუდიცია პრივატა), ანუ კერძო პირების ურთიერთდავის პროცესი უფრო ძველია. შეიძლება ითქვას, რომ იგი აღმოცენდა სახელმწიფოს წარმოშობამდეც კი, და არსებობას განაგრძობდა რესპუბლიკის მთელი პერიოდის განმავლობაში. ეს პროცესი – **iudicia privata** ორ სტადიას მოიცავს, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად არის გამოიჯნული შინაარსობრივად. პირველ სტადიას ეწოდება **ius** (იუს), მეორეს – **iudicium** (იუდიციუმ). ეს ორი სტადია ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, ისინი არ შეადგენენ ერთი პროცესის ორ შემადგენელ საფეხურს, არამედ ცალკეული პროცესებია, რაც დასტურდება შემდეგნაირად: რომაული **ius** (იუს) წარმოადგენდა საბოლოო სტადიას. აქ საქმე საბოლოოდ გადაწყვეტილად ითვლებოდა, თუ მოპასუხე სარჩელს ცნობდა. 1933 წელს აღმოჩენილ იქნა გაიუსის ინსტიტუციების ახალი ფრაგმენტები, საიდანაც დასტურდება, რომ **ius** (იუს) საბოლოო, დამთავრებული სტადიაა. ამ ახალ ფრაგმენტებში ვხვდებით ასეთ ადგილს: მოსარჩელე მიმართავს მოპასუხეს – მითხრას „ჰო“ ან „არა“ სარჩელზე და თუ მოპასუხე იტყობდა „ჰოს“, პროცესი დამთავრებული იყო. ამრიგად, **ius** (იუს) არ წარმოადგენდა პირველ ინსტანციას, რომლის შემდეგაც გრძელდებოდა პროცესი მეორე ინსტანციით. იგი საქმის განხილვის ცალკე, დამთავრებული ეტაპი იყო, აქ საქმე უკვე მთავრდებოდა და მისი საკასაციო თუ საზედამხედველო გადასინჯვა აღარ ხდებოდა.

რაც შეეხება მეორე სტადიას **iudicium** (იუდიციუმ), როგორც წესი, ეს იყო დამავიროვნებელი სტადია, რომლითაც მთავრდებოდა კერძო პირთა დავის საქმეები. ამ სტადიაზე ხდებოდა წინასწარ განხილული საქმეების, შეგროვილი მასალების საფუძვლიანობისა და კანონიერების შემოწმება, რაც მთავრდებოდა გადაწყვეტილების გამოტანით. **iudicium** (იუდიციუმ) სტადიაზე ყურადღებით მოისმენდნენ მხარეთა განცხადებებს, მოწმეთა ჩვენებებს, განიხილავდნენ დამამტკიცებელ საბუთებს. მხარეები დიდი თავისუფლებით სარგებლობდნენ დამამტკიცებელი საბუთების წარდგენის საქმეში, მაგრამ მათ საბოლოოდ მოსამართლე აფასებდა და გამოჰქონდა გადაწყვეტილება – **sententia** (სენტენცია).

ვინ იხილავდა მოქალაქეთა დავის საქმეებს? რესპუბლიკის დასაწყის პერიოდში საქმეებს იხილავდნენ კონსულები. IV საუკუნის შუახანებიდან ეს ფუნქცია პრეტორის ხელში გადავიდა. ზემოთ აღნიშნული პირები საქმეებს განიხილავდნენ **in iure** (ინ იურე). ეს იმას ნიშნავდა, რომ საქმე შეიძლებოდა გადასულიყო ზემდგომ ინსტანციაში და აქ ამ საქმის მომზადება, ანუ წინასწარი განხილვა ხდებოდა.

რაც შეეხება საქმის არსებითად განხილვას **in iudicio** (ინ იუდიციო), მას ახორციელებდა ერთპიროვნული მოსამართლე — **iudex unus** (იუდეს უნუს). ასეთ მოსამართლეს ირჩევდნენ განსაკუთრებულ სიაში შეტანილ პირთაგან.

მოქალაქეთა შორის სამოქალაქო დავას ზოგიერთი სხვა ორგანოებიც წყვეტდნენ, მათ შორის არბიტრები. არბიტრი ჩვეულებრივი მოსამართლისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ საქმის გადაწყვეტისას დიდ როლს ასრულებდა მისი პირადი შეხედულებები. მონარქიის პერიოდში არბიტრად ის პირი იყო, რომელსაც მხარეები აირჩევდნენ სასამართლოსათვის მიუმართავად. მას მედიატორსაც უწოდებდნენ.

რომაელ მოქალაქეებსა და პერეგრინებს შორის ზოგიერთ დავას განიხილავდნენ 3, 5 და 7-კაციანი კოლეგიალური შემადგენლობის სასამართლოები. არსებობდა აგრეთვე 10-კაციანი და 105-კაციანი კოლეგიალური სასამართლო, საიდანაც საქმის გასარჩევად თითოეული ტრიბიდან სამ-სამ კაცს ირჩევდნენ.

ლემისაქციური, ფორმულარული და მესტრაორდინალური პროცესები

ლემისაქციური პროცესი არის მოქალაქეთა შორის დავის გადაწყვეტის უძველესი წესი, უძველესი ფორმა. სიტყვა **actio** (აქციო) ნიშნავდა მოქმედებას, რომელსაც სპეციალური იურიდიული მნიშვნელობაც ეძლეოდა — **actio** (აქციო), ნიშნავდა უფლებასაც, მიკუთვნებასაც და დაჩემებასაც.

Legis actio (ლემის აქციო) ნიშნავდა რომაელი მოქალაქის ზუსტად განსაზღვრულ ისეთ საჯარო განცხადებას, რომელშიაც მოცემული სიტყვები კანონის ზუსტი შესაბამისი იყო. ე.ი. მაგისტრატის წინაშე მოქალაქის განცხადება, ანუ **actio** (აქციო) ზუსტად შესაბამისი უნდა ყოფილიყო კანონისა, ანუ **legis** (ლემის). სწორედ კანონის მიმართვის

შესაბამისობიდან წარმოდგა ლეგისაქციური პროცესის სახელწოდება **legis+actio** (ლეგისაქციო).

ლეგისაქციური პროცესის, ანუ მოსამართლისათვის მიმართვის კანონიერი გზის სხვადასხვა სახე არსებობდა, მათ შორის საინტერესოა:

ა) **legisactio per sacramentum** (ლეგისაქციო პერ საკრამენტუმ) — იგი ყველაზე უფრო გაგრძელებული ფორმა იყო. გაიუსის ინსტიტუციების მიხედვით ამ ფორმას იყენებდნენ საკუთრების უფლებაზე დავის გადასაწყვეტად. გაიუსის ინსტიტუციებში დეტალურადაა აღწერილი პროცესის ეს ფორმა. მხარეები ცხადდებოდნენ მაგისტრატთან და მიჰქონდათ სადავო ნივთი. თუ ნივთის მიტანა შეუძლებელი იყო, მაგალითად, მიწაზე დავისას, მაშინ სიმბოლურად მიჰქონდათ ცოტაოდენი მიწა ან ნივთის ნაწილი. მოსარჩელეს ხელში ეკავა ჯოხი, რომელსაც დაადებდა სადავო ნივთს და წარმოსთქვამდა სიტყვებს: „მე ვამტკიცებ, რომ ეს ნივთი მეკუთვნის მე და, როგორც ვთქვი, იმის დასადასტურებლად დავადე მას ჩემი ნიშანი“. თუ მოპასუხე ღუძღა ან ეთანხმებოდა მოსარჩელეს, სარჩელი მიჩნეულად ითვლებოდა და საქმეც ამით მთავრდებოდა. მოსარჩელეს თან მიჰქონდა სადავო ნივთი, მაგრამ, თუ მოპასუხე არ ეთანხმებოდა მოსარჩელეს და აგრძელებდა დავას, იგი ამბობდა და აკეთებდა იმასვე, რასაც მოსარჩლე. ამრიგად, მოსარჩელის ვინდიკაციაზე მოპასუხე კონტრ-ვინდიკაციით გამოდიოდა. ამის შემდეგ მაგისტრატი თითქოს გააშველებდა მხარეებს და გამოაცხადებდა: „ორივე მხარემ დატოვეთ ნივთები“. მოსარჩლე კი სვამდა ახალ კითხვას და თხოულობდა მოპასუხის პასუხს, თუ რის საფუძველზე აცხადებდა მოპასუხე პრეტენზიას. ამაზე მოპასუხე დაადებდა ნივთზე ჯოხს, რითაც აცხადებდა ნივთზე კუთვნილების პრეტენზიას და მიუთითებდა, რომ იგი იქცეოდა კანონის შესაბამისად. ამაზე კი მოსარჩლე კვლავ პასუხობდა: „რამდენადაც შენ აცხადებდა ნივთზე პრეტენზიას კანონის საწინააღმდეგოდ, მე გიწვევ შენ ჩალო გირაოდ 50 ან 500 ასის ოდენობით“. ამ თანხას საკრამენტუმში (**sacramentum**) ეწოდებოდა. მოპასუხესა და მოსარჩელეს შეჰქონდათ აღნიშნული თანხა იმის დასამტკიცებლად, რომ თითოეული მხარე მართალი იყო. ამის შემდეგ ხდებოდა საქმის განხილვა. მაგისტრატი არკვევდა და წყვეტდა, თუ რომელ მოდავე მხარეს უნდა დარჩენოდა ნივთი. მხარე, რომელსაც სასამართლომ უარი უთხრა, კარგავდა შეტანილ თანხას; თავდა-

პირველად საკრამენტუმი ქურუმებთან შეჰქონდათ, მაგრამ შემდგომში მან საჯარო ხასიათი მოიპოვა და ხაზინაში შედიოდა. თანაც საკრამენტუმების შეტანა შეიძლებოდა არა საქმის განხილვამდე, არამედ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც. საკრამენტუმების გადახდა ფაქტობრივად დავის დასრულებასა და გადაჭრას უდრიდა.

ბ) **legis actio per manus iniectioem** (ლეგის აქციო პერ მანუს ინიექციონემ) — ლეგისაქციური პროცესის მეორე სახეა. ამ დროს საქმე ეხებოდა ვალის გადახდევინების წესებსა და პირობებს. ლეგისაქციური პროცესის ამ სახის მიხედვით, თუ მოვალეს დაეკისრებოდა განსაზღვრული თანხის გადახდა, ან თუ იგი მაგისტრატის წინაშე თავს მოვალედ ცნობდა, მაშინ კრედიტორი 30 დღის გავლის შემდეგ მაგისტრატის დასწრებით აცხადებდა თავის პრეტენზიას, „ხელს ადებდა“ მოვალეს და წაიყვანდა თავისთან. მოვალე თვითონ ვერ შეესიტყვებოდა, მაგრამ მის ნაცვლად გამოსვლა შეეძლო სხვა რომელიმე მოქალაქეს — **vindex** (ვინდექსს).

დავა იწყებოდა მოვალის მაგიერ კაცსა და კრედიტორს შორის. თუ მაგიერი კაცი vindex-ის საქმეს წააგებდა, მას ორმაგი პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა. გამონაკლისებიც არსებობდა და მოგვიანებით თვით მოვალესაც შეეძლო თავი დაეცვა სასამართლოში უშუალო მიმართვით.

გ) **Legis actio per iudicus postulationem** (ლეგის აქციო პერ იუდიცის პოსტულაციონემ) — ლეგისაქციური პროცესის ისეთი სახე იყო, რომლის მიხედვითაც მოსარჩლეს უნდა დანიშნოდა მოსამართლე მისი მოთხოვნის მიხედვით. ამას მიმართავდნენ საოჯახო ქონების გაყოფისას ან საერთო ქონების განაწილებისას.

დ) **Legis actio per conditionem** (ლეგის აქციო პერ კონდიციონემ) — ლეგისაქციური პროცესის ისეთი სახე იყო, რომელსაც მიმართავდნენ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩლე მოითხოვდა ნივთების გარკვეულ რაოდენობას ან გარკვეულ თანხას და მოპასუხე თავს არ ცნობდა ვალდებულად. მოსარჩლე ასეთ შემთხვევაში გამოაცხადებდა, რომ მოპასუხე — **condico** (კონდიკო) 30 დღის შემდეგ მისულიყო მოსამართლის დასანიშნავად.

ე) **Legis actio per pignoris capionem** (ლეგის აქციო პერ პიგნორის კაპიონემ) — პროცესის ეს სახე შეიძლებოდა განხორციელებულიყო მაგისტრატის გარეშე. მას თვით მხარეები ახორციელებდნენ

შემდეგნაირად: კრედიტორი აიღებდა მოვალის ნივთს და ფლობდა მას როგორც გირაოს, ვიდრე მოვალე არ გადაიხდიდა ფულს ან არ შეასრულებდა ვალდებულებას. გირაოდ აღებულ ნივთს ეწოდებოდა **pignus** (პიგნუს), საიდანაც წარმოდგა პროცესის სახელწოდება. ნივთის აღებას თან ახლდა განსაზღვრული სიტყვების წარმოთქმა.

პროცესის ასეთი სახე გამოიყენებოდა მაშინ, თუ პირი იხესხებდა შესაწირ ცხოველს და არ დააბრუნებდა ან არ გადაიხდიდა გადასახადს და სხვ.

ფორმულარული პროცესი

რომის რესპუბლიკის დასასრულს ადგილი ჰქონდა სამეურნეო ცხოვრებაში სერიოზულ ცვლილებებს. რომის უზარმაზარ სახელმწიფოს ვაჭრობა და აღებ-მიცემობა უხდებოდა სხვადასხვა ქვეყანასთან, გაფართოვდა კომერცია ქვეყნის შიგნით.

ლეგისაქციური პროცესი კი რომის სახელმწიფოში აღებ-მიცემობას აფერხებდა, რადგან იგი გამოირჩეოდა პედანტური ფორმალიზმით და უფლებას იძლეოდა მხოლოდ ამ ფორმალიზმის ზუსტად დაცვის შემთხვევაში. გაიუსის მითითებით, თუ ვინმე წარადგენდა სარჩელს ვაზის გაჩეხვის შესახებ და სარჩელში აღნიშნული იქნებოდა არა ხეების გაჩეხვა, არამედ ვაზისა, მოსარჩლე საქმეს აგებდა, რადგან მან არ დაიცვა ფორმალური მოთხოვნა, ან ვაზი ჩაწერა სარჩელში და არა ხეები, რადგან XII ტაბულის კანონი არ მოიხსენიებდა ვაზს, იგი მხოლოდ ხეებს ასახელებდა.

მეორე მხრივ, ლეგისაქციური პროცესით ვერ სარგებლობდნენ პერეგრინები, მათ უფლება არ ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ლეგისაქციურ პროცესში. სწორედ ამ გარემოებათა გამო აუცილებელი იყო პროცესის ფორმის შეცვლა. ცხოვრება მოითხოვდა, რომ სასამართლო პროცესს უფრო მოქნილი ფორმა მიესცემოდა. სწორედ ასეთმა მოქნილმა პროცესმა იჩინა თავი პერეგრინების პრაქტიკაში, მათ პრეტორს თავისი დადგენილებების ძალით ფაქტობრივად პროცესის ახალი ფორმა შეჰქონდა. დროთა განმავლობაში არა მარტო პერეგრინების პრეტორმა, არამედ ქალაქების პრეტორებმაც იწყეს იმპერიუმების გამოცემა, რითაც ფაქტობრივად ახალი პროცესი, ანუ ფორმულარული პროცესი მკვიდრდებოდა.

ფორმულარული პროცესის არსი შემდეგში მდგომარეობდა: მოსარჩლესა და მოპასუხისათვის მოიხსნა ის რთული ლეგისქციური ბარიერები, რომლებიც ზედმეტ პედანტობას ითვალისწინებდა და გზა გაუხსნა მათ უშუალოდ, ძალზე იოლად, გართულებების გარეშე შეეტანათ სარჩელი, რომელიც საშუალებას მისცემდა დავის ოპერატიულად გადასაჭრელად.

ფორმულარული პროცესის არსის უფრო ღრმად გასარკვევად განვიხილოთ მისი საფეხურები:

წარმოება — in iure (ინ იურე). მოსარჩლე მიმართავდა იურისტებს, რომელთა დახმარებითაც ადგენდა სასარჩელო განცხადებას. განცხადებაში აღინიშნებოდა მოსარჩელის მოთხოვნის საგანი და საფუძველი. შედგენილი სასარჩელო განცხადების შესახებ ეცნობებოდა მოპასუხეს, რათა ისიც სათანადოდ მომზადებულიყო.

სასარჩელო განცხადება შედიოდა მაგისტრატთან და არა სასამართლოში. მაგისტრატი იბარებდა მოპასუხეს. მოპასუხის მაგისტრატთან გამოუცხადებლობა იწვევდა ჯარიმას, ხოლო სასამართლოში გამოუცხადებლობა — მისი ქონების გადაცემას მოსარჩელისათვის.

მაგისტრატის წინაშე როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე ასაბუთებდნენ თავიანთ სამართლიანობას. მოსარჩლე იცავდა სარჩელს, მოპასუხე კი — საპირისპირო პოზიციას. მაგისტრატს ზოგიერთ შემთხვევაში შეეძლო დაეკითხა რომელიმე მხარე ან ფიცი აელო მათგან. თუ მოპასუხე სარჩელს ცნობდა, საქმისწარმოება წყდებოდა. მაგისტრატთან შეიძლებოდა დაებარებინათ მხარეთა მიერ დასახელებული პირები; ასეთ პირებს ეწოდებოდათ **cognitores (კოგნიტორეს), procuratores (პროკურატორეს)**, ისინი არ იყვნენ მხარეთა წარმომადგენლები, არამედ ასაბუთებდნენ მხარეთა მოთხოვნებს.

მაგისტრატი (ამ შემთხვევაში მის როლში გამოდის პრეტორი) იხილავდა საბუთებს, უსმენდა მხარეებს, კოგნიტორებსა და პროკურატორებს, ან ცნობდა სარჩელს, ან უარს ამბობდა მოსარჩელის მოთხოვნებზე, მაგრამ საქმეს ვერ წყვეტდა, საქმეს ვერ ამთავრებდა, არამედ იგი გაამზადებდა საქმეს წერილობით, ჩამოაყალიბებდა თავის მოსაზრებებს. დანიშნავდა მოსამართლეს და ბრძანებით გადასცემდა საქმეს განსახილველად. პრეტორი ასე იქცეოდა იმ შემთხვევაში, როცა ცნობდა სარჩელს, მხარს უჭერდა მას.

პრეტორის მიერ შედგენილ წერილობით დოკუმენტს, როგორც

უკვე აღენიშნეთ, მოსამართლის მიმართ ბრძანების ფორმა ჰქონდა, რომელშიაც გათვალისწინებული იყო შემდეგი მონაცემები:

ა) **ludictio nominatio** (იუდიციო ნომინაციო), ანუ მოსამართლის დასახელება, რომელსაც საქმე უნდა განეხილა.

ბ) **Intentio** (ინტენციო) — მოსარჩელის პრეტენზიები.

გ) **Adiudicatio** (ადიუდიკაციო) — მოსამართლისათვის უფლების მინიჭება, მიაკუთვნოს მოსარჩელეს საკუთრების უფლება.

დ) **Condemnatio** (კონდემნაციო) — მოსამართლისათვის მითითება, მსჯავრი დაადოს მოპასუხეს ან გაათავისუფლოს იგი პასუხისმგებლობისაგან (იგულისხმება ქონებრივი პასუხისმგებლობა).

ე) **Praescriptio** (პრესკრიპციო), ანუ მითითება იმ განსაკუთრებულ გარემოებებზე, რაც მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს საქმის დასაწყისშივე.

ვ) **Exceptio** (ექსცეპციო) — მოპასუხის შესიტყვებათა გადმოცემა, ანუ ახალი ფაქტებისა თუ ახალი საბუთების შემოწმების აუცილებლობა, რომელთა აღმოჩენა და დადასტურება საქმეს სხვანაირად წარმართავდა.

ფორმულარული პროცესისათვის დამახასიათებელია კიდევ ერთი თავისებურება. საქმისწარმოების პროცესში ხდებოდა სპეციალური ფორმულების ჩამოყალიბება; მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის, ქირავნობისა თუ სხვა სარჩელებზე ერთი ტიპის ფორმულა ყალიბდებოდა. ამას აკეთებდა პრეტორი თავისი ედიქტით. ფორმულაში შედიოდა როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მოსაზრებები და თუ მათი მოსაზრებები „არ ჩაჯდებოდა“ ამ ფორმულაში, პროცესი არ შედგებოდა.

ფორმულარული პროცესი განასხვავებდა სარჩელის ოთხ სხვადასხვა ტიპს, მათ შორის:

1) **actiones in rem** და **actiones in personam**.

Actiones in rem (აქციონეს ინ რემ) — სანივთო სარჩელები იყო. აქ მოსარჩელე მოითხოვდა ნივთზე უფლების აღიარებას.

Actiones in personam (აქციონეს ინ პერსონამ) — პირადი, ანუ პერსონალური სარჩელები იყო და მოითხოვდა მოვალის პერსონასაგან ვალდებულების შესრულებას.

2) **Actiones rei persecutoriae** (აქციონეს რეი პერსეკუტორიე) და **actiones poenales** (აქციონეს პენალეს).

პირველი გულისხმობდა ნივთის ან ფულის უკან დაბრუნებას,

გამოთხოვას, მეორე კი — მოპასუხის დასჯას, ქონებრივი სანქციის შეფარდებას.

3) **Actiones privatae** (აქციონეს პრივატე) და **actiones populares** (აქციონეს პოპულარეს).

პირველს წარმოადგენდა გარკვეული პირი, ხოლო მეორე შეიძლება წარედგინა ნებისმიერ პირს, რომლის უფლებებიც არ იყო დარღვეული, მაგრამ ხელმძღვანელობდა ხალხის საერთო ინტერესებით.

4) **Actiones civiles** (აქციონეს ცივილეს) და **actiones praetoriae** (აქციონეს პრეტორიე), ანუ **actiones honorariae** (აქციონეს პონორარიე).

პირველი ეფუძნებოდა ცივილურ სამართალს, მეორე — პრეტორის მიერ დადგენილ წესებს.

სარჩელთა ტიპიზაციის განხილვისას კიდევ ერთხელ უნდა მივუთითოთ, რომ ეს არ ნიშნავდა იმას, თითქოს სარჩელები უცვლელი იყო, მკაცრად მათემატიკური ფორმულების სახით ისინი არ იყო განსაზღვრული და შეიძლებოდა მათი შინაარსისა თუ ფორმულის შეცვლა.

ყურადღებას იპყრობს ფორმულარული პროცესის განხორციელების მექანიზმი, ანუ საქმისწარმოება — *in iudicio* (ინ იუდიციო) სასამართლოში. მოსამართლე მიიღებდა რა საქმეს, ამოწმებდა ფორმულაში მოცემულ ფაქტებს, მოუსმენდა მხარეებს, მათ დამცველებს, გამოიკვლევდა დამამტკიცებელ საბუთებს.

მოსამართლეს შეეძლო დაეკმაყოფილებინა სარჩელი, ანდა უარი ეთქვა მასზე. მოსამართლის გადაწყვეტილება საბოლოო იყო, იგი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა და, თუ მოსარჩლე ხელმეორედ შეიჭანდა იმავე შინაარსის სარჩელს, მოპასუხეს შეეძლო მოეთხოვა, რომ ეს ახალი სარჩელი აღარ განეხილათ, რადგან განხილვა უკვე შედგა.

ფორმულარული პროცესის ძირითადი არსი მაინც იმაში მდგომარეობდა, რომ პრეტორი აღგენდა სარჩელის იურიდიულ შედგენილობას, ხოლო მოსამართლე გამოიკვლევდა სარჩელში აღნიშნულ მომენტებს, იგი არ გასცდებოდა სარჩელის ფარგლებს. სარჩელის შედგენასა და სასამართლო განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ იურისტები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფორმულარული პროცესის შემოღებამ დიდად შეუწყო ხელი რომის იურისპრუდენციის განვითარებას.

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები პრეტორის მიერ

ფორმულარული პროცესის ღირსება და წინგადადგმული ნაბიჯი ის იყო, რომ პრეტორი, ეს ერთ-ერთი ძლიერი მაგისტრატი, გამოცემდა სავალდებულო ედიქტებს, რაც უზრუნველყოფდა ვალდებულების შესრულებას. მათგან აღსანიშნავია:

1) **Stipulationes praetoriae** (სტიპულაციონეს პრეტორიე) – ამ სტიპულაციის ძალით პრეტორი აიძულებდა მხარეებს დაელოთ ერთმანეთთან სიტყვიერი ხელშეკრულება, მოელაპარაკათ (*stiputation*), რომ წინასწარ შეეტანათ საწინდარი, რაც ვალდებულების შესრულების გარანტია ხდებოდა.

2) **Missio in possessionem (in bona)** (მისსიო ინ პოსესიონემ ინ ბონა) – პრეტორი ნებას რთავდა კრედიტორს, მოსარჩელეს, წინასწარ დაუფლებოდა იმ მოვალის ქონებას, რომელსაც არ სურდა სამართალში მისვლა ან არ ასრულებდა სასამართლო გადაწყვეტილებას.

3) **Restitutio in integrum** (რესტიტუციო ინ ინტეგრუმ) – პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა. პრეტორი ზოგჯერ პირადად გამოიკვლევდა საქმეს და თუ დარწმუნდებოდა, რომ მხარეს მოუვიდა ზარალი, არაკანონიერად აუქმებდა ყოველგვარ აქტებს და აღადგენდა პირვანდელ მდგომარეობას.

4) **Interdicta** (ინტერდიქტა) – პრეტორის ბრძანება იყო ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად ან მოქმედებისაგან თავის შესაკავებლად. მაგალითად, თუ ვინმე ააგებდა შენობას სხვის მიწაზე აკრძალვის მიუხედავად, პრეტორი გასცემდა ბრძანებას შენობის დასანგრევად.

გადაწყვეტილების შესრულება (აღსრულება)

სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება არ ვვალდებოდა სახელმწიფო ორგანოებს. თუ მოპასუხე ნებაყოფლობით არ შეასრულებდა გადაწყვეტილებას, მოსარჩელეს შეეძლო მხოლოდ მოთხოვნა წაეყენებინა, რომ მოვალეს ეკუთვნოდა ამ გადაწყვეტილების შესრულება. ფორმულარული პროცესის ძალით მოსარჩელეს შეეძლო ახალი სარჩელის წარდგენა გადაწყვეტილების აღსასრულებლად და ასეთ შემთხვევაში გადასახდელი თანხა, რომელიც მოვალეს ეკისრებოდა, ორმა-

გდებოდა. ფაქტობრივად ეს თანხა იყო ჯარიმა გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად კრედიტორს შეეძლო ზღვევა მიექცია ან უშუალოდ მოვალე პიროვნებაზე, ან მის ქონებაზე. კრედიტორს შეეძლო გაეყიდა მოვალე სახელმწიფო ფარგლებს გარეთ ან დაეტოვებინა თავისთან მანამ, სანამ იყიდიდნენ მას. 326 წელს ეს წესი აიკრძალა.

კრედიტორს შეეძლო ასევე დაეკმაყოფილებინა თავისი სარჩელი მოვალის ქონების მეშვეობით; მაგალითად, თუ მოვალე სხვაგან იყო ან მოვალის პიროვნებაზე არ სურდა ზღვევინების მიქცევა, მაშინ მოვალის მთელი ქონება კრედიტორის ხელში გადადიოდა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კრედიტორი ყიდდა მოვალის ქონებას და ამ გზით ინაზღაურებდა ზარალს.

ექსტრატორდინალური პროცესი

სიტყვასიტყვით ექსტრატორდინალური პროცესი ნიშნავს არაჩვეულებრივ ან საგანგებო პროცესს. იგი პროცესის ისეთი სახეა, რაც განსხვავდება რომის ჩვეულებრივი, ანუ ორდინალური პროცესისაგან.

ექსტრატორდინალური პროცესი რომში ჩამოყალიბდა იმპერიის პერიოდში. ეს არის პერიოდი, რომლის დროსაც თანდათან მცირდება წარმომადგენლობითი და არჩევითი ორგანოების როლი, იზღუდება დემოკრატია და მის ადგილს იკავებს იმპერატორული, ანუ მბრძანებლური მმართველობა.

ექსტრატორდინალური პროცესი უცბად არ ჩამოყალიბებულა. ჯერ კიდევ კლასიკურ ეპოქაში ნორმალურ სამოქალაქო პროცესის გვერდით, რომელიც იყოფოდა ორ სტადიად *ius* (იუს) და *iudicium* (იუდიციუმ), გაჩნდა შემთხვევები, როცა მოქალაქეთა შორის დავის განხილვა იწყეს მაგისტრატებმა და არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებმა. ასეთ განსაკუთრებულ წესს საქმეების განხილვისას, როცა საქმეებს იხილავენ არა მოსამართლეები, ეწოდება საგანგებო, ანუ ექსტრატორდინალური პროცესი.

ახ. წ. აღ-ით III საუკუნიდან, როცა რომში შეუზღუდავი მონარქია მკვიდრდებოდა, ასეთმა ექსტრატორდინალურმა პროცესმა მთლიანად გამოდევნა ფორმულარული პროცესი. იმპერატორის ხელისუ-

ფლება აღარ ენდობოდა არჩეულ მოსამართლეებს და თვითონ დაიწყო ბრძოლა სამართლის დამრღვევთა წინააღმდეგ, უშუალოდ ან თავისი მოხელეების მეშვეობით.

პრინციპში თავისი იმპერიუძების ძალით უფლებას აძლევდა მოხელეებს განეხილათ საქმეები, ამ უფლებას ეწოდება *iudex datus* (იუდექს დატუს).

ვინ არიან ეს მოხელეები? რომსა და კონსტანტინოპოლში ასეთი მოხელეები არიან *praefectus urbi* (პრეფექტუს ურბი), ქალაქების პოლიციის უფროსები, პროვინციებში საქმეებს იხილავენ პროვინციების გამგებლები, ანუ რექტორები. ოლქებში საქმეებს იხილავენ პროვინციების გამგებლები. ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებს იხილავდნენ ასევე ადვოკატთა რიცხვიდან არჩეული მოსამართლეები.

ხშირად იმპერატორები ღებულობდნენ საქმეებს თავიანთ წარმოებაში და უშუალოდ იხილავდნენ.

თითოეულ სასამართლოსთან იყვნენ საქმეების მომზადებელი მოხელეები, ეგრეთ წოდებული *assessores* (ასსესსორეს) და *consilarii* (კონსილარიი), გარდა ამისა, არსებობდა მრავალი კანცელარია ბიუროკრატიული დანამატებით.

თითოეულ სასამართლოსთან ყალიბდებოდა ადვოკატთა კორპორაციები. ადვოკატები იურიდიული განათლების მქონე პირები იყვნენ. მაგალითად, რომის *praefectum praetoriae* (პრეფექტუმ პრეტორიე)-სთან არსებულ ადვოკატთა კორპორაციაში 150 ადვოკატი იყო.

დაწესდა სასამართლო გადასახადები, რაც საკანცელარიო და ადვოკატისათვის გასამრჯელო თანხასთან ერთად ჩაგრულ მოსახლეობას აიძულებდა უარი ეთქვა სასამართლოზე.

საქმის განხილვის წესი

საქმეების განხილვა საჯაროდ არ ხდებოდა და ტარდებოდა დაინტერესებულ მხარეთა, ასევე რამდენიმე პირთა დასწრებით. თუ მოსარჩლე პროცესზე არ გამოცხადდებოდა, საქმე წყდება, ხოლო მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე იხილებოდა მის დაუსწრებლად.

ექსტრარადინალურ პროცესში ფორმულარული პროცესის სტადიები *ius* (იუს) და *iudicio* (იუდიციო) აღარ არსებობდა. პროცესი ერთიანი იყო. მას ერთი მოხელე ახორციელებდა.

პროცესი იწყებოდა მოსარჩელის განცხადებით. იგი განცხადებას გადასცემდა მაგისტრატს, ეს უკანასკნელი სასამართლოს სახელით აცნობებდა მოპასუხეს და იწვევდა საქმის განსახილველად. მოპასუხის მოწვევას კი თანდათან სასამართლოს კანცელარიის მოხელენი უზრუნველყოფდნენ.

მოსარჩელის განცხადებაზე მოპასუხეს შეეძლო შეეტანა სასამართლოში კონტრარგუმენტები. როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის წარმომადგენლები ფიცს დებდნენ, რომ კეთილსინდისიერად მოიქცეოდნენ, ხოლო ადვოკატები პროცესზე გამოდიოდნენ იურიდიულად დასაბუთებული არგუმენტებით.

სასამართლო პროცესზე განიხილებოდა დამამტკიცებელი საბუთები. ერთი მოწმის ჩვენება არაფერს არ წყვეტდა, რაც ლათინურად ასე გამოითქმის: „testis unus, testis nullus“ („ტესტის უნუს, ტესტის ნულუს“, ანუ „ერთი მოწმე – არამოწმე“).

ექსტრაორდინალური პროცესის დამახასიათებელი ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი არსებობს: თუ მოსამართლე ვერ მიდიოდა კატეგორიულ დასკვნამდე, ე.ი. ვერ წყვეტდა საქმეს, მას უფლება ჰქონდა არ გამოეტანა გადაწყვეტილება და საქმე ზემდგომ ინსტანციაში გადაეგზავნა.

ფორმულარული პროცესისაგან განსხვავებით, ექსტრაორდინალური პროცესის ძალით გადაწყვეტილებას ასრულებდა არა მოსარჩელე, არამედ სახელმწიფო თავისი მოხელეების მეშვეობით. გადაწყვეტილების იძულებით შესრულებას სახელმწიფო იწყებდა ორი თვის შემდეგ, ე.ი. მას შემდეგ, რაც მოპასუხე ნებაყოფლობით არ შეასრულებდა გადაწყვეტილებას.

თუ ფორმულარული პროცესის ძალით კრედიტორს უფლება ჰქონდა დაეპატიმრებინა ურჩი მოპასუხე, ექსტრაორდინალური პროცესით კრედიტორს შეეძლო მოვალის პირადი დაკავება, მაგრამ აღარ შეეძლო მისი დაპატიმრება. დაპატიმრების უფლება გადადიოდა სახელმწიფოს კომპეტენციაში.

გადაწყვეტილების შესრულების ძირითადი საშუალება იყო ქონების გამოყენება. ამ ქონებას სახელმწიფო ყადაღას ადებდა, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ, თუ მოვალე არ შეასრულებდა სასამართლო გადაწყვეტილებას, ორი თვის შემდეგ მისი ქონება გაიყიდებოდა.

ექსტრაორდინალურმა პროცესმა დააწესა ყველა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, გარდა იმპერატორისა. გადაწყვეტილების

გასაჩივრების შემდეგ მიმართავდნენ აპელაციას (და არა კასაციას), რაც გულისხმობდა საქმის ხელახლა, არსებითად განხილვას.

საჩივარი გადაწყვეტილების ხელმეორედ განსახილველად შედიოდა საქმის განმხილველ სასამართლოში იმ პირთან, ვინც საქმეს განიხილავდა. გასაჩივრების ვადა იყო 2-3 დღე, დომინანტის პერიოდში ეს ვადა 10 დღემდე გაიზარდა. საჩივარს უნდა დართოდა დასაბუთებული არგუმენტები. უსაფუძვლო საჩივრისათვის მომჩივანი ისჯებოდა სარჩელის 1/3 ღირებულებით, ხოლო უფრო გვიან ამისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც კი ღაწესდა.

საჯარო სისხლის სამართლის პროცესი

რომაული სამართალი სისხლის სამართლის პროცესს, როგორც სამართლის ცალკე დარგს, რა თქმა უნდა, არ იცნობდა, მაგრამ განასხვავებდა რა კერძო და საჯარო სამართალს, მათი შესაბამისი საქმეების წარმოებაც განსხვავებულად ჰქონდა წარმოდგენილი. სამოქალაქო საქმის პროცესს რომაელი იურისტები უწოდებენ კერძო პირის საქმის განხილვას — *iudicia privata* (იუდიცია პრიატა)-ს, ხოლო საჯარო საქმეთა, ანუ სახელმწიფოს ინტერესების დაცვიდან გამომდინარე, საქმისწარმოებას რომში ეწოდება *iudicia publica* (იუდიცია პუბლიკა).

რომში სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი ორგანოები თუ თანამდებობის პირები უძველეს პერიოდში ჩნდებიან, ჯერ კიდევ სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროს, შეიძლება ითქვას, რექსების ხანაში. ასეთი ორგანოები იყო: ა) *duoviri praedualionus* (დუოვირი პრედუელიონის), რომლებიც აჯანყებისა და ღალატის საქმეებს იხილავდნენ; ბ) *quaestores parricidii* (კვესტორეს პარრიციდიი), რომლებიც რომაელი მოქალაქეების მკვლელობის საქმეებს იხილავდნენ.

განვიხილოთ რესპუბლიკისა და იმპერიის პერიოდის სისხლის სამართლის პროცესი ცალ-ცალკე. (რადგან რექსების ხანის სისხლის სამართლის პროცესის შესახებ, ზემოთ აღნიშნულის გარდა, მეტი ცნობები არ მოგვეპოვება).

რესპუბლიკის პერიოდში რომაელ მოქალაქეთა სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეებს იხილავდნენ უმაღლესი მაგისტრატები, მაგისტრატი იხილავდა დანაშაულის სიმძიმეს, რისთვისაც დაჰკითხ-

ავლა მოწმეებს, გამოიკვლევედა დამამტკიცებელ საბუთებს, მონების დაკითხვისას მიმართავდნენ წამებას. წარმოთქვამდნენ დაცვით სიტყვებს. ამის საფუძველზე მაგისტრატები აყალიბებდნენ ბრალდებას და აცხადებდნენ, თუ რა სასჯელი შეიძლება შეფარდებოდა დამნაშავეს. ზოგიერთ შემთხვევაში დამნაშავეს საჯაროდ წაუყენებდნენ ბრალდებას. საქმე მთავრდებოდა სასჯელის განსაზღვრით. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნული კანონით არ იყო რეგლამენტირებული, არამედ ჩვეულებებით იყო განმტკიცებული.

რომაელ მოქალაქეებს ჰქონდათ განაჩენის გასაჩივრების უფლება (გარდა დიქტატორის განაჩენისა), რასაც **provatio** (პროვაკაციო) ეწოდებოდა. მაგისტრატების განაჩენი შეიძლებოდა გაესაჩივრებინათ სახალხო კრებებზე. სახალხო კრებები გათენებისას იწყებოდა და მზის ჩასვლისას მთავრდებოდა. დანაშაულებათა საქმეებზე სახალხო კრების მონაწილეებს ორი ბარათი ეძლეოდათ, რომლებზედაც ეწერა ასო „L“ (**libero**) ლ(ლიბერო) და ასო „D“ (**damno**) დ(დამნო), პირველი ნიშნავდა გამართლებას, მეორე — გამტყუნებას. კრების მონაწილე ერთ-ერთ ბარათს ჩაუშვებდა ყუთში. ბრალდებულს შეეძლო საზღვარგარეთ გადახვეწილიყო. ეს საშუალებას აძლევდა თავი დაეღწია სასჯელისაგან.

რომის რესპუბლიკის პერიოდში იქმნება სპეციალური სასამართლო ორგანოები. II საუკუნის დასაწყისში სახალხო კრება ქმნიდა საგანგებო სასამართლოებს — **quaestiones extraordinariae** (ქვესტონეს ექსტრაორდინარიე). მათ თავმჯდომარეებს სენატი ნიშნავდა და მათი განაჩენების გასაჩივრება არ დაიშვებოდა.

მოგვიანებით კი, რომის რესპუბლიკის პერიოდის მეორე ნახევარში, იქმნება მუდმივი სასამართლოები, რომლებსაც ეწოდება **quaestiones perpetuae** (ქვესციონეს პერპეტუე). მათ კომპეტენციაში შედიოდა მექრთამეობის საქმეები, შემდგომში კი სხვა საქმეებიც.

ეს სასამართლო ფაქტობრივად პრეტორის სასამართლო იყო, რადგან სათავეში პრეტორები იდგნენ და სასამართლოს წევრები იყვნენ პრეტორების მიერ არჩეული მოსამართლეები 300-470 კაცის ოდენობით, ერთი წლის ვადით, ცალკეულ საქმეზე 30-40 მოსამართლე მონაწილეობდა. ამ სასამართლოში მოხვედრა არა მარტო პრესტიჟის, არამედ შემოსავლის წყაროც იყო, ამიტომაც ებრძოდნენ ერთმანეთს მასში მოხვედრისათვის სენატორები, ცნენოსნები და შეძლებული მოქალაქეები.

ასეთი სპეციალური სასამართლოს შექმნით სახალხო კრებებს ფაქტობრივად ჩამოერთვა საქმების განხილვის ფუნქცია.

Quaestiones perpetuae (კვესციონეს პერპეტუე) სასამართლოში საქმისწარმოების შემდეგნაირი წესი არსებობდა: საქმე აღიძვრებოდა ნებისმიერი რომაელი მოქალაქის ინიციატივით, მაგრამ საქმის აღსაძრავად და ბრალმძებლად გამოსვლისათვის საჭირო იყო პრეტორის ნებართვა. თუ პირი პრეტორისაგან მიიღებდა ბრალმძებლად გამოსვლის ნებართვას, იგი წარმოადგენდა თავის ბრალდებას — **libellus, incriptionis** (ლიბელუს ინსკრიპციონის), იმ პირის თანდასწრებით, რომლის წინააღმდეგაც აღიძვრებოდა საქმე. ბრალდების წამოყენების მომენტიდან ეს პირი ბრალდებული ხდებოდა და თანამდებობას კარგავდა.

პროცესის მომზადების შემდეგ ხდებოდა საქმის მოსმენა აღნიშნულ სასამართლოში. ბრალმძებლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში და მას ფულადი ჯარიმა კისრებოდა.

ბრალდებულის გამოუცხადებლობა პროცესს ვერ წყვეტდა, საქმე იხილებოდა მის გარეშე. ბრალდებულს შეეძლო საზღვარგარეთ გადახვეწა, რაც საფუძველი იყო პროცესის შესაწყვეტად და ბრალდების მოსახსნელად.

საქმის განხილვისას სასამართლო ისმენდა ბრალმძებლისა და მისი წარმომადგენლების, ასევე ბრალდებულისა და მისი ადვოკატის მოსაზრებებს, განიხილავდნენ წარმოდგენილ დამამტკიცებელ საბუთებს, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებს, დოკუმენტებს, მონების დაკითხვის ოქმებს.

მოსამართლეებს განაჩენი გამოჰქონდათ კენჭისყრის გზით. თითოეულ მოსამართლეს მიეცემოდა ბარათები, ანუ ტაბულები, რომლებზედაც იყო გაკეთებული წარწერები: ასო „a“ ნიშნავდა გამართლებას **absolvo** (აბსოლვო), ხოლო მეორე ბარათზე გაკეთებული წარწერა, ასო „C“, ნიშნავდა გამტყუნებას — **condemno** (კონდემნო). ამ სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

ზოგჯერ სასამართლოს გამოჰქონდა გადაწყვეტილება ბრალმძებლის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, რადგან არ იყო დასაბუთებული მისი ბრალდება. თუ ბრალდებული გამტყუნდებოდა, ბრალმძებელს ჯილდოც კი შეიძლება მისცემოდა.

რესპუბლიკიდან იმპერიაზე გადასვლით იცვლება სისხლის სამართლის საქმისწარმოების წესები. ტენდენცია აღებულია იქითკენ, რომ შეიზღუდოს დემოკრატიული დაწესებულებები, მათ შორის არჩევ-

ითი სასამართლო ორგანოები — **quaestiones perpetuae** (ქვესციონეს პერპეტუე)-ს სასამართლო თანდათან იზღუდება, შემდეგ კი უქმდება.

იმპერიის პერიოდში რომში ფენს იკიდებს და მკვიდრდება ინკვიზიციური პროცესი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოსამართლის ხელში საგამომძიებლო და სასამართლო ფუნქციების თავმოყრა. ძალზე შეიზღუდა ბრალდებულის მოვალეობა თავისი არაბრალეულობის დამტკიცების თაობაზე. ინკვიზიციური პროცესისათვის დამახასიათებელი გახდა ის გარემოებაც, რომ აქ მაღალი კლასის წარმომადგენლის ჩვენებას უფრო მეტი ძალა ჰქონდა, ასევე მხედველობაში მიიღებოდა პირის სარწმუნოება. დამამტკიცებელი საბუთების „დელოფლად“ მიჩნეული იყო თვითადიარება. ფართოდ გამოიყენებოდა ცემა და წამება არა მარტო ბრალდებულთა, არამედ მოწმეთა მიმართაც. სწორედ რომიდან იღებს სათავეს ინკვიზიციური პროცესი ევროპის ქვეყნებში.

საქმისწარმოება ხასიათდებოდა შემდეგი ნიშნებით: საქმე იწყებოდა დასმენით ან რაიმე მიღებული ცნობის საფუძველზე, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულს. საქმის აღმძვრელი მოხელე იწყებდა საქმის გამოკვლევას, აგროვებდა დამამტკიცებელ საბუთებს, დაჰკითხავდა მოწმეებს. ეს მოხელე ერთდროულად იყო გამომძიებელიც, ბრალმდებელიცა და მოსამართლაც. იგი თავისი შეხედულებებისამებრ იქცეოდა პროცესის ყველა სტადიაზე. მოხელის მიერ გამოტანილი განაჩენი შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო იმპერატორთან.

სასამართლო ხელისუფლების მთავარ ორგანოს წარმოადგენდა იმპერატორი. იგი იყო არა მარტო კანონმდებელი და ადმინისტრატორი, არამედ უმაღლესი მოსამართლაც. იმპერატორი გამოსცემდა იმპერიუმებს, რომელთა ძალით შეეძლო დაექვემდებარებინა და პირადად მიეღო გადაწყვეტილება ყველა საქმეზე; იგი შებოჭილი არ იყო რაიმე კანონით.

იმპერატორი ევრდნობოდა თავის უმაღლეს მოხელეებს: **praefectus praetorio** (პრეფექტუს პრეტორიო), **praefectus urbi** (პრეფექტუს ურბი), პროვინციათა მმართველებსა და სხვ. ეს მოხელეები ადმინისტრაციული მოხელეები იყვნენ და სისხლის სამართლის საქმეებსაც განიხილავდნენ.

ამრიგად, იმპერიის პერიოდში გაქრა რესპუბლიკისდროინდელი სასამართლო ორგანოები და სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება ადმინისტრაციული ფუნქციის შემადგენელ ერთ-ერთ ნაწილად იქცა, რასაც ეწოდა საგანგებო, ანუ ექსტრაორდინალური გამოძიება — **extraordinaria cognitio** (ექსტრაორდინარია კოგნიციო).

პალერიან მემბრეშვილი

რედაქტორი ნელი ელიზბარაშვილი
ტექ. რედაქტორი ინგა ნაგროზაშვილი

გამომცემლობა „მერიდიანი“

აღ. ყაზბეგის გამზ. №47
E-mail: info@meridianpub.com ☎ 39-15-22